პირველი ქართული სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1934 წლის 13 აპრილიდან
26 თებერვალი **სამშაბათი** 2013
№046 (13 962) ფასი 80 თეთრი

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ლეო მესი:
## მილანი დავიწყებულია, წინ ნავალი!

## ჟოზე მოურინიო:
## ეს მატჩი დიდი დაპირისპირების ცალკე ისტორიაა...

# დღეს მეორე სერიაა



## სტატისტიკა

| | |
|---|---|
| **სულ** | |
| რეალი | 88 |
| ბარსელონა | 86 |
| ფრე | 48 |
| **კოპა დელ რეი** | |
| რეალი | 10 |
| ბარსელონა | 14 |
| ფრე | 7 |
| **ლა ლიგა** | |
| რეალი | 69 |
| ბარსელონა | 64 |
| ფრე | 32 |
| **ლიგის თასი (აღარ იმართება)** | |
| რეალი | 0 |
| ბარსელონა | 2 |
| ფრე | 4 |
| **სუპერთასი** | |
| რეალი | 6 |
| ბარსელონა | 4 |
| ფრე | 2 |
| **ჩემპიონთა ლიგა** | |
| რეალი | 3 |
| ბარსელონა | 2 |
| ფრე | 3 |

ბარსა-რეალის წინათქმა 9






# მე ქურდი არ ვარ!
## ლეგენდა ნეაპოლში დაბრუნდა

ლეგენდარული **დიეგო მარადონა** ნეაპოლში ჩაფრინდა. არგენტინის ნაკრების ყოფილ კაპიტანსა და მთავარ მწვრთნელს სასამართლო გარჩევა ელის იმ 35 მილიონ ევროსთან დაკავშირებით, რომელიც მან თითქოს საგადასახადო სამსახურებს დაუმალა.

*„მე ქურდი არ ვარ, არც მატყუარა და თავი არასოდეს ამირიდებია გადასახადებისთვის! - ამტკიცებს მარადონა. - ყველა ქალალდს ჩემს ნაცვლად სხვები აწერდნენ ხელს. ისინი, რომლებიც ახლა ნეაპოლში ერთობიან. მე კი, თურმე, დამნაშავე ვყოფილვარ!“*

შეგახსენებთ, რომ მარადონა 1984-91 წლებში თამაშობდა „ნაპოლში“ და ორჯერ გახდა იტალიის ჩემპიონი.

## C ჯგუფი

| | |
|---|---|
| **4 სექტემბერი** | |
| 16:30 | საქართველო-პოლონეთი |
| **5 სექტემბერი** | |
| 16:30 | საქართველო-ხორვატია |
| **7 სექტემბერი** | |
| 23:00 | სლოვენია-საქართველო |
| **8 სექტემბერი** | |
| 19:45 | საქართველო-ჩეხეთი |
| **9 სექტემბერი** | |
| 16:30 | საქართველო-ესპანეთი |



## ევრობასკეტზე ნაკრების თამაშებს საათები დაუდგინეს

ევროპის 2013 წლის ჩემპიონატის წილისყრა 18 ნოემბერს გაიმართა. 24 გუნდი 4 კალათაში განაწილდა, გაირკვა ისიც, ვინ რომელ დღეს ითამაშებს, თუმცა 25 თებერვლამდე დაუდგენელი იყო თამაშების გამართვის ზუსტი დრო.

ბოლოს და ბოლოს, მატჩებს საათებიც მიაწერეს და გაირკვა, რომ C ჯგუფს საქართველო-პოლონეთი გახსნის. ყველაზე გვიან მასპინძელ სლოვენიელებს ვეთამაშებით - იქაური დროით 21 საათზე. სექტემბრისთვის საქართველოსა და სლოვენიას შორის სხვაობა 2 საათი უნდა იყოს. ასე რომ, მასპინძლებს თბილისის დროით 23 საათზე დავუპირისპირდებით.

შეგახსენებთ, ექვსგუნდიანი ჯგუფიდან მომდევნო ეტაპზე სამი გადის.

# 2 ივნისს, ირლანდიასთან

საქართველოს ეროვნული ნაკრები 2 ივნისს დუბლინში ირლანდიის ნაკრებს ამხანაგურად შეხვდება. ამის შესახებ საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ოფიციალური ვებგვერდი გვამცნობს.

საქართველოსა და ირლანდიის ეროვნულ ნაკრებთა დაპირისპირების ისტორიაში, დუბლინში დაგეგმილი მატჩი მეხუთე იქნება. 2004 წლის ევროპის ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ეტაპზე, თბილისში, 2003 წლის 29 მარტს გუნდები პირველად შეხვდნენ ერთმანეთს. **ალექსანდრე ჩივაძის** მიერ განწრთნილი გუნდი "მიხეილ მესხზე" 1:2 დამარცხდა. ქართველთაგან, ერთადერთი გოლი **ლევან კობიაშვილმა** გაიტანა.

ბოლო, რიგით მეოთხე შეხვედრა დუბლინში, 2009 წლის 11 თებერვალს გაიმართა. 2010 წლის მუნდიალის შესარჩევ ეტაპზე, ჩვენმა ეროვნულმა გუნდმა **ექტორ რაულ კუპერის** ხელმძღვანელობით 1:2 წააგო. საქართველოს ნაკრებიდან თავი **ალექსანდრე იაშვილმა** გამოიჩინა.

ირლანდიის ნაკრები ფიფას რეიტინგში დღეისთვის 39-ე ადგილზე იმყოფება.

**ლევან ჯანეზაშვილი**



ირლანდია-საქართველო. უჩა ლობჟანიძე (№2) რობი კინის წინააღმდეგ

დინამო. ინტერვიუ

## ბუბა ტყავაძე:
# ფეხბურთელს ყველგან არ გავუშვებთ

### სად ითამაშებს ტრანსფერზე დაყენებული რეხვიაშვილი?

ჯერ კიდევ იანვარში ვწერდით, რომ თურქეთში თბილისის "დინამო" რამდენიმე მოთამაშის გარეშე მოემზადა. იქიდან ჩამოსვლის შემდეგ მოვლენები კიდევ განვითარდა: ამჟამად "დინამო 2"-ში ვარჯიშობენ არჩილ ტვილდიანი, ნიკა კვეკვესკირი, ირაკლი ძარია, ლევან ხმალაძე, ნიკა დიასამიძე, იქვეა რუსთავის "მეტალურგიდან" იჯარით დაბრუნებული გიორგი თექთურმანიძე.

ანტალიაში თავიდანვე არ გამგზავრებულან მეკარე კოკა სეფიაშვილი, ცენტრალური ნახევარმცველი ლაშა პარუნაშვილი, ირაკლი ლექვთაძის ამბავი კი ცნობილია – ის იჯარით ბოლნისის "სიონში" ითამაშებს.

მაგრამ რა ხდება დანარჩენების თავს? თავიდანვე ვიცოდით, რომ უმაღლესი ლიგის კლუბებში იჯარით გაშვებას უპირებდნენ სეფიაშვილს (ყველაზე მეტად საჩხერეს "ჩიხურა" აქტიურობდა), ახალგაზრდული ნაკრების კანდიდატს პარუნაშვილს "მეტალურგსა" და ბათუმის "დინამოში" ინვევდნენ, ტვილდიანზე კი არაფერი იყო ცნობილი, ისევე როგორც თექთურმანიძესა და სხვებზე. დუშან უპრინმა ბოლო შეკრების შემდეგ გიორგი რეხვიაშვილის ტრანსფერზე დაყენებაც გადაწყვიტა. არადა, ეს ის ფეხბურთელები არიან, რომლებიც უმაღლესი ლიგის ნებისმიერ კლუბში გამოიჩენდნენ თავს.

როგორია "დინამოს" პოზიცია ამ ფეხბურთელებთან დაკავშირებით? ამის თაობაზე "დინამოს" სპორტულ დირექტორს, ბუბა ტყავაძეს ვესაუბრეთ.



ბუბა ტყავაძე

**- რამდენიმე მოთამაშე, რომლებიც პირველ წრეში ძირითად გუნდში იყო, ამჟამად "დინამო-2"-ში ვარჯიშობს. რა ბედი ელით მათ, იჯარით გაუშვებთ?**

- დღეისათვის იჯარით მხოლოდ ერთი მოთამაშე გვყავს გაშვებული: ირაკლი ლექვთაძე "სიონში" ითამაშებს. ყველა დანარჩენი მეორე გუნდშია. თუ ვინმეზე იქნება მოთხოვნა, რა თქმა უნდა, ჩვენ ამ საკითხს განვიხილავთ. წინააღმდეგი არ ვიქნებით, რომ მათ უმაღლეს ლიგაში სათამაშო პრაქტიკა ჰქონდეთ.

მაგრამ აქვე იმასაც ვიტყვი, რომ უმაღლეს და პირველ ლიგაში განათხოვრებული მოთამაშე, შესაძლოა, იმ პირობებში ვერ ვარჯიშობდეს, როგორიც ჩვენი პირველი ლიგის გუნდს აქვს. აქედან გამომდინარე, წინადადებებს სიფრთხილით ვეკიდები, რადგან საწვრთნელი პროცესი იმ დონეზე გვაქვს დაყენებული, რომ შესაძლოა, ბევრ კლუბში გადასვლას, ჩვენს მეორე გუნდში დარჩენა ერჩივნოთ.

**- სხვათა შორის, ადრეც მომხდარა, რომ მოთამაშეები იჯარით სეზონის დაწყებამდე რამდენიმე დღით ადრე გაგიშვიათ.**

- იმიტომ, რომ ჩვენი მეორე გუნდიც და დუბლებიც სრულფასოვან მოსამზადებელ შეკრებას გადიან და იქ მოთამაშე არანაკლებ მოემზადება, თუ უკეთ არა, ვიდრე უმაღლესი ლიგის ბევრ გუნდში – აქვთ სპარინგები, პირველ ლიგაში კი საკმაოდ დაძაბული შეხვედრებია.

**- თქვენს ფეხბურთელებზე მოთხოვნა იყო ბათუმის "დინამოდან", "სიონიდან", "ჩიხურადან", "მეტალურგიდან" - ეს გუნდები კი ცუდ პირობებში არ ვარჯიშობენ.**

- კონკრეტული წინადადება ამ ფეხბურთელებზე ჩვენ არ გვქონია. თუმცა, თუ იქნება, არ დავაბრკოლებთ.

**- გასაგებია, რომ გიორგი რეხვიაშვილი დუშან უპრინს ვერ შეეწყო, მაგრამ მასზე უარს ბევრი გუნდი არ იტყვის.**

- ჩვენ განსაკუთრებულს არაფერს ვითხოვთ: კლუბმა გადაწყვიტა, რომ "დინამო" რეხვიაშვილის ტრანსფერში იმ თანხას მოითხოვს, რაც მასში დაიხარჯა და წავა ნებიმისმიერ იმ კლუბში, რომელიც ამ თანხას გადაიხდის.

**- კონკრეტული წინადადება არ გაჩნიათ?**

- იმედი, მაქვს, რომ ასეთ ფეხბურთელზე მოთხოვნა იქნება.

**- წინააღმდეგი ხართ, იჯარით რომ გაუშვათ?**

- იჯარით? გააჩნია, რომელ კლუბში.

**მერაბ მამულაშვილი**

U17



გიორგი დევდარიანი

# დასკვნითი შეკრება დაიწყო

გუშინ საქართველოს 17-წლამდელთა ნაკრებმა ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირის ელიტრაუნდისთვის მოსამზადებელი დასკვნითი საწვრთნელი შეკრება დაიწყო. სფფ-ის ვებგვერდის ცნობით, ნაკრების თავკაცმა **გიორგი დევდარიანმა** ფეხბურთელები სასტუმრო "ბატესტაში" შეკრიბა და ყოველდღიურად მცხეთაში ავარჯიშებს.

ამ დროისთვის ნაკრების განკარგულებაში 22 ფეხბურთელია, საიდანაც საელიტრაუნდედ სამწვრთნელო შტაბი 18 მოთამაშეს შეარჩევს:

მეკარეები: **ოთო გოშაძე, ბექა ქურდაძე** (ორივე - საბურთალო);

მცველები: **აკაკი შულაია** (მერანი, მარტვილი), **ზურაბ გელაშვილი** (ტორპედო, ქუთაისი), **ნიკა ველიაშვილი, გაგი მარგველაშვილი, ჯემალ ტაბიძე** (ყველა - საბურთალო), **თორნიკე კირკიტაძე, ომარ პატარკაციშვილი** (ორივე -ლოკომოტივი);

ნახევარმცველები: **ზურაბ მალანია** (ბაია, ზუგდიდი), **გიორგი თევზაძე, გიორგი ხარაიშვილი, ირაკლი რუხაძე** (ყველა - საბურთალო), **თენგიზ გოროზია** (დინამო, თბილისი), **გიორგი ბერიძე** (ჩიხურა, საჩხერე), **გიორგი ბუნტური** (ვიტ ჯორჯია, თბილისი), **დიმიტრი მარგველაშვილი** (ტორპედო, ქუთაისი);

თავდამსხმელები: **ლუკა ზარანდია** (ლოკომოტივი, თბილისი), **ილია კერძევაძე** (ჩიხურა, საჩხერე), **გრიგოლ ჩაბრაძე, რევაზ ბარამიძე** (ორივე - საბურთალო), **ბექა მიქელთაძე** (ზესტაფონი).

4 მარტს დევდარიანის გუნდი გერმანიაში გაემგზავრება, სადაც ქალაქ რედა ვიდენბრუკში გერმანიის 17-წლამდე ნაკრებთან ამხანაგურ შეხვედრას გამართავს.

ჩვენი ნაკრების შეკრება უწყვეტად გაგრძელდება ავსტრიაში გამგზავრებამდე, სადაც 25 მარტიდან საქართველოს ნაკრები ელიტრაუნდის მატჩებში სერბეთის, ირლანდიისა და ავსტრიის ნაკრებ გუნდებს დაუპირისპირდება.

**ლევან ჯანეზაშვილი**

ბენდელას თასი

# ლამაზი ფინალის ლოგიკური შედეგი

**ტორპედო 2—დინამო 2 1:3**

0:1 ჯილაური (8), 1:1 ახვლედიანი (35), 1:2 კვეკვესკირი (56), 1:3 გელაშვილი (68. ავტოგოლი).

დინამო-2: სეფიშვილი, ა. ტვილდიანი, გურეშიძე, კვეკვესკირი, სამხარაძე, რეხვიაშვილი (75. სარიშვილი), ჯილაური (86. მახარობლიძე), დიასამიძე (46. ფოცხვერია), პარუნაშვილი (82. ჯიშკარიანი), ჩაფიძე (46. რუხაძე), შინდაგორიძე (46. ზივზივაძე)

ტორპედო-2: კუპატაძე, მამასახლისი, სანდოხაძე, გელაშვილი (79. ლობჟანიძე), ქიქავა, კუსიანი, პეტავა (ჩიხლაძე 88'), მარკოზაშვილი, გ. ტვილდიანი (55. მარგველაშვილი), ახვლედიანი (53. კაკუშაძე), გავაშელიშვილი.

ის, ვისაც არ დაეზარა და გუშინდელ ცივ ამინდში "ბენდელას" სტადიონზე მივიდა, არაფერს ინანებდა: "ბენდელას თასის" ფინალში გულშემატკივრებმა და სპეციალისტებმა ქართული ფეხბურთის მომავალი იხილა.

ტრიბუნაზე 1000-მდე მაყურებელი მაინც იყო - დამეთანხმებით, რომ დუბლების შეხვედრისთვის საკმაოდ შთამბეჭდავი ციფრია. ტრიბუნაზე მრავლად იყვნენ სხვადასხვა გუნდის მწვრთნელები, აბსოლუტურად ყველა ასაკობრივი ნაკრების დამრიგებლები და მათი სტაფის წევრები, სელექციონერები, მათ შორის, ჰოლანდიური "ვიტესის" წარმომადგენელიც.

შესაძლოა, ბევრი ამ ტურნირს არასერიოზულად უყურებს, მაგრამ ზემოთ დასახელებული ფაქტები მეტყველებს, რომ აშკარად ცდებიან. ცდებოდა ისიც, ვინც 22 თებერვალს საქართველოს სუპერთასის უფერული შეხვედრა სეზონის დასაწყისით ახსნა, ამ დროს კარგი ფეხბურთი იშვიათიაო.

გუშინ კი ახალგაზრდა მოთამაშეებმა საკმაოდ კარგი ფეხბურთი გააჩაღეს, მაღალ ტემპში თამაშობდნენ, ალაგ-ალაგ ბურთს ძალიან ტექნიკურად აგორებდნენ და ლამაზ და სწრაფ კომბინაციებსაც ახერხებდნენ.

პირველი წუთიდან უპირატესობა დინამოელებმა მოიპოვეს და ანგარიში მე-8 წუთზე გახსნეს. კუთხურიდან მოწოდებული ბურთი ერთ-ერთმა ტორპედოელმა მცველმა მოიგერია, რომელსაც საჯარიმოს ხაზთან **ჯაბა ჯილაური** დაუხვდა და ძლიერი დარტყმით მეტოქის კარის ბადე შეარხია.

"დინამო" შეტევებს აგრძელებდა. მაგრამ **თედო მარკოზაშვილმა** და **ნიკა ახვლედიანმა** თამაშის "ტორპედოს" სასარგებლოდ შეტრიალება მოახერხეს და რამდენიმე მწვავე კონტრშეტევის განხორციელება შეძლეს: მე-16 წუთზე ანგარიშის გათანაბრება **მამია გავაშელიშვილს** შეეძლო, მაგრამ მეკარესთან პირისპირ დარჩენილმა **კოკა სეფიაშვილს** ვერ აჯობა – ამ უკანასკნელმა მშვენიერი რეაქცია გამოავლინა.

მალე საქმეში მისი ქუთაისელი კოლეგა, **დავით კუპატაძე** ჩაერთო, რომელმაც ასევე პირისპირ დარჩენილ **ლაშა ჩაფიძეს** "დინამოს" უპირატესობის ორამდე გაზრდის საშუალება არ მისცა.

37-ე წუთზე "ტორპედოს" შეტევებმა შედეგი მაინც გამოიღო: საჯარიმოსთან გათამაშებული მარტივი კომბინაციით, მეკარესთან ერთი-ერთზე უკვე ახვლედიანი დარჩა და შანსი გოლად გარდასახა - 1:1.

შეიძლება ითქვას, რომ გადამწყვეტი აღმოჩნდა მეორე ტაიმში განხორციელებული ცვლილებები, აგრეთვე, დინამოელთა კლასი და გამოცდილება. თბილისელთა რიგებში უმაღლეს ლიგაში ნათამაშები ფეხბურთელები იყვნენ: კოკა სეფიაშვილი, **არჩილ ტვილდიანი, ნიკა კვეკვესკირი,** ჯაბა ჯილაური, **ლაშა პარუნაშვილი,** ლაშა ჩაფიძე, **ნიკა დიასამიძე.** ქუთაისელები მოედნიდან ახვლედიანის გასვლამაც დააზარალა – მას ფეხი ასტკივდა და ზედმეტ რისკს გაარიდეს.

დინამოელები კვეკვესკირმა დააწინაურა: 56-ე წუთზე მარცხენა ფლანგზე, საჯარიმოს ხაზთან დანიშნული ჯარიმიდან ბურთი ახლო კუთხის "ცხრიანში" ჩააჭვია!

ქუთაისელები საბოლოოდ 68-ე წუთზე გატყდნენ, როდესაც მარჯვენა ფლანგიდან **ბუბა რუხაძის** ჩინებული გარღვევის შემდეგ საჯარიმოში ჩაწოდებული ბურთი **ბუდუ ზივზივაძესთან** ბრძოლაში ქუთაისელთა მცველმა **ზურაბ გელაშვილმა** საკუთარ კარში ჩაქრა – 1:3.

შეხვედრა ასეც დასრულდა და თბილისის "დინამო 2" "ბენდელას თასს" დამსახურებულად დაეუფლა. ტურნირის ორგანიზატორებმა გამარჯვებული გუნდი და გამორჩეული ფეხბურთელები დააჯილდოვეს.

საუკეთესო მეკარე: **კოკა სეფიაშვილი** ("დინამო")

საუკეთესო მცველი: **სანდრო გურეშიძე** ("დინამო")

მაყურებლის სიმპათია: **ალექსანდრე რეხვიაშვილი** ("დინამო")

საუკეთესო თავდამსხმელი: **თედო მარკოზაშვილი** ("ტორპედო")

საუკეთესო ფეხბურთელი: **ლაშა პარუნაშვილი** ("დინამო").

**მერაბ მამულაშვილი**

გურამ დოლენჯაშვილის ფოტო



ბენდელას თასი თბილისის „დინამომ" მოიგო

კონტაქტები

# საბურთალოს მოთამაშეები მალაგაში

საფეხბურთო კლუბ "საბურთალოს" უფროსი ასაკობრივი გუნდის (1997-წლიანები) ორი ფეხბურთელი მალე ესპანეთში გაემგზავრება.

ეს ამბავი კლუბის გენერალურმა დირექტორმა **კახა ჭუმბურიძემ** გაგვიმხილა: *"ჩვენი ორი მოთამაშით "მალაგა" დაინტერესდა. ეს ის გუნდია, რომელსაც "სალერის თასზე" შევხვდით და დავამარცხეთ. მის მთავარ მწვრთნელს, ანდრე კარასკოს ჩვენი მეკარე ბექა ქურდაძე და თავდამსხმელი ირაკლი ბიძინაშვილი მოეწონა. ბიძინაშვილი ესპანეთში 4 მარტს ჩავა, ქურდაძე კი – 7 მარტს, რადგან საქართველოს 17-წლამდელთა ნაკრების მეკარეა, გიორგი დევდარიანის ნაკრებში შეკრება დაეწყო, 4 მარტს გერმანიაში გაემგზავრება და ამ ქვეყნის 17-წლამდელთა ნაკრებთან ამხანაგურ შეხვედრას გამართავს".*

საინტერესოა, რომ უკვე მე-6 წელია, რაც "საბურთალოს" უფროსი ასაკის გუნდი, რომლის მთავარი მწვრთნელიც **თემურ შალამბერიძეა**, შეკრებას უცხოეთში ატარებს.

*"ჩვენთან ასაკობრივი ნაკრებების ფეხბურთელები თამაშობენ და მათ სათანადოდ მომზადებას სკოლა დიდ მნიშვნელობას ანიჭებს. "საბურთალო" ყოველ წელს დადის შეკრებაზე – ზამთარშიც და ზაფხულშიც. წლეულს თურქეთში, სიდეში 10-22 თებერვალს მშვენიერ პირობებში ვემზადებოდით: დავბინავდით ხუთვარსკვლავიან სასტუმროში, მშვენიერი ამინდების გამო ვარჯიში არ ჩაგვიგდია, მოედნები კი ხალიჩასავით იყო. სულ 5 საკონტროლო შეხვედრა ჩავატარეთ. სხვათა შორის, თურქეთის მე-4 ლიგის "სერიკსპორს" 4:0 მოვუგეთ, დანარჩენები უფროსი ასაკის გუნდებთანაც ვითამაშეთ - "სიდე" 15:0 დავამარცხეთ, "ალანიასპორი" – 14:1, შვეიცარიული "იანგ ბოიზი" – 5:0, ფრედ მხოლოდ ნორვეგიულ "სკაიდთან" დავასრულეთ – 1:1.*

*ძალიან სასარგებლო შეკრება იყო და მიმაჩნია, რომ ფეხბურთელები მხოლოდ ასეთი მომზადებითა და საერთაშორისო ტურნირებში მონაწილეობით იზრდებიან. სამწუხაროა, რომ ამის საშუალება ყველას არ გააჩნია – ქართულ ფეხბურთს ეს ძალიან ვნებს. არადა, ბავშვები უცხო გარემოს ეჩვევიან, საკუთარ პლუს-მინუსებზე წარმოდგენას იქმნიან, მენტალურადაც ძლიერდებიან და თავდაჯერებულებიც ხდებიან. იმიტომ, რომ ნიჭიერი ბავშვები გვყავს და თავიდანვე უნდა იცოდნენ, რა მიმართულებით იშრომონ.*

*2012 წლის შემოდგომაზე "ვიტესში' სტაჟირებაზე ვიყავი და გაოცებული დავრჩი, თითქმის ყველა სოფელსა თუ დაბაში საფეხბურთო აკადემია არსებობს და ბავშვებს უმაღლესი კვალიფიკაციის სპეციალისტები ავარჯიშებენ. ამის მიუხედავად, 18-მილიონიან ჰოლანდიას საკუთარი კადრების პორბლემა მაინც ექმნება. და რა სიტუაციაა ჩვენთან, სადაც ნორმალურად მხოლოდ რამდენიმე სკოლა მუშაობს და ბავშვებს უცხოეთში თამაშის საშუალება არ გააჩნიათ? ამიტომ არის აუცილებელი ასეთი შეკრებები და თამაშები. ბავშვები უმატებდნენ და ეს ძალიან მახარებს, ამით მხოლოდ "საბურთალო" კი არა, მთლიანად, ქართული ფეხბურთი იხეირებს." –* ამბობს შალამბერიძე.

**მერაბ მამულაშვილი**

ლეგიონერი

# კობიაშვილის 11 წუთი

გუშინ გერმანიის მეორე ბუნდესლიგაში ბერლინის "ჰერტამ" "კაიზერსლაუტერნს" უმასპინძლა და მეტოქე 1:0 დაამარცხა. **ლევან კობიაშვილი** თამაშში 79-ე წუთზე ჩაერთო, "ჰერტამ" კი გამარჯვების გოლი მატჩის 68-ე წუთზე გაიტანა.

დედაქალაქელები მეორე ბუნდესლიგას კვლავ ლიდერობენ და ტურიდან ტურამდე უახლოვდებიან პირველ ბუნდესლიგას.

**ლევან ჯანეზაშვილი**

საქართველოს თასი. მერვედფინალი. პირველი მატჩები. წინათქმა

26.02. გორი. თ. ბურჯანაძ. 14:00
**დილა-სამტრედია**

26.02. ზესტაფონი. დ. აბაშიძ. 14:00
**გურია-ზესტაფონი**

26.02. ქობულეთი. ჩელო არენა. 14:00
**დინამო (ბთ)-მეტალურგი**

26.02. [illegible]. 14:00
**ჩიხურა-შუქურა**

26.02. მცხეთა. მცხეთა-პარკი. 14:00
**ვიტ ჯორჯია-სპარტაკი**

26.02. ქუთაისი. ტორპედო. 16:00
**ტორპედო-გაგრა**

26.02. თბილისი. მიხეილ მესხი
**სიონი-ზუგდიდი**

26.02. ფოთი. ფაზისი. 14:00
**კოლხეთი-დინამო (თბ)**

# ფავორიტები აშკარაა, სენსაციებსაც ნუ გამოვრიცხავთ

**რამდენიმე დღის წინ ქართული სეზონი საქართველოს სუპერთასის მატჩით განახლდა, დღეიდან კი ჩვენი კლუბები უკვე დიდი რაოდენობით ჩაერთვებიან ოფიციალურ ბატალიებში. თასის მერვედფინალს რამდენიმე პირველლიგელმაც უწია, უმაღლესლიგელთაგან კი გამონაკლისი მხოლოდ მარტვილის "მერანია", რომელმაც ბრძოლა მეთექვსმეტედფინალში დაასრულა.**

**მერვედფინალური წყვილებიდან რამდენიმეში დაძაბული ბრძოლებია მოსალოდნელი, დაპირისპირებათა ნაწილს კი გამოკვეთილი ფავორიტი ჰყავს. თუმცა მოვლენებისთვის გასწრება მაინც არ ღირს, რადგან სათასო ტურნირებისთვის სენსაციები ყოველთვის დამახასიათებელია.**

### დილა-სამტრედია

გორელები თასის მოქმედი მფლობელები არიან და ბუნებრივია, ტიტულის შესანარჩუნებლად იბრძოლებენ. ერთი შეხედვით, "დილას" სამტრედიული ბარიერის გადალახვა არ უნდა გაუჭირდეს, მაგრამ **ვალდას ივანაუსკასი** თავის შეგირდებს მოდუნების უფლებას არ მისცემს. სუპერთასზე განცდილი მარცხის შემდეგ შიდაქართლელებს საკუთარი ქომაგის წინაშე რეაბილიტაცია მართებთ და საამისოდ კარგი შესაძლებლობა აქვს – უნდა ვივარაუდოთ, რომ "დილა" სოლიდური სხვაობით გამარჯვებასა და მეოთხედფინალის საგზურის დღესვე დაბევებას ეცდება.

### დინამო (ბთ)-მეტალურგი

"მეტალურგს", რომელიც ჯერ კიდევ ინარჩუნებს ქვეყნის ვიცე-ჩემპიონის წოდებას, მიმდინარე ჩემპიონატში საქმეები არასახარბიელოდ წაუვიდა და მოწინავე ექვსეულს მიღმა დარჩა. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ქვემოქართლელებს ევროსარბიელზე გასვლის ერთადერთ გზად სათასო წარმატებაღა დარჩათ.

ვერ ვიტყვით, რომ **გიორგი ყიფიანის** გუნდს მერვედფინალის წილისყრაში მაინცდამაინც გაუმართლა. მართალია, ბათუმის "დინამო" უმაღლეს ლიგაში ციდან ვარსკვლავებს ვერ წყვეტს, მაგრამ ისიც ფაქტია, რომ ზამთრის მოსამზადებელ პერიოდში ზღვისპირელებმა შემადგენლობის გაძლიერებაზე იზრუნეს და არც თასის გათამაშებაში აპირებენ სტატისტის როლში ყოფნას.

ერთი სიტყვით, დღეს ქობულეთში მეტად საინტერესო მატჩს უნდა ველოდოთ. წყვილის ფავორიტი, რა თქმა უნდა, "მეტალურგია", მაგრამ თავისი წილი შანსი ბათუმელებსაც აქვთ.

### ვიტ ჯორჯია-სპარტაკი

შეგვიძლია ვთქვათ, რომ ორივე გუნდს მეოთხედფინალში გასვლის დაახლოებით თანაბარი შანსი აქვს. მართალია, "ვიტ ჯორჯია" უმაღლესლიგელია, ხოლო "სპარტაკი" – პირველლიგელი, მაგრამ ამას დღეისთვის არსებითი მნიშვნელობა არ აქვს. უმაღლესი ლიგის ქვედა ექვსეულის ბინადარ ვეტერინარებს დაქვეითება ნაკლებად ემუქრება, სამაჩაბლოელები კი ელიტაში დაბრუნების რეალური კანდიდატები არიან. ასე რომ, ორივე მათგანს აქვს იმის რესურსი, რომ ამ ბარიერის გადალახვაზე იფიქროს.

ნაკლებად ველით, რომ მეოთხედფინალისტი მცხეთაშივე გამოვლინდება. სავარაუდოა, რომ ორივე შეხვედრაში თანაბარი და უშეღავათო ბრძოლა გაჩაღდება.

### სიონი-ზუგდიდი

კიდევ ერთი თანაბარი წყვილი, სადაც ნებისმიერი შედეგია მოსალოდნელი. "ზუგდიდმა" კურსი გაახალგაზრდავებისკენ აიღო, "სიონი" კი ზამთრის შეკრებაზე მოლონიერდა და ამბიციებიც გაეზარდა. ასე რომ, მეოთხედფინალის საგზურის მოსაპოვებლად ორივე გუნდი ბოლომდე დაიხარჯება.

"სიონი" "ზუგდიდს" თბილისში, "მიხეილ მესხზე" უმასპინძლებს, რაც ქვემოქართლელთა წისქვილზე ნამდვილად არ დაასხამს წყალს. საქმე ის არის, რომ ბოლნისური არენის მოედანი საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის საშეჯიბრო კომიტეტმა სათამაშოდ უვარგისად შეაფასა და "სიონს" ამ პრობლემის მოგვარება მოსთხოვა.

ბოლნისში ამ საკითხის გადასაჭრელად ზრუნვა უკვე დაიწყეს და მოედნის საფარი უკვე იცვლება, ოღონდ, გაზონი ჯერ სათამაშოდ მზად არ არის. სავარაუდოდ, უახლოესი ოფიციალური მატჩი იქ ჩემპიონატის მეორე ეტაპის მესამე ტურში, 30 მარტს, "სიონსა" და ბათუმის "დინამოს" შორის გაიმართება.

### გურია-ზესტაფონი

"გურია" პირველ ლიგაში დამაჯერებლად ასპარეზობს და უმაღლესში ალზევების შესანიშნავი შანსი აქვს. ლანჩხუთელთა ბოლოდროინდელი შედეგებიდან გამომდინარე, შეგვეძლო გვეფიქრა, რომ ისინი ქვეყნის მოქმედ ჩემპიონს ღირსეულ წინააღმდეგობას გაუწევდნენ, მაგრამ მას შემდეგ, რაც ცნობილი გახდა, რომ ორივე მერვედფინალური შეხვედრა ზესტაფონში გაიმართება, "გურიას" შანსებმა მკვეთრად იკლო.

"ზესტაფონს" ზედა ექვსეულში საპრიზო ადგილის დასაკავებლად მძიმე ბრძოლები ელის, ევროპის ლიგის საგზურის მოპოვებას **კახა კაჭარავას** გუნდი სათასო ფრონტიდანაც შეეცდება – მეტიც, შესაძლოა, ეს საამისოდ უფრო რეალური გზაც კი იყოს. ასე რომ, ზედმეტია იმაზე საუბარი, თუ რაოდენ მნიშვნელოვანია ფეროელებისთვის დღევანდელი მატჩი. ვნახოთ, სუპერთასის მოპოვების შემდეგ "ზესტაფონი" თავის ერთგულ ქომაგებს გურულთა ძლევითაც თუ გაახარებს.

### ჩიხურა-შუქურა

საჩხერელები ქობულეთელებთან ბრძოლაში უპირობო ფავორიტები არიან. "ჩიხურა" მიმდინარე სეზონის ერთ-ერთი ხმაურიანი სენსაციაა. **სოსო ფრუიძის** გუნდმა ჩემპიონატის პირველი ეტაპი ძალიან სტაბილურად ჩაატარა და უმაღლესი ლიგის სატურნირო ცხრილში დამსახურებულად უკავია მეოთხე საფეხური. ვნახოთ, შეძლებს თუ არა "ჩიხურა" სეზონის მეორე ნახევარშიც ასეთივე შინაარსიანი და შედეგიანი ფეხბურთის დემონსტრირებას. ისიც საინტერესოა, ზემოიმერლები დღესვე გადადგამენ დიდ ნაბიჯს მეოთხედფინალისკენ თუ ქობულეთური მატჩისთვის გარკვეული ინტრიგა შემოგვრჩება.

### ტორპედო-გაგრა

"გაგრამ" ბოლო წლებში სათასო გუნდის იმიჯი შეიქმნა – 2011 წელს გუნდმა საქართველოს თასი მოიპოვა, შარშან კი ნახევარფინალს უწია, სადაც ტურნირის მომავალ გამარჯვებულ "დილასთან" დამარცხდა. 2011 წლის ფინალში კი "გაგრამ" სწორედ "ტორპედო" დაამარცხა.

ასე რომ, ქუთაისშიც და თბილისშიც მიმზიდველ სანახაობას უნდა ველოდოთ, თუმცა მაინც ვერ ვიტყვით, რომ მეტოქეებს მეოთხედფინალში გასვლის თანაბარი შანსები აქვთ – ქუთაისელთა უპირატესობა, ერთი შეხედვით, აშკარაა.

### კოლხეთი-დინამო (თბ)

გასული საუკუნის 90-იან წლებში "კოლხეთი" "დინამოს" ერთ-ერთი უმთავრესი კონკურენტი იყო, მაგრამ მას შემდეგ ბევრი დრო გავიდა და ფოთელებს მაღალი მიზნებისთვის მებრძოლი კლუბი, კარგა ხანია, აღარ ჰყოლიათ.

მიმდინარე სეზონი "კოლხეთისთვის" განსაკუთრებით წარუმატებელია. ზღვისპირელებს უმაღლეს ლიგაში ადგილის შენარჩუნების ოდენ თეორიული შანსი თუ აქვთ და ისლა დარჩენიათ, მომავალზე იფიქრონ. რაღა თქმა უნდა, "კოლხეთს" დედაქალაქური ბარიერის დაძლევის უმცირესი შანსი აქვთ...

თუმცა დღევანდელი მატჩი ინტერესმოკლებული მაინც არ არის. სხვა რომ არაფერი, ეს ხომ "დინამოს" წლის პირველი ოფიციალური შეხვედრაა. ზამთრის პაუზისას **დუშან უჰრინის** გუნდში ბევრი რამ შეიცვალა და ქომაგებს იმის ხილვა ეჩქარებათ, თუ როგორ წარმოაჩენენ თავს ახალწვეულები.



თასის შარშანდელი ფინალი „ზესტაფონსა" და „დილას" შორის სკანდალური გამოდგა

---

ზუგდიდი

## მნიშვნელოვანი დანაკლისი

თურქული შეკრებიდან დაბრუნებულმა "ზუგდიდმა" ორდღიანი ტაიმაუტის შემდეგ, საკუთარ მინდორზე პირველად ივარჯიშა. ანთალიაში დაშავებული ზუგდიდელთა ფორვარდი **ირაკლი ქობალია** კვლავ უვარჯიშებელია და სამედიცინო შემოწმებას გადის. ტრავმის გამო ვარჯიში **ლაშა კუკავამ** და **ვაკო ტყემალაძემაც** გამოტოვეს, ხოლო შეკრების ბოლო დღეს დაშავებულმა **ლევან წურწუმიამ** გუნდთან ერთად სრული დატვირთვით ივარჯიშა.

გუნდის მთავარი მწვრთნელი **ელგუჯა ქომეთიანი** შეკრებასა და "ზუგდიდში" არსებულ მდგომარეობას ასე აფასებს:

*„თურქულ შეკრებას დადებითად ვაფასებ, რადგან მთლიანობაში, სანვრთნელი პროცესი ნაყოფიერი გამოგვივიდა. ძალიან სამწუხაროა ჩვენთვის, რომ პირველ სათასო შეხვედრაში ვერ დაგვეხმარებიან გუნდის ერთ-ერთი ლიდერი ირაკლი ქობალია, ასევე შემტევი ლაშა კუკავა. სათუოა ვაკო ტყემალაძის თამაშიც, რაც დიდი დანაკლისია ჩვენი გუნდისთვის. ანტალიიდან დაბრუნების შემდეგ ფეხბურთელები ორი დღით დავასვენეთ და ისევ შევიკრიბეთ. ზამთრის პერიოდში საკმაოდ გაძლიერდნენ ბოლნისელები და ბუნებრივია, "სიონთან" რთული თამაში გვექნება, მაგრამ სათასო შეხვედრისთვის მაქსიმალურად ვემზადებით და ჩვენი მიზანია მომდევნო ეტაპზე გასვლა. ეს თამაში კიდევ ერთი ტესტი იქნება იმისა, თუ რამდენად მზად ვართ ოფიციალური შეხვედრებისთვის. იცით, რომ უმაღლეს ლიგაში პირველ მატჩს გასვლაზე ვთამაშობთ თბილისის "დინამოს" წინააღმდეგ და ამით ყველაფერი ნათქვამია".*

"ზუგდიდმა" კი ასეთი შემადგენლობით ივარჯიშა:

**მეკარეები: ძაგანია, მაქაცარია;**
**მცველები: აფაქიძე, აკობია, რ. ონიანი, გამეზარდაშვილი, კანკია, ქვარცხავა, გამრეკლიძე, აქუბარდია;**
**ნახევარმცველები: სიხარულია, გუგუჩია, ხუბუა, შ. ლომია, ნ. შონია, წურწუმია, ფარჯიკია, ქანთარია;**
**თავდამსხმელები: გაბედავა, ეხვაია, ბულია.**

სპარტაკი

## ახალწვეულთა ოთხეული

ცხინვალის „სპარტაკი" სეზონს დღეს, საქართველოს თასის მერვედფინალური მატჩით განაახლებს. ანთალიურ შეკრებაზე **ვლადიმერ ხაჩიძის** გუნდთან ერთად არაერთი ახალი ფეხბურთელი ვარჯიშობდა და მათგან ოთხი მოთამაშის საკითხი დადებითად გადაწყდა. ამ კვარტეტის ჩაკონათვალი ასეთია:

**ნიკა მგელაძე** 2010-11 წლების სეზონში ცხინვალელთა გუნდში გამოდიოდა, საიდანაც ზუგდიდის „ბაიაში" გადავიდა, იქიდან კი ლიტვურ „ბანგაში". 27 წლის მცველმა „სპარტაკთან" კონტრაქტი გააფორმა.

ცხინვალელთა მეორე ახალწვეული 20 წლის თავდამსხმელი **ლაშა კემუხტაშვილია**, რომელიც ქუთაისის „ტორპედოს" შემდეგ ბოლნისის „სიონში" გამოდიოდა.

19 წლის შემტევი ნახევარმცველი **კონსტანტინე ხიზანეიშვილიც** უკვე სპარტაკელია. ხიზანეიშვილი თბილისის "დინამოს" საკუთრება იყო და ან უკვე ყოფილი გუნდი თავისუფალი აგენტის სტატუსით დატოვა...

ცხინვალელთა გუნდის მეოთხე ახალწვეულია 27 წლის მეკარე **ვლადიმერ ზუხბაია**, რომელიც ზუგდიდის „ბაიას" შემდეგ ბოლნისის „სიონში" ასპარეზობდა.

გვერდი მოამზადა
**ლევან ჯანეზაშვილმა**

## ქართული ფეხბურთი

**ინტერვიუ ვალდას ივანაუსკასთან**

# პოზიტიურად აგრესიულობა, ეს არის ფეხბურთის მომავალი



გურამ დოლენჯაშვილის ფოტო

**ვალდას ივანაუსკასი საბჭოთა კავშირის უმაღლეს ლიგაში გამორჩეული ფეხბურთელი იყო, შეიძლება ითქვას, რომ საბჭოთა ჩემპიონატის ერთ-ერთი ვარსკვლავიც კი გახლდათ.**

**46 წლის ივანაუსკასი ახლა გორის „დილას' მთავარი მწვრთნელია. ვინ იფიქრებდა, რომ ბუნდესლიგური „ჰამბურგის" ყოფილი ვარსკვლავი „დილას" მწვრთნელი გახდებოდა, მაგრამ ფეხბურთი ეგეთია, მოვლენები აქ სწრაფად იცვლება და ვითარდება.**

**ივანაუსკასი მხოლოდ ფეხბურთელობით არ ყოფილა გამორჩეული, ედინბურგის „ჰართსი" შოტლანდიურ პრემიერლიგაში მეორე ადგილზე გაიყვანა და იმავე სეზონში „ჰართსმა" მისი ხელმძღვანელობით შოტლანდიის თასი მოიგო.**

**ივანაუსკასი კარგი მოსაუბრეც ყოფილა, მიუხედევად მჭიდრო გრაფიკისა, დაახლოებით 45 წუთი დაგვითმო ინტერვიუსთვის. ერთი ტაიმი ის დრო არ არის, რომ მდიდარი საფეხბურთო ბიოგრაფია სრულად მოიცვა, თუმცა ვფიქრობ, რომ ეს დრო ნაყოფიერად გამოვიყენეთ.**

**მაშ ასე, ვალდას ივანაუსკასი წარსულზე, აწმყოსა და მომავალზე...**

## ქართველები სტრესისგან იცლებოდნენ

**- საბჭოთა კავშირი ძალიან ჩაკეტილი ქვეყანა იყო და ხშირად საფეხბურთო ამბებიც მეტ გამჭვირვალობას საჭიროებდა. 1988 წლის ოლიმპიურ თამაშებზე სეულში თქვენ არ წაგიყვანეს, არადა, ჩინებულ ფორმაში იყავით და თითქოს ყველაფერი ნორმალურად მიდიოდა. მაინც რა მოხდა?**

- ოლიმპიურ ნაკრებთან ერთად ყველა შეკრება გავიარე, თუმცა ოლიმპიადაზე წასვლამდე ორი კვირით ადრე ყოველგვარი ახსნა-განმარტების გარეშე შემატყობინეს, რომ სეულში არ წამიყვანდნენ. 2005 წლამდე არ ვიცოდი ამ გადაწყვეტილების მიზეზი, 2005 წელს კი ანატოლი ბიშოვეცს, ვინც 1988 წლის ოლიმპიური თამაშებისთვის ხელმძღვანელობდა საბჭოთა ნაკრებს, თურქეთში შევხვდი უკვე როგორც კოლეგას, მაშინ „კაუნასის" მწვრთნელი გახლდით. ბიშოვეცმა მითხრა, შენი სეულში არწაყვანის გადაწყვეტილება „ზემოთ" მიიღესო. ოლიმპიური ჩემპიონი რომ ვერ გავხდი, ძალიან გულდასაწყვეტია, თანაც ნაკრების საკვანძო ფეხბურთელი ვიყავი, სულ ძირითადში ვთამაშობდი. ოლიმპიადის შემდეგ ვალერი ლობანოვსკი დამიკავშირდა და მითხრა, საბჭოთა კავშირის პირველ ნაკრებში ხარ მიწვეულიო. შესარჩევ ციკლში ნაკრები ავსტრიას ეთამაშებოდა და ლობანოვსკის ნდობამ, ცოტა არ იყოს, დამაწყნარა ოლიმპიადაზე ვერწასვლის შემდეგ. რას ვიზამთ, ფეხბურთში ხდება ასეთებიც...

**- ლიტვაში ნომერ პირველი სპორტი კალათბურთია, თქვენ კი ფეხბურთელობა აირჩიეთ - რამ გიბიძგათ ფეხბურთისკენ?**

- კაუნასში დავიბადე, კურტინაიტესი, ვალდემარას ხომიჩუსი - ეს კალათბურთელები ღმერთებივით იყვნენ ლიტვაში, თუმცა ზამთრის შემდეგ ლიტველ ხალხს ფეხბურთზე წასვლაც უყვარდა. მოზარდობის პერიოდში ფეხბურთზეც დავდიოდი, კალათბურთზეც და ხელბურთზეც, მეათე კლასში კი არჩევანი ფეხბურთისკენ გავაკეთე.

**- 80-იანი წლები - იმ დროისთვის ყველაზე უფრო რითი გამოარჩევდით ქართველ ფეხბურთელებს, რა თვისებებით?**

- პირველ რიგში ტექნიკით, თამაშის სპეციფიკური სტილით. საკუთარი ხელწერა ჰქონდა ვილნიუსის „ჟალგირისსაც", მოსკოვის „სპარტაკს"... თბილისის „დინამოს" ყოველთვის ჰყავდა 3-4 გამორჩეული ინდივიდუალისტი, ჩივაძე, ყიფიანი, შენგელია, სულაქველიძე, გაბელია...ჩვენ, „ჟალგირისი" კი უფრო გუნდური თამაშით გამოვირჩეოდით. მაყურებელიც გამორჩეული ჰყავდა თბილისის „დინამოს", ქართველები სტადიონზე რომ მოდიოდნენ, თითქოს მთელი სტრესისგან იცლებოდნენ, თქვენი „დინამო" მართლაც სახალხო გუნდი იყო მაშინ...

## სიომინი დიდი ადამიანია, რეჰაგელი შორსმჭვრეტელი, მაგათი კი...

**- პოსტსაბჭოთა ქვეყნებში მას შემდეგ ბევრი რამ შეიცვალა. ახლა როგორია ცხოვრება ლიტვაში?**

- კრიზისი იყო, ახლა კი ქვეყანა უკეთესობისკენ მიდის. ძველი თაობისთვის ძალიან ძნელია ახალ ცხოვრებასთან მორგება, ხოლო ახალგაზრდობამ ალლო აუღო ევროპულად ცხოვრებას.

**- ლიტვურ ფეხბურთში სასიკეთო ცვლილებები რამდენად არის მოსალოდნელი?**

- სამწუხაროდ, ლიტვაში ფეხბურთი წინ ვერ მიდის, რაც ფეხბურთის ფედერაციის ბრალია. 5-6 წლით წინ რომ გავიხედოთ, მაშინაც არ ჩანს კარგი არაფერი.

**- ლატვიელებმა კი არცთუ ცოტას მიაღწიეს ფეხბურთში საბჭოთა კავშირს დაშლის შემდეგ, ლატვიის ეროვნულმა ნაკრებმა 2000 წელს ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზეც კი ითამაშა...**

- ლატვიაში შეიქმნა სისტემა, რიგის „სკონტომ" სტარკოვს მისცა იმის საშუალება, რომ გუნდში კარგ ფეხბურთელებს მოეყარათ თავი. „სკონტო" ეროვნული ნაკრების საბაზო გუნდი გახდა. შეიქმნა საფეხბურთო ინფრასტრუქტურა ლატვიაში, ბაზა, სტადიონი, მანეჟი... რვაწლიანი მუშაობის შემდეგ კი ნაკრები ევროპის ჩემპიონატზე მოხვდა.

**- საბჭოთა კავშირის ჩემპიონატიდან ავსტრიაში აღმოჩნდით...**

- „ჟალგირისი" ევროთასზე ვენის „აუსტრიას" შეხვდა, ჩვენს წინააღმდეგ პროჰაზკამაც ითამაშა. ამის შემდეგ მე და ნარბეკოვასი „აუსტრიაში" გასინჯვაზე მიგვიწვიეს, ყველაფერმა კარგად ჩაიარა, მაგრამ მაშინ ლიტვა ჯერ არ იყო გამოყოფილი საბჭოთა კავშირიდან, საბჭოთა კანონის თანახმად კი, ფეხბურთელს უცხოეთში წასვლა 27 წლამდე არ შეეძლო. მოსკოვის „ლოკომოტივის" მწვრთნელი იური სიომინი ძალიან კარგი პროფესიონალი და ადამიანია, მან იგრძნო სიტუაცია და მე და ნარბეკოვასი „ლოკომოტივში" მიგვიწვია, პირველი ლიგიდან უმაღლესში გადასვლაში დაგვეხმარეთ და მერე მეც შეგიწყობთ ხელსო. ჩემი და ნარბეკოვასის გარდა კიდევ მიიწვია სიომინმა სხვა ლიტველი ფეხბურთელები, გადავედით უმაღლეს ლიგაში, მერე სიომინმა თავისი კავშირებით, ვიაჩესლავ კოლოსკოვთან კარგი ურთიერთობით ყველაფერი ისე მოახერხა, რომ მე და ნარბეკოვასი „აუსტრიაში" გადავედით. მაშინ 24 წლის გახლდით.

**- როგორც ამბობენ, ავსტრიიდან „ჰამბურგში" ოტო რეჰაგელის რეკომენდაციით გადახვედით - ეს მართლაც ასე იყო?**

- ავსტრიაში ყველაფერი მოვიგეთ, სამჯერ გავხდით ჩემპიონები...ერთხელ ვენის „რაპიდს" ვხვდებოდით და ამ დერბის სანახავად ოტო რეჰაგელი ჩამოვიდა, ის მაშინ „რაპიდში" მოთამაშე ანდრეას ჰერცოგს აკვირდებოდა. თამაშის შემდეგ რეჰაგელმა თავისთან მიხმო, შემაქო და მითხრა, რომ არა ლიმიტი ლეგიონერებზე, ჰერცოგის ნაცვლად შენ აგიყვანდიო „ვერდერშიო". ამის შემდეგ რეჰაგელმა ჩემი თავი ბენო მიოლმანს შესთავაზა, რომელიც მაშინ „ჰამბურგის" მწვრთნელინ იყო. „ჰამბურგის" წარმომადგენლებმა სამჯერ ნახეს ჩემი თამაში, მერე ტრანსფერიც შედგა - გერმანელებმა ჩემში 1,7 მილიონი მარკა გადაუხადეს „აუსტრიას". ნარბეკოვასსაც ეპატიჟებოდნენ, მაგრამ ის ავტრიაში დარჩა.



ივანაუსკასმა „ჰამბურგში" ოთხი სეზონი ითამაშა

**- გერმანიასთან და ბუნდესლიგასთან შეგუება არ გაგჭირვებიათ, „ჰამბურგშიც" მყის ერთ-ერთი წამყვანი ფეხბურთელი გახდით...**

- გერმანული ფეხბურთი და ბუნდესლიგა სულ სხვა დონეა, ახლანდელი ბუნდესლიგა რაც არის, ყველამ ვიცით და ეს ლიგა მაშინაც საკმაოდ მაღალი დონის იყო. „ჰამბურგში" მძაფრი კონკურენცია დამხვდა. გერმანული ენა უკვე კარგად ვიცოდი და ეს საქმეს მიადვილებდა. ბუნდესლიგა ყველანაირად მაღლა იდგა ავსტრიის ჩემპიონატზე, მასმედიაც სხვანაირია გერმანიაში, 6-7 თვე მაინც გახდა საჭირო ბუნდესლიგასთან კარგად შესაგუებლად. მიუნხენის „ბაიერნი" მაშინაც მაღლა იდგა სხვა გუნდებზე, თუმცა ისეთი სხვაობა არ იყო დანარჩენებთან, როგორც ახლაა. კრისტოფ დაუმის „ლევერუზენი", ოტმარ ჰიტცფელდის „დორტმუნდი", კლაუს ტოპმიოლერის „აინტრახტი"... ბევრი ძალიან საინტერესო გუნდი იყო.

**- „ჰამბურგში" ოთხი სეზონი ითამაშეთ, მერე კი თქვენი კარიერა დაღმა წავიდა, არადა, არც ასაკი გიშლიდათ ხელს და არც სხვა რაიმე ფაქტორი...**

- ყველაფერი იმის ბრალი იყო, რომ შეცდომა დავუშვი. „ჰამბურგის" მწვრთნელებისგან ბევრი რამ ვისწავლე, მიოლმანის შემდეგ „ჰამბურგის" დამრიგებლად ფელიქს მაგათი დაინიშნა... ჩემი შეცდომა კი სავალალო გამოდგა.

**- სანამ შეცდომაზე გკითხავდეთ, მაგათზე შევჩერდეთ - ის მართლაც განსაკუთრებული სისასტიკით გამოირჩევა ახალგაზრდა ფეხბურთელების მიმართ? ამ მწვრთნელს გერმანიაში ხომ „მწვალებელ მაგათს" ეძახიან...**

- როცა მაგათი ახალგაზრდა ფეხბურთელში პერსპექტივას დაინახავს, მის მიმართ ძალიან მომთხოვნი ხდება, უნდა, რომ ეს ფეხბურთელი ასი პროცენტით დაიხარჯოს და პატიება არ იცის. ვფიქრობ, რომ მაგათის მეთოდები საჭიროა, დისციპლინის მიმართ მას ექსტრემალური მიდგომა აქვს, რაც ბევრისთვის სამაგალითოა.

## ოჰ, ეს ჩემპიონთა ლიგა

**- ახლა შეცდომაზე გვითხარით...**

— „ჰამბურგის" გულშემატკივარს ვუყვარდი, რადგან თავს არ ვზოგავდი, მოედანზე ასი პროცენტით ვიხარჯებოდი. ახალმა მწვრთნელმა ოთხი ახალი ფეხბურთელი მოიყვანა, ამასობაში კი „ვოლფსბურგმა" შემომთავაზა ტრანსფერი, სამწლიანი კონტრაქტისთვის უნდა მომეწერა ხელი. ჩავედი ვოლფსბურგში, [illegible] ახალ გუნდში და ამ დროს ავსტრიული „ზალცბურგიდან" დამირეკეს. „ზალცბურგი" მაშინ ჩემპიონთა ლიგის საკვალიფიკაციოზე პრაღის „სპარტას" ხვდებოდა. „აუსტრიაში" ჩემპიონი სამჯერ გავხდი, მაგრამ ჩემპიონთა ლიგის ჯგუფში ვერც ერთხელ ვერ გავედით. უკვე 30 წლის ვიყავი, ძალიან მინდოდა ჩემპოიონთა ლიგაში თამაში და ამან ყველაფერი გადაწონა. ჩემმა მენეჯერმა ცუდი რჩევა მომცა, თქვი, რომ ცოლს ქალაქი ვოლფსბურგი არ მოეწონა და ასე გამოვიდეთ ამ სიტუაციიდანო. „ზალცბურგთან" კონტრაქტს მოვაწერე ხელი, „სპარტას" შინ 0:0 ვეთამაშეთ, სტუმრად კი 0:2 წავაგეთ, „სპარტაში" მაშინ პობორსკი, იან კოლერი, ნედვედი თამაშობდნენ...ბუნდესლიგაში კი ველარ დავბრუნდებოდი. საკუთარი კარიერით უკმაყოფილო არ ვარ, თუმცა მეტიც შემეძლო...

**- სამწვრთნელო კარიერა 2003 წელს დაიწყეთ, სამი წლის შემდეგ კი უკვე მოულოდნელ, დიდი წარმატებას მიაღწიეთ შოტლანდიაში...**

- „ჰართსში" ჯერ მთავარი მწვრთნელის თანაშემწე ვიყავი. კლუბის მეპატრონემ, ვლადიმერ რომანოვმა ინტერნაციონალური გუნდი შექმნა საშუალო გაქანების ფეხბურთელებით. კარგი შედეგი არ ჩანდა, რომანოვმა მე შემომთავაზა გუნდის გაძღოლა. არავინ ელოდა, თუ „სელტიკისა" და „რეინჯერსის" შორის ვინმე ჩადგებოდა, მაგრამ მეორე ადგილზე გავედით. 2006 წელს ჩემპიონობიდან ერთი კვირის შემდეგ შოტლანდიის თასისი ფინალი გვქონდა სათამაშო ქვედალიგელთან. მაშინ ვიგრძენი, თუ რამხელა დატვირთვა ჰქონდა ბრიტანელებისთვის თასის მოგებას. თასის ფინალი პენალტების სერიით მოვიგეთ. ედინბურგში დიდი ამბავი იყო. მომდევო სეზონისთვის „ჰართისდან" ოთხი ფეხბურთელი წავიდა, დიდ ზეწოლას ვგრძნობდი მედიისგან და რომანოვისგანაც, პოსტიდან წავედი, „ჰართსში" მენეჯერად დავრჩი. დიდი გამომწვევა იყო, ლიტვის ნაკრების მწვრთნელიც ვიყავი მანამდე, თუმცა შოტლანიაში მწვრთნელობა სულ სხვა გამოდგა...

## საქართველო შორს არასდროს ყოფილა

**- გორის „დილაში" როგორღა აღმოჩნდით?**

- გოჩა თამაზაშვილთან თორმეტი წელია, რაც ვმეგობრობ. დამირეკა გოჩამ და ამიხსნა სიტუაცია, ვესაუბრე ლევან სილაგაძესაც, ყველა ნიუანსი გავიარეთ და მივიღე ეს გამოწვევა. საქართველო ჩემთვის ახალი ქვეყანა არ არის, ბევრი მეგობარი მყავს, საქართველო ჩემგან შორს არასდროს ყოფილა. „დილაში" მოსვლამდეც ვიცნობდი საქართველოს ასაკობრივ ნაკრებებს, ძალიან ნიჭიერი ფეხბურთელები გყავთ, ბევრის მიღწევა შეუძლიათ.

**- ქართულ საკლუბო ფეხბურთს რამდენად კარგად იცნობთ?**

- „ზესტაფონს" უკვე ვეთამაშეთ სუპერთასზე, სხვა ქართულ კლუბებზეც მაქვს შეგროვებული ინფორმაცია.

**- „დილას" რა კონკრეტული მიზანი აქვს ამ სეზონში?**

- ევროსარბიელზე გასვლა.

**- ჩემპიონობა?**

- ეს მიზანი „დინამო" აქვს, თუმცა ჩვენ ბოლომდე ვიბრძოლებთ, ჩვენთვის ყველა მატჩი გადამწყვეტი იქნება.

**- რა სტილს ანიჭებს უპირატესობას ვალდას ივანაუსკასი?**

- ეს ფეხბურთელებზეა დამოკიდებული. „დილას" მოთამაშეებში იმდენი პოზიტივი დავინახე, რასაც არ ველოდი, ჩემი საფეხბურთო ხედვა სწრაფად გაითავისეს. პოზიტიურად აგრესიულობა: ეს არის ფეხბურთის მომავალი.

**- გასაგებია, თუმცა მნიშვნელოვან წარმატრებას ნიჭიერი ფეხბურთელიც სჭირდება...**

- გორის „დილადან" 3-4 ფეხბურთელს შეუძლია მაღალ დონეზე თამაში, თუნდაც ბუნდესლიგაში.

**- საქართველოს ჩემპიონატიდან პირდაპირ ბუნდესლიგაში - ეს რეალურად მიგაჩნიათ?**

- თუ ფეხბურთელს აქვს ეს მიზანი და თუ სათანადოდ მიუდგება საქმეს, ეს სავსებით რეალურია. „დილაში" ამ ფეხბურთელების გვარებს კი ახლა ვერ დაგისახელებთ...

**დავით თავართქილაძე**

ინტერვიუ. ედენ აზარი

# მიყვარს ყურადღების ცენტრში ყოფნა, ოღონდ მხოლოდ დადებითი კუთხით

**„დეილი მეილის“ ჟურნალისტმა რობ დრეიპერმა „ჩელსის“ ბელგიელ ვარსკვლავს, 22 წლის ედენ აზარს ინტერვიუ სთხოვა. როგორც ავტორი აღნიშნავს, ის თავად არ ელოდა, თუკი ფეხბურთელის პასუხები კონკრეტულ შეკითხვებზე ასეთი გულწრფელი იქნებოდა. მასალას მცირედი შემოკლებით გთავაზობთ.**


ედენ აზარი

## გულწრფელი აზარი

„დიახ, ბოლომდე გულწრფელი ვიქნები,“ – აცხადებს ის, როცა ეკითხებიან, სიამოვნებს თუ არა ყურადღების ცენტრში ყოფნა. „ყველა ფეხბურთელს სიამოვნებს საკუთარი სახელის წაკითხვა საგაზეთო სათაურებში. მესმის, რომ ფეხბურთი გუნდური სახეობაა და საბოლოოდ ყველაფერი მისი ინტერესებიდან გამომდინარეობს, მაგრამ მაინც სასიამოვნოა პრესის ყურადღების ქვეშ ყოფნა“. თუმცა აზარი ისეთ სათაურებს გულისხმობს, როგორებიც ხუთშაბათს, ევროპალიგაზე „სპარტასთან“ მისი გადამწყვეტი გოლის მერე დაიწერა. სწორედ მისმა გასროლამ გადაარჩინა „ჩელსი“ მეორე ევროპული ტურნირიდან გამოთიშვას. აზარი ერთი თვის წინ ნაკლებად საამაყო ისტორიის გმირიც გახდა, როცა ბურთის მიმწოდებელი ბიჭისთვის ფეხის მირტყმისთვის დისკვალიფიცირებული იყო. სატელევიზიო გამეორებებმა დაგვარწმუნა, რომ ედენი ბურთს უმიზნებდა. მთელი ეს გაუგებრობა 17 წლის ბიჭუნას გამო დაიწყო, რომელიც ჯერ კიდევ თამაშის წინა დღეს წერდა საკუთარ „ტვიტერზე“, რომ ლიგის თასის 1/2-ფინალში დროს მაქსიმალურად გაიყვანდა. აზარმა საკუთარი საქციელის გამო ბოდიში მოიხადა, მაგრამ ატეხილი ხმაური მისთვის მაინც კარგი გაკვეთილი გამოდგა: „ეს კიდევ ერთხელ ამტკიცებს, თუ რამხელა კლუბია „ჩელსი“. ხალხი მასთან დაკავშირებულს ყველაფერს ყურადღებას აქცევს, იქნება ეს ამბავი დადებითი თუ უარყოფითი. ასეთ დროს კი ადამიანი მაქსიმალურად ფრთხილად უნდა იყოს“.

22 წლის ასაკში აზარმა ინგლისში თავისი თაობის ყველაზე კრეატიული ფეხბურთელის სახელი დაიმსახურა. ყოველ ჯერზე, როცა ის მომენტს ქმნის, კიდევ ერთ ნაბიჯს დგამს თავისი პოტენციალის გამოსავლენად: „ბავშვობაში ალბათ ყველა ვოცნებობდით, რომ მთელი მეტოქე გუნდი მოგვეტყუებინა და ისე გაგვეტანა გოლი. რეალურად ეს ასე არ ხდება. ზოგიერთი საბოლოოდ მეკარედ ყალიბდება, ზოგი – მცველად. საბედნიეროდ, გამიმართლა და შემტევი ფეხბურთელი ვარ. ყოველ შემთხვევაში ვილაცებზე მეტი შანსი მაინც მაქვს, რომ შეხვედრის ბედი გადავწყვიტო“.

## თამაში სახლთან ახლოს

აზარმა მშობლიური ბრენ ლე კონტი 14 წლისამ დატოვა, რათა სახლიდან სულ რაღაც 60 კმ-ში „ლილში“ ეთამაშა. ამის მერე რაღაც წილად ის ფრანგიც არის. ამ ქვეყანაში ის 2011-სა და 2012-ში წლის ფეხბურთელად დაასახელეს. მას ჰყავს მეუღლე ნატაშა და 2 შვილი. ის 4 ძმას შორის უფროსია. 19 წლის **ტორგანი** მასთან ერთად გადავიდა „ჩელსიში“, მაგრამ ამჟამად „ვარეგემში“ იჯარით თამაშობს; **კილიანი** 17 წლისაა და „ლილის“ რიგებში ირიცხება; **ეტანი** კი ჯერ 8 წლისაა და სამშობლოში ცხოვრობს. ძმები საფეხბურთო ოჯახში გაიზარდნენ. მათი დედა **კარინა** ბელგიის ქალთა ჩემპიონატის უმაღლეს ლიგაში თამაშობდა, მამა **ტიერი** კი ნახევრადპროფესიონალი იყო: „დედა ჩემში მხოლოდ კარგს ხედავს. სულ იმას მეუბნება ხოლმე, რომ მოედანზე საუკეთესო ვიყავი. მამასთან საქმე სხვაგვარადაა. თამაშის გარდა ის საფეხბურთო მენეჯერიც იყო და ჩემს თამაშს უკეთ აანალიზებს. თუკი ცუდად ვთამაშობ არც ამას მიმალავს“.

შარშან ზაფხულს აზარით ევროპული გრანდები იყვნენ დაინტერესებულები. მან არჩევანი ჩემპიონთა ლიგის მოქმედ გამარჯვებულებზე გააკეთა: „მთავარი სხვაობა ჩემს ამჟამინდელ და ძველ კლუბს შორის არის ის, რომ აქ ნებისმიერი ნაგება მიუღებელია. „ჩელსიში“ უნდა გესმოდეს, რომ დიდ კლუბში თამაშობ და მოთხოვნები აქ შეუდარებლად მაღალია. მთავარი გამოწვევაც სწორედ ეს არის“.

## ძიუდოს გაკვეთილები

ადაპტაციის პრობლემათაგან ფიზიკური მომზადება ყველაზე უმნიშვნელო გამოდგა. ინგლისში მისთვის პირველი სეზონი ცვალებადი გამოდის, მაგრამ ყველა ტურნირში ერთად 34-ჯერ თამაშის დაწყება სასტარტო შემადგენლობაში სწორედ ამას მოწმობს. აზარს მიაჩნია, რომ ამაში მას სერიოზულად დაეხმარა ბავშვობაში მიღებული ძიუდოს გაკვეთილები: „საკმაოდ მოძრავი ვარ. ბავშვობაში ძიუდოზე დავდიოდი, ასე რომ, ვიცი, მინდორზე როგორ უნდა დავეცე. საფრანგეთშიც იყო უამრავი დაძაბული თამაში და ამ მხრივ დიდი სხვაობა არ მიგრძვნია. მოედანზე თავისუფალი დრო იმისთვის, რომ ამოისუნთქო, არ არის. ყოველ თამაშზე ბოლომდე უნდა დაიხარჯო“.

„ჩელსის“ მთავარ მწვრთნელ **რაფა ბენიტესს** საკუთარი გუნდის გულშემატკივრებთან ცუდი ურთიერთობა აქვს: „მოედანზე როცა ხარ, გესმის ყველაფერი, რაც ტრიბუნებზე ხდება. მათ შორის ის, თუ ვის უსტვენენ, თუმცა ამ დროს ჩვენ ყველანი კონცენტრირებულნი ვართ თამაშზე. მენეჯერთან კი შესანიშნავი ურთიერთობა გვაქვს. ბუნებრივია, რომ გულშემატკივართა აზრი ყველამ უნდა გავითვალისწინოთ, მაგრამ მათი დამოკიდებულება მწვრთნელისადმი ფეხბურთელებს ხელს არ გვიშლის, რადგან ჩვენ ჩვენს საქმეს ვაკეთებთ“.

ლიგის თასი. გამოხმაურება


მიქაელ ლაუდრუპი ლიგის თასით ხელში

# ყველაზე დიდი გამარჯვება კარიერაში

კვირას საღამოს **მიკაელ ლაუდრუპის** „სუონსი“ ლიგის თასის ფინალში ქვედალიგელ „ბრედფორდს“ შეხვდა და 5:0 გაანადგურა. „გედების“ რიგებში როგორც ყოველთვის **ჯონათან დე გუზმანი** (დუბლი), **ნათან დაიერი** (დუბლი) და **მიგელ მიჩუ** (ერთი გოლი) გამოირჩეოდნენ. აი, რა თქვა 48 წლის სპეციალისტმა შეხვედრის დასრულების შემდეგ გამართულ პრესკონფერენციაზე:

- ჩემს კარიერაში ეს ყველაზე მნიშვნელოვანი ტიტულია. დიდ კლუბებში შესაძლოა ამაზე ბევრად მეტს მიაღწიო, მაგრამ „სუონსის“ გამარჯვებას განსაკუთრებულად ფასეულს ხდის ის, რომ პატარა კლუბები ფინალებამდე ბევრად უფრო ძნელად მიდიან. როგორც ფეხბურთელს, გამიმართლა და სხვადასხვა ქვეყანაში დიდ კლუბებში ვთამაშობდი. „სუონსი“ მათთან შედარებით ნამდვილად მოკრძალებული ორგანიზაციაა და ასეთ კლუბთან ერთად ტრიუმფის განცდა ფანტასტიკურია. ლიგის თასის ეს გათამაშება გულშემატკივარს კიდევ დიდხანს დაახსომდება „ბრედფორდისა“ და „სუონსის“ გმირობების წყალობით. ჩვენ უნდა ვიამაყოთ ამით. ცოტა უცნაურიც კი იყო, როცა ფინალში ფავორიტები ვიყავით. ჩემმა ფეხბურთელებმა საკუთარ ძალებში ბოლომდე დარწმუნებულებმა ითამაშეს.

ფეხბურთელებსა და მთელ სუონსის პირველმა ოფიციალურ პირთაგან ქალაქის წარმომადგენლობითი ორგანოს ხელმძღვანელმა **როზმარი ბატლერმა** მიულოცა: „ეს წარმატება ბევრად უფრო მეტია, ვიდრე უბრალო ცნობა ფეხბურთის სამყაროდან. მთელი უელსური სპორტისთვის ეს ისტორიული დღეა, რომლითაც ის იცხოვრებს წლების მერეც. როგორც კლუბის, ისე გულშემატკივართა სიხარულს სრულად ვიზიარებ“.

სულ ბოლოს კი იმას გეტყვით, რომ „უემბლის“ თამაშს ესწრებოდა 94 წლის **ლოუენ ჯონსი**, ადამიანი, ვინც „სუონსის“ ყველაზე ხანდაზმულ გულშემატკივრად მიიჩნევა. ის უკვე 85 წელია „გედების“ ერთგულია.

## ინგლისი

### პრემიერლიგა. XXVII ტური

**ვესტ ჰემი–ტოტენჰემი 2:3**

**გოლები:** 0:1 ბეილი (13), 1:1 ე. კეროლი (25-პენ), 2:1 ჯ. კოული (58), 2:2 სიგურდსონი (76), 2:3 ბეილი (90)

**ვესტ ჰემი** (4-4-2): იასკელაინენი – დემელი (72. პოგატეცი), კოლინსი, რიდი, ობრაიენი – ნოლანი (35. მ. ტეილორი), დიამე (84. კოლისონი), ონილი, ჯ. კოული – ჯარვისი, ე. კეროლი

**ტოტენჰემი** (4-4-2): ლორისი – უოლკერი, დოუსონი, კოლკერი, ვერტონგენი – დემბელე (75. ტ. კეროლი), პარკერი (88. ჯ. ლივერმორი), ლენონი, ბეილი – ჰოლტბი (56. სიგურდსონი), ადებაიორი

**გაფრთხილება:** ჯ. კოული, დიამე, ონილი, კოლინსი - დემბელე

**კარში დარტყმა:** 10-23 (7-15) **კუთხური:** 6-12 **თამაშგარე:** 2-1 **ჯარიმა:** 12-7 **ბურთის ფლობა:** 46%-54%

**მაყურებელი:** 35 005

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. იუნაიტედი | 27 | 22 | 2 | 3 | 64-31 | 68 |
| 2. სიტი | 27 | 16 | 8 | 3 | 50-24 | 56 |
| 3. ტოტენჰემი | 27 | 15 | 6 | 6 | 47-32 | 51 |
| 4. ჩელსი | 27 | 14 | 7 | 6 | 55-30 | 49 |
| 5. არსენალი | 27 | 13 | 8 | 6 | 52-30 | 47 |
| 6. ევერტონი | 27 | 10 | 12 | 5 | 41-34 | 42 |
| 7. ვესტ ბრომვიჩი | 27 | 12 | 4 | 11 | 38-36 | 40 |
| 8. ლივერპული | 27 | 10 | 9 | 8 | 49-34 | 39 |
| 9. სუონსი | 27 | 9 | 10 | 8 | 38-34 | 37 |
| 10. სტოკ სიტი | 27 | 7 | 12 | 8 | 26-32 | 33 |
| 11. ფულჰემი | 27 | 8 | 8 | 11 | 37-42 | 32 |
| 12. ნორვიჩი | 27 | 7 | 11 | 9 | 27-41 | 32 |
| 13. ნიუკასლი | 27 | 8 | 6 | 13 | 38-48 | 30 |
| 14. ვესტ ჰემი | 27 | 8 | 6 | 13 | 31-41 | 30 |
| 15. სანდერლენდი | 27 | 7 | 8 | 12 | 29-36 | 29 |
| 16. საუთჰემპტონი | 27 | 6 | 9 | 12 | 38-49 | 27 |
| 17. უიგანი | 27 | 6 | 6 | 15 | 33-51 | 24 |
| 18. ასტონ ვილა | 27 | 5 | 9 | 13 | 26-52 | 24 |
| 19. რედინგი | 27 | 5 | 8 | 14 | 33-51 | 23 |
| 20. ქუინზ პარკი | 27 | 2 | 11 | 14 | 19-43 | 17 |

**ბომბარდირები:** 19 - **რობინ ვან პერსი** (მანჩესტერ იუნაიტედი), 18 - **ლუის სუარესი** (ლივერპული), 15 - **მიგელ მიჩუ** (სუონსი), 14 - **დემბა ბა** (ნიუკასლი/ჩელსი), 13 – **გარეთ ბეილი** (ტოტენჰემი)

ამბები

## საშიში არაფერია

„მანჩესტერ იუნაიტედის“ 29 წლის ვარსკვლავმა **რობინ ვან პერსიმ** შაბათს „ლოფტუს როუდზე“ „ქუინზ პარკთან“ მატჩის პირველ ტაიმში სატელევიზიო კამერასთან უხერხული შეჯახების შემდეგ ბარძაყის ტრავმა მიიღო, რის გამოც მწვრთნელმა ის დაუყოვნებლივ შეცვალა. „დეილი მეილის“ ცნობით, ჰოლანდიელის ჯანმრთელობას არაფერი ემუქრება და სრულფასოვან სავარჯიშო პროცესს ის 2-3 დღეში დაუბრუნდება. ეს იმას ნიშნავს, რომ პრემიერლიგის საუკეთესო ბომბარდირი 2 მარტს „ნორვიჩთან“ დაპირისპირებისთვის მზად იქნება. თუმცა გამოცემა ვარაუდობს, რომ **ალექს ფერგიუსონი** „იადონებთან“ მას მხოლოდ სათადარიგოთა სკამზე დასვამს. ასე რომ, ვან პერსი ჩემპიონთა ლიგის 1/8-ფინალში „რეალთან“ განმეორებითი მატჩისთვის ნამდვილად მწყობრში იქნება.

## რაიტი: გაყიდეთ ტორესი

„არსენალისა“ და ინგლისის ნაკრების ყოფილი ფეხბურთელის **იან რაიტის** აზრით, „ჩელსი“ სეზონის მიწურულს ვალდებულია **ფერნანდო ტორესი** გუნდიდან გაუშვას, რადგან ის დედაქალაქური გუნდისთვის დიდი ხანია ზედმეტ ტვირთად იქცა. 49 წლის ვეტერანი თავდამსხმელი ფიქრობს, რომ „ელ ნინიო“ ველარასოდეს დაუბრუნდება იმ კონდიციებს, რომლითაც ის „ლივერპულში“ გამოირჩეოდა. „ჩელსი“ ტორესის მიმართ ძალიან მომთმენია. „სპარტასთან“ შეხვედრაში მას იმდენი მომენტი შეექმნა, რომ უბრალოდ კითხვა მიჩნდება, რა ხდება მის თავს. თითქოს ფილმის პერსონაჟია, რომელსაც ვილაცამ მოულოდნელად ტალანტი მოჰპარა. ვწუხვარ, რომ ამის თქმა მიწევს, მაგრამ „სტემფორდ ბრიჯზე“ ლივერპულელი ტორესის ჩრდილიც აღარ თამაშობს. 50 მილიონად შეფასებული თავდამსხმელისგან კი გუნდმა უფრო მეტი უნდა მიიღოს, ვიდრე უბრალოდ კარგი პასებია,“ – აცხადებს რაიტი.

## როჯერსი და ჩხუბი ჰოლანდიაში

კვირას როტერდამის „დე კუიპზე“ „ფეიენოორდმა“ „ეინდჰოვენი“ მიიღო და 2:1 დაამარცხა. შეხვედრას „ლივერპულის“ მთავარი მწვრთნელი **ბრენდან როჯერსი** ესწრებოდა. როტერდამელთა პრესსამსახურის ცნობით, „წითლების“ თავკაცი ჰოლანდიას მასპინძელთა 20 წლის ცენტრალურ მცველ **სტეფან დე ვრაიზე** დასაკვირვებლად სტუმრობდა. მერსისაიდელთა სახელს უკავშირებენ ამ დღეს მოედანზე მყოფ კიდევ რამდენიმე ფეხბურთელსაც – **ბრუნო მარტინს, იორდი კლასის** (ფეიენოორდი), **კევინ სტროოტმანსა** და **ჯერმეინ ლენსს** (ეინდჰოვენი).

აქვე გეტყვით, რომ თამაშის დასრულების შემდეგ, ზემოხსენებულ ლენსსა და სტუმართა 32 წლის მცველ **იორის მატიისენს** შორის ჩხუბი მოხდა. ახალგაზრდა კოლეგა ვეტერანს მაისურაში ეცა და ცოტა დააკლდა, იატაკზე არ დასცა. გაწევ-გამოწევა 2 წუთი გრძელდებოდა. ფეხბურთელები თანაგუნდელებმა გაარიდეს „ბრძოლის ველს“. მართალია, არავის არაფერი დაშავებია, თუმცა ხულიგნობისთვის ლენსს ჰოლანდიის ფეხბურთის ფედერაციისგან მკაცრი სასჯელი არ ასცდება.

გვერდი მოამზადა **ლევან ბიბილაშვილმა**

ეროვნული ბიბლიოთეკა

● პსჟ-მარსელი. გამოხმაურება.


დევიდ ბექჰემი

# ბექჰემის წარმატებული დებიუტი

**ლიგა 1-ის 26-ე ტურის ცენტრალური მატჩი კვირას გვიან დასრულდა და გუშინდელ ნომერში მასზე სათანადოდ საუბრის საშუალება არ მოგვეცა. ამას დღეს გამოვასწორებთ...**

არცთუ იდეალური კლიმატური პირობების (პარიზში თოვდა) მიუხედავად, შეხვედრამ მოლოდინი ბოლომდე გაამართლა. ფრანგული ფეხბურთის კლასიკა ძალიან სანახაობრივი და დაძაბული გამოდგა. მატჩის დაწყების წინ, მოედნის ცენტრში ლეგენდარული **რონალდო** გამოჩნდა, რომელსაც **ზლატან იბრაჰიმოვიჩმა** პსჟ-ს 9-ნომრიანი მაისურა გადასცა.

შეხვედრის ერთ-ერთი გმირი **სალვატორე სირიგუ** გახდა, რომელმაც რამდენიმე რთული ბურთი მოიგერია და საკუთარი გუნდი არაერთხელ იხსნა. იტალიელი მეკარე ძირითადად მეორე ტაიმში დაიტვირთა, იქამდე კი უპირატესობას მასპინძლები ფლობდნენ. ანგარიშის გახსნა უკვე მეორე წუთზე **ესეკილ ლავეცის** შეეძლო, მაგრამ არგენტინელს **სტივ მანდანდა** გადაეღობა. მე-11 წუთზე არ გაუმართლა **ნიკოლას ნკულუს – ლუკას მოურას** დარტყმული ბურთი **ჯოი ბარტონს** მოხვდა, შემდეგ ნკულუს და „მარსელის" კარში ასე აღმოჩნდა.

„ოლიმპიკს" პსჟ-ს კარში გოლი ზედიზედ 13 შეხვედრაში ჰქონდა გატანილი და წარმატებული სერიის გაგრძელებასთან **ელი ბოპის** გუნდი საკმაოდ ახლოს იყო, მაგრამ სირიგუ კვირას საოცრებებს სჩადიოდა. განსაკუთრებით კარგი მომენტები **ფუედ კადირის** და **მატიო ვალბუენას** ჰქონდათ, მაგრამ იტალიელი მეკარე ბრწყინვალედ თამაშობდა. მეორე გოლის გატანა შეეძლოთ **ხავიერ პასტორეს** და **ესეკილ ლავეცისაც**, მაგრამ ვიზავის არც მანდანდა ჩამორჩა.

მატჩის ერთ-ერთი ღირსშესანიშნავი მომენტი 75-ე წუთზე დადგა, როდესაც პასტორეს ნაცვლად მოედანზე **დევიდ ბექჰემი** გამოჩნდა. საინტერესოა, რომ ინგლისელი პსჟ-ს ისტორიაში მე-400 ფეხბურთელი გახდა და მან თავი სადებიუტო მატჩშივე გამოიჩინა. სწორედ ბექჰემმა წამოიწყო საგოლე შეტევა, რომელიც **ჟერემი მენეზმა** გააგრძელა და ზლატან იბრაჰიმოვიჩმა დააგვირგვინა. ეს ყველაფერი შეხვედრის ბოლო წუთზე მოხდა და მატჩიც მალე დასრულდა. აქვე გეტყვით, რომ ეს გუნდები ერთმანეთს კიდევ ერთხელ ოთხშაბათს, უკვე საფრანგეთის თასის ეგიდით შეხვდებიან.

მატჩის შემდეგ, გუნდების მწვრთნელები განსხვავებულ განწყობაზე იყვნენ.

**კარლო ანჩელოტი** (პარი სენ-ჟერმენი): *„საკმაოდ რთული მატჩი გამოვიდა, რომელშიც ძალიან მნიშვნელოვანი გამარჯვება მოვიპოვეთ. ამ სამ ქულას დიდი ფასი აქვს, რადგან „მარსელთან" სხვაობა 8 ქულამდე გავზარდეთ. მეტოქემ სერიოზული პრობლემები შეგვიქმნა, მაგრამ გოლის გატანის შანსები ჩვენც გვქონდა. ბექჰემმა დღეს ითამაშა, რადგან მზად იყო, ხოლო ზოგიერთ ფეხბურთელს დასვენება სჭირდებოდა. ოთხშაბათს, დევიდმა შესაძლოა ძირითადში ითამაშოს".*

**ელი ბოპი** (მარსელი): *„იმედგაცრუებული ვარ, რადგან ანგარიში უნდა გაგვეთანაბრებინა. საკმაოდ კარგად ვითამაშეთ, ნახევარდაცვაში არაერთი ბურთი მოვიგეთ და სახიფათოდაც ვუტევდით. დამაგვირგვინებელ ფაზაში მეტი სიზუსტის და ცივსისხლიანობის გამოჩენა გვმართებდა. შედეგი დამაკმაყოფილებელი არაა, მაგრამ ჩემი ფეხბურთელების გამოსვლით კმაყოფილი ვარ. ჯერ არ ვიცი ოთხშაბათს როგორი შემადგენლობით ვითამაშებთ, რადგან დღეს ბევრი ფეხბურთელი დაიღალა და ყველაფერი მათ მიერ კონდიციების სწრაფად აღდგენაზე იქნება დამოკიდებული".*

ციფრი 400 კიდევ ერთხელ უნდა ვახსენოთ. თუ ბექჰემი პსჟ-ს ისტორიაში მე-400 ფეხბურთელი გახდა, **სილვენ არმანმა** ლიგა 1-ში მე-400 შეხვედრა ჩაატარა (118 „ნანტში", 282 „პარი სენ ჟერმენში"). ვეტერანი მცველი კმაყოფილი იყო:

*„დღევანდელი კლასიკა, ალბათ საუკეთესო პსჟ-"მარსელი" იყო. ძალიან მნიშვნელოვანია, რომ ეს მატჩი მოვიგეთ, თანაც ეს ყველაფერი ჩემთვის საიუბილეო, მე-400 შეხვედრაში მოხდა. ამაზე უკეთეს იუბილეზე ნაღმვილად ვერ ვიოცნებებდი,"* – განაცხადა არმანმა.

**ტატო ბაციკაძე**

● სიონი

# გატუზო სიონის მოთამაშე მწვრთნელია!


ჯენარო გატუზო „სიონის" ფორმით

შვეიცარიაში გადახვეწილი **ჯენარო გატუზო** იქაური „სიონის" მოთამაშე მწვრთნელად დაინიშნა! კლუბის პრეზიდენტმა **კრისტიან კონსტანტინმა** „თუნთან" 0:4-ზე წაგების შემდეგ მთავარ მწვრთნელ **ვიქტორ მუნიოსს** მთავარი მწვრთნელის უფლებები ჩამოართვა და მისი ფუნქციები 35 წლის იტალიელს დააკისრა.

*„მუნიოსი ოფიციალურად გუნდის თავკაცად რჩება, რადგან გატუზოს მწვრთნელის ლიზენცია არა აქვს, მაგრამ გუნდს სწორედ ჯენარომ უნდა მიხედოს,"* - განაცხადა კონსტანტინმა.

„სიონმა" შვეიცარიის ჩემპიონატში ბოლო ოთხიდან სამი მატჩი წააგო, ცხრილში მეოთხე ადგილზეა და ლიდერ „გრასჰოპერსს" უკვე 9 ქულით ჩამორჩება. შეგახსენებთ, რომ ჯენარო გატუზო ამ კლუბში გასულ ზაფხულს გადავიდა.

**გოტფრიდ ლენცი**

● ბრაზილია. შტატების ჩემპიონატები. პაულისტა და კარიოკა.

# ჩვეული ოთხეული

**პაულისტა. IX ტური**

**სან პაულო-ლინენსე 3:0**
**გოლები:** 1:0 ჟადსონი (33), 2:0 ოსვალდო (63), 3:0 ფაბიო ლიმა (78-საკ. კარში).

**ბრაგანტინო-კორინთიანსი 2:2**
**გოლები:** 1:0 ლეო ჟაიმე (46), 1:1 პატო (48), 2:1 ლინკომი (55), 2:2 გერერო (90-პენ).

**პალმეირასი-უნ. ბარბარენსე 1:0**
**გოლი:** 1:0 ლეანდრო (82).

**სანტოსი-XV დე პირასიკაბა 2:1**
**გოლები:** 0:1 სესინია (52), 1:1 ანდრე (71-პენ), 2:1 ანდრე (74).

**მოჟი მირიმი-ოესტე 1:0**
**პაულისტა-ატლ. სოროკაბა 3:1**
**მირასოლი-სან კაეტანო 3:0**
**ბოტაფოგო სპ-პენაპოლენსე 1:0**
**იტუანო-გუარანი 2:2**
**პონტე პრეტა-სან ბერნარდო 1:1**

**სატურნირო მდგომარეობა:** 1. სან პაულო (8 თამაში) – 19 ქულა, 2. პონტე პრეტა – 19, 3. მოჟი მირიმი – 17, 4. სანტოსი – 17, 5. პალმეირასი – 16, 6. ლინენსე – 16, 7. ბოტაფოგო სპ – 15, 8. კორინთიანსი – 14, 9. პენაპოლენსე – 13, 10. პაულისტა – 13, 11. ბრაგანტინო – 13, 12. მირასოლი – 10, 13. იტუანო – 10, 14. XV დე პირასიკაბა – 9, 15. გუარანი – 8, 16. ოესტე – 8, 17. ატლ. სოროკაბა – 6, 18. სან ბერნარდო – 6, 19. უნიაო ბარბარენსე (8 თამაში) – 5, 20. სან კაეტანო – 5.

**ბომბარდირები:** 7 – ლინკომი (ბრაგანტინო); 6 – ნეიმარი (სანტოსი); 5 – ლეო ჟაიმე (ბრაგანტინო), მარსიო დიოგო (XV დე პირასიკაბა), მირალიესი (სანტოსი), რონი (მოჟი მირიმი).



**ნეიმარის** გარეშე მოთამაშე „სანტოსმა" საკუთარ მოედანზე „XV დე პირასიკაბას" მოუგო. მასპინძლები თავიდან აგებდნენ, შერცხვენისგან კი „სანტოსი" კიევის „დინამოს" და „ბორდოს" ყოფილმა ფორვარდმა, **ანდრემ** იხსნა – 22 წლის ფორვარდმა ჯერ პენალტი გამოიყენა, სამ წუთში კი გამარჯვების მომტანი გოლი გაიტანა.

ჩემპიონატში კი „სან პაულო" გალიდერდა, რომელსაც ერთი მატჩი თადარიგში აქვს. **ნეი ფრანკოს** გუნდმა „ლინენსე" გაანადგურა, რომლისთვისაც ეს ამ სეზონში პირველი მარცხი იყო.

„კორინთიანსი" წაგებას ბოლო წუთზე გადაურჩა – **ხოსე პაულო გერერომ** პენალტი გამოიყენა და მსოფლიოს ჩემპიონებს ქულა მოუტანა. მანამდე, მეორე ტაიმის დებიუტში, თავისი მორიგი გოლი **ალეშანდრე პატომ** გაიტანა. „ტიმაომ" ზედიზედ მეოთხე ფრე ითამაშა და **ტიტეს** გუნდი სატურნირო ცხრილში მერვე, პლეი ოფის ზონის ბოლო პოზიციაზეა.

გაჭირვებით მოიგო „პალმეირასმა", რომელსაც აუტსაიდერ „უნაიო ბარბარენსესთან" საკმაოდ გაუჭირდა, მეორე ტაიმში მოედანზე 10 კაცითაც დარჩა, მაგრამ სამი ქულა მაინც აიღო. ერთადერთი გოლი „გრემიოდან" **ერნან ბარკოსის** ნაცვლად მოსულმა **ლეანდრომ** გაიტანა.

**კარიოკა. ტაკა გუანაბარა. VIII ტური.**

**ოლარია-ფლამენგო 0:2**
**გოლები:** 0:1 რენატო აბრეუ (21), 0:2 რენატო აბრეუ (24).

**ბოტაფოგო-ბოავიშტა 2:2**
**გოლები:** 0:1 ჟილსიმარი (12), 0:2 ჟილსიმარი (14), 1:2 ლუკასი (31), 2:2 ლოდეირო (33).

**ფლუმინენსე-მადურეირა 2:2**
**გოლები:** 1:0 სამუელ როსა (13), 1:1 როდრიგო (42-პენ), 2:1 სამუელ როსა (67), 2:2 როდრიგო (83).

**დუკე დე კაშიასი-ვასკო 1:2**
**გოლები:** 1:0 ჩარლზ ჩადი (14), 1:1 ბერნარდო (73), 1:2 ბერნარდო (79).

**ფრიბურგენსე-მაკაე 1:1**
**ნოვა იგუასუ-რესენდე 2:2**
**ბანგუ-ვოლტა რედონდა 2:0**
**აუდაქს რიო-კისამა 0:0**

**A ჯგუფი: 1. ვასკო და გამა – 16 ქულა, 2. ბოტაფოგო** – 15, 3. მადურეირა – 12, 4. ფრიბურგენსე – 9, 5. ვოლტა რედონდა – 6, 6. კისამა – 6, 7. ნოვა იგუასუ – 5, 8. ოლარია – 3.

**B ჯგუფი: 1. ფლამენგო – 22 ქულა, 2. ფლუმინენსე** – 16, 3. ბანგუ – 14, 4. ბოავიშტა – 14, 5. აუდაქს რიო – 12, 6. მაკაე – 8, 7. რესენდე – 8, 8. დუკე დე კაშიასი – 5.

**ბომბარდირები:** 8 – ერნანი (ფლამენგო); 6 – ბერნარდო (ვასკო და გამა); 5 – ჩარლზ ჩადი (დუკე დე კაშიასი), როდრიგო (მადურეირა).

**1/2 ფინალში შეხვდებიან:** ვასკო და გამა-ფლუმინენსე, ფლამენგო-ბოტაფოგო.

დასრულდა „ტაკა გუანაბარას" ჯგუფური ეტაპი და ოთხივე ნახევარფინალისტი გაირკვა. როგორც მოსალოდნელი იყო, მომდევნო ეტაპის საგზური „დიდმა ოთხეულმა" მოიპოვა. სულ, რიო დე ჟანეიროს შტატის ჩემპიონატი 115-ჯერ გაიმართა და აქედან 104 ტიტული ამ ოთხეულს აქვს გადანაწილებული – „ფლამენგო" 32-გზის ჩემპიონია, „ფლუ" 31-გზის, „ვასკო და გამამ" 22 ტიტული მოიგო, „ბოტაფოგომ" კი 19. დარჩენილი 11 ტიტულიდან, 7 რიო დე ჟანეიროს „ამერიკას" ნადავლი გახდა (ბოლოს 1966 წელს – ამ წლიდან მოყოლებული, ჩემპიონი მხოლოდ „დიდი ოთხეულის" წევრი ხდება), რომელიც რამდენიმე წლის წინ სერია ა-შიც ასპარეზობდა, მაგრამ ახლა ცუდი დროება უდგას და კარიოკას ჩემპიონატის მეორე დივიზიონშია, ბრაზილიის პირველობაზე კი საერთოდ აღარ მონაწილეობს.

„ტაკა გუანაბარას" ნახევარფინალური შეხვედრები 3 მარტს გაიმართება. ტურნირის გამარჯვებული ფინალური მატჩის საგზურს მოიპოვებს, რის შემდეგაც „ტაკა რიო" დაიწყება. თუ „ტაკა რიოსაც" იგივე გუნდი მოიგებს, მაშინ ის შტატის ჩემპიონად გამოცხადდება, ხოლო თუ რომელიმე სხვა კლუბი, მაშინ ფინალური შეხვედრა გაიმართება.

აქვე ვთქვათ ისიც, რომ 1999 წლიდან მოყოლებული, კარიოკას ჩემპიონი ყველაზე მეტჯერ „ფლამენგო" გახდა (8 ტიტული), „ფლუმინენსემ" 3-ჯერ იმარჯვა, მათ შორის შარშან, „ბოტაფოგოს" ანგარიშზე 2 ტიტულია, ხოლო „ვასკო და გამა" ჩემპიონი მხოლოდ ერთხელ გახდა.

**ტატო ბაციკაძე**

● NextGen Series. 1/8 ფინალი.

# ინგლისელთა ტრიუმფი

**აიაქსი-ასტონ ვილა 1:2**
**გოლები:** 1:0 ანდერსონი (14), 1:1 დრენანი (35), 1:2 ლიუისი (64).

**პსვ-ტოტენჰემი 1:1 პენ. 3:4**
**გოლები:** 0:1 კულთირსტი (34), 1:1 სენრიმა-მორეირა (65).

**ბარსელონა-ჩელსი 0:2**
**გოლები:** 0:1 ფერუზი (43), 0:2 ბოგა (90).

**სპორტინგი-ლივერპული 4:0**
**გოლები:** 1:0 მანე (12), 2:0 მანე (24), 3:0 პალინია (64), 4:0 იანკო (89).

**დარჩენილი მატჩები:** ცსკა-პსვ ეინდჰოვენი, ოლიმპიაკოსი-ანდერლეხტი, ინტერი-არსენალი, იუვენტუსი-რუსენბორგი.
**ბომბარდირები:** 6 – დრენანი (ასტონ ვილა); 5 – კოადი (ლივერპული), კულთირსტი (ტოტენჰემი), ფერუზი (ჩელსი), მანე (სპორტინგი).

მცირე პაუზის შემდეგ, განახლდა „ახალი თაობის სერია", რომლის ჯგუფურ ეტაპსაც „ლელო" აქტიურად აშუქებდა. ჯგუფებში თამაშების დასრულების შემდეგ, 16-მა საუკეთესო გუნდმა ასპარეზობა 1/8-ფინალში გააგრძელა, სადაც გუნდები თითო შეხვედრას მართავენ.

ჯერ მხოლოდ 4 შეხვედრა გაიმართა და ტურნირს შარშანდელი ფინალისტი „აიაქსი" და ნახევარფინალისტი „ბარსელონა" გამოაკლდნენ. ამსტერდამელებმა „ასტონ ვილასთან" წააგეს. ბირმინგემელთა მხრიდან ერთი გოლი **მაიკლ დრენანმა** გაიტანა, რომელიც 6 გოლით ტურნირის საუკეთესო ბომბარდირია.

„ჩელსის" ვერც 19-წლამდელთა „ბარსელონამ" აჯობა – როგორც ჩანს, კატალონიაში ამ გუნდის კომპლექსი აქვთ. ფავორიტად, რა თქმა უნდა, მასპინძლები მიიჩნეოდნენ, მაგრამ შოტლანდიელი (!) **ისლამ ფერუზის** გოლით დაწინაურებულმა „ჩელსიმ" კარის მშრალად შენახვა შეძლო, ბოლო წუთზე კი მეორე გოლიც გაიტანა.

წააგო პსჟ-მაც, რომელიც შინ „ტოტენჰემთან" დაძაბულ ბრძოლაში დამარცხდა. გამარჯვებულის ვინაობა მხოლოდ 11-მეტრიანების სერიამ გამოავლინა, სადაც უკეთ, როგორი გასაკვირიც არ უნდა იყოს, ინგლისელები გაისარჯნენ.

„ასტონ ვილას", „ჩელსის" და „ტოტენჰემის" გმირობა ვერ გაიმეორა „ლივერპულმა", რომელიც ლისაბონში განადგურდა.

დარჩენილი მერვედფინალები 27-28 თებერვალს და 6-7 მარტს გაიმართება.

**ტატო ბაციკაძე**


მერსისაიდელებმა მანეს (მარჯვნივ) ვერაფერი მოუხერხეს

ეროვნული ბიბლიოთეკა

● გერმანია. ბუნდესლიგა. XXIII ტურის შეჯამება

# სანამ ზებენერშტრასეს მეტეორი დაეცემა...

## ნოიერის კარში გატანილი ერთი გოლიც საქმეა!

**მიუნხენის „ბაიერნმა“** იმ ზომამდე მიგვიყვანა, რომ რეკორდმაისტერის კარში გატანილი ერთი გოლიც კი სალაპარაკო თემაა - მიუხედავად იმისა, რომ „ბაიერნმა“ თავის მხრივ ექვსი გაიტანა! ბავარიელთა აღმაფრენა უკვე სასაცილოა, საფეხბურთო გერმანიას კი საჩემპიონო ინტრიგა ენატრება. არადა, ბუნდესლიგაში თამაშობს ფეხბურთელი, რომელსაც გარკვეული სტატისტიკით, რომელშიც გოლების გატანის ინტენსივობაზეა საუბარი, ლიონელ მესიმდე ბევრი არაფერი უკლია...



მანუელ ნოიერმა ბუნდესლიგის მიმდინარე სეზონში მე-8 გოლი გაუშვა

### ბაიერნის „პრობლემა“

„ბაიერნის“ მეკარე **მანუელ ნოიერმა** შაბათს მისთვის უჩვეულო მოძრაობა გააკეთა - უკან გაიხედა, საკუთარ კარში შეიხედა და იქ ბურთი დაინახა. რეკორდმაისტერის კიპერის კარი „ვერდერის“ ნახევარმცველმა **კევინ დე ბრუინმა** დალაშქრა. „ბაიერნის“ კარში გოლი გავიდა - იცით, თუ არა თქვენ?! ეს ამ სეზონში ისეთივე იშვიათი მოვლენაა, როგორც ციმბირში მეტეორის ჩამოვარდნა ან რომის პაპის გადადგომა. მართალია, იმ დროს ანგარიში მიუნხენელთა სასარგებლოდ უკვე 4:0 იყო და ამ გოლს სპორტული თვალსაზრისით არანაირი მნიშვნელობა არ ჰქონია („ბაიერნმა“ მერე კიდევ ორი გოლი გაიტანა), მაგრამ მატჩის შემდეგ **იუპ ჰაინკესმა** მაინც დაიჩივლა, დე ბრუინის გოლმა ცოტათი გაგვაბრაზა, რადგან შესვენებაზე მიზნად კარის მშრალად შენახვა დავისახეთო. მოკლედ, ბავარიელებს მეორეადგილოსანთან 17-ქულიანი უპირატესობაც არ ჰყოფნით და ახლა იმაზეც ბრაზდებიან, 23-ე ტურში მე-8 გოლი რომ მიიღეს. შედარებისთვის, „ვერდერს“ ამ დროისთვის 47 გოლი აქვს გაშვებული...

### ჰუშტის ცუდი დღე

„ბაიერნისგან“ დიდი ანგარიშით მოგება, რა თქმა უნდა, არ გვიკვირს, ხოლო რაც შეეხება „ჰანოვერის“ 5:1-ს „ჰამბურგთან“: ფაქტია, რომ რეკორდმაისტერის მერე საუკეთესო ამ ტურში სწორედ **მირკო სლომკას** გუნდი იყო, რომელმაც ბოლო დროს აზრზე მოსული „ჰამბურგი“ გაანადგურა, მაგრამ ცხრილში მაინც ვერ გადაასწრო. „წითლებში“ ყველა ბედნიერი იყო - მხოლოდ **ჟაბოლჩ ჰუშტის** ჰქონდა მოღუშული სახე. ამის მიზეზი კი ის გახლდათ, რომ „ჰანოვერის“ უნგრელმა ლიდერმა პენალტის შესრულებისას ტრავმა მიიღო (!) და იმ დროს, როცა უნდა ეზეიმა, ტკივილისგან დამანჭული სახე ჰქონდა, მერე კი სულაც შესაცვლელი გახდა. ასე კურიოზულ ვითარებაში „ჰანოვერს“ ფეხბურთელი ბოლოს სადღაც 1978-დან 1982 წლების შუალედში დაუშავდა - როცა გუნდის ლეგენდარულმა ფეხბურთელმა **დიტერ შატცშნაიდერმა** ტრავმა თავისი სახლის სამზარეულოში შპალიერის გაკვრის დროს მიიღო...

### გულახდილი კურცი

მენეჯერ **ანდრეას მიულერის** სამოტივაციო განცხადებებმა „ჰოფენჰაიმს“ ვერ უშველა. შუა კვირაში მან გადაცემა „დოპელპასში“ დიდხანს ისაუბრა იმაზე, რომ „ჰოფეს“ ხარისხიანი ფეხბურთელები ჰყავს, მაგრამ გუნდი მაინც ვერ აღწევს წარმატებებს, რადგან არ ჰყავს ისეთი ფეხბურთელი, რომელიც ლიდერობას იტვირთავს და მთელ გუნდს შემოუძახებს. „სოფლელები“ „აუგსბურგთან“ უმნიშვნელოვანეს შეხვედრაში 1:2 დამარცხდნენ, მე-17 ადგილამდე დაქვეითდნენ და საფინალო სასტვენის შემდეგ გუნდის მთავარმა მწვრთნელმა **მარკო კურცმა** ცეცხლზე ნავთი დაასხა - მიკროფონი აიღო და მთელი სტადიონის გასაგონად ჩასძახა, დღეს მე გუნდი არ მყავდაო...

### რიბერის ორი განცხადება

წინა კვირაში **ფრანკ რიბერის** გასახდელში ფანი დახვდა და ნერვები მოუშალა, ამ უქმეებზე კი „ბაიერნის“ ფრანგ დრიბლიორს აბეზარი გულშემატკივარი აღარ ახსოვდა - რეკორდმაისტერმა „ვერდერს“ გადაუარა, რიბერიმ კი ამ შეხვედრაში თავი გოლითა და საგოლე პასით გამოიჩინა. მატჩის შემდეგ ფრანგმა ორი საინტერესო წინადადება თქვა. პირველი: *„ბაიერნი“ მხოლოდ იმ შემთხვევაში არ გახდება გერმანიის ჩემპიონი, თუ „ზებენერშტრასეზე“ მეტეორი ჩამოვარდება!* “მეორე: *„ყველაზე მთავარი გოლები და ფეხბურთის თამაშით სიამოვნების მიღებაა!“*

ამოცანა გვეკითხება: სინამდვილეში რომელი ეკუთვნის მართლა რიბერის?

### ცარიელ-ტარიელი იბიშევიჩი

თავდამსხმელებს არ უყვართ სტატისტიკა, რომელიც მათ უგოლო სერიას გამოხატავს, მაგრამ ადრე თუ გვიან, ეს ყველა ცენტრფორვარდის ხვედრია. ამჯერად „შტუტგარტის“ გოლეადორ **ვედად იბიშევიჩს** ვერ დაემართა კარგი ამბავი - 685 წუთია, გოლი არ გაუტანია. გერმანულ პრესაში ვედოს შესახებ სტატიები ნაირ-ნაირი სათაურებით ქვეყნდება - „ბილდმა“ „იკრიშევიჩი“ შეარქვა, „ზუდკურიერი“ კი „ვედადის უსიამო ვნებებზე“ წერდა. თავად იბიშევიჩი კი უკვე სამი დღეა დუმს...

### ვინ მოარჯულებს მატმურს?

სამაგალითო სტატისტიკა არც ფრანკფურტის „აინტრახტის“ თავდამსხმელ **ქარიმ მატმურს** აქვს. გასული წლის დეკემბერში ის შვიდ დღეში მოედნიდან ორჯერ გააძევეს, რაც ბუნდესლიგის 50-წლიან ისტორიაში, რა თქმა უნდა, პირველი და განუმეორებელი შემთხვევა იყო. მატმურმა მაშინ თქვა, ასეთი რამ აღარასოდეს დამემართებაო, მაგრამ გასულ უქმეებზე კინაღამ ჰეთ-თრიკი შეასრულა: 44-ე წუთზე ქარიმმა **დანიელ კალიჯურის** უკნიდან შეუტია, რაც აშკარად შურისძიებას ჰგავდა, რადგან მანამდე კალიჯური მატმურის თანაგუნდელ **სებასტიან როდეს** ეუხეშა. მსაჯმა კი ქარიმი დაინდო! სამაგიეროდ, არ დაინდო „აინტრახტის“ მწვრთნელმა არმინ ფეემ - მან ეს მოურჯულებელი ტიპი მაშინვე თამაშიდან მოხსნა. თავად მატმური კი უკვე სამი დღეა დუმს...

### საშა ბარსაში?

ახლა ნამდვილად არ ვაპირებთ **საშა მიოლდერსის** გატეხილ ცხვირზე ან მის საგოლე ალღოზე წერას, რადგან მისი სტატისტიკა ყველაფერზე ნათლად მეტყველებს: საშა მიოლდერსი „ფრანკფურტიდან“ „აუგსბურგში“ 2011 წელს სულ რაღაც 175 000 ევროდ გაიყიდა, მას მერე კი ბუნდესლიგის 13 მატჩში 9 გოლი გაიტანა! ამ მაჩვენებლით ის საგოლე აქტივობით **ლიონელ მესის** მხოლოდ 0.1 პროცენტით ჩამორჩება. რაკი ამაზე საქართველოში დავწერეთ, დიდი შანსია, რომ ესპანეთშიც დაეწერათ და არ გაგიკვირდეთ, ძალიან მალე „ლელოში“ ნახოთ სტატია ასეთი სათაურით: „საშა მიოლდერსი ბარსელონაში?“

გვერდი მოამზადა
**გოტფრიდ ლენცმა**

### საუკეთესო ფეხბურთელები

XXIII ტურის შემდეგ, „კიკერის“ შეფასებების მიხედვით

| ფეხბურთელი | კლუბი | შეფასება | ს/შ |
|---|---|---|---|
| 1. კევინ ტრაპი | აინტრახტი | 23 | 2.24 |
| 2. ფრანკ რიბერი | ბაიერნი | 18 | 2.25 |
| 3. მარიო გიოტცე | დორტმუნდი | 21 | 2.45 |
| 4. რენე ადლერი | ჰამბურგი | 22 | 2.64 |
| 5. თომას მიულერი | ბაიერნი | 20 | 2.68 |
| 6. რაფაელ შეფერი | ნიურნბერგი | 20 | 2.75 |
| 7. ტონი კროოსი | ბაიერნი | 22 | 2.76 |
| 8. აარონ ჰანტი | ვერდერი | 19 | 2.76 |
| 9. შტეფან კისლინგი | ლევერკუზენი | 23 | 2.78 |
| 10. ფაბიან გიფერი | ფორტუნა | 23 | 2.80 |

### გოლს პლუს პასის რეიტინგი

| ფეხბურთელი | კლუბი | თამაში | გოლი | პასი | ქულა |
|---|---|---|---|---|---|
| 1. შტეფან კისლინგი | ლევერკუზენი | 23 | 15 | 8 | 23 |
| 2. თომას მიულერი | ბაიერნი | 20 | 11 | 11 | 22 |
| 3. ჟაბოლჩ ჰუშტი | ჰანოვერი | 21 | 9 | 11 | 20 |
| 4. რობერტ ლევანდოვსკი | დორტმუნდი | 20 | 14 | 6 | 20 |
| 5. მარკო როისი | დორტმუნდი | 23 | 11 | 8 | 19 |
| 6. მარიო გიოტცე | დორტმუნდი | 21 | 8 | 9 | 17 |
| 7. მარიო მანჯუკიჩი | ბაიერნი | 19 | 15 | 2 | 17 |
| 8. ნილს პეტერსენი | ვერდერი | 23 | 11 | 5 | 16 |
| 9. ადამ სალაი | მაინცი | 22 | 12 | 3 | 15 |
| 10. შტეფან აიგნერი | აინტრახტი | 23 | 7 | 7 | 14 |

### XXIII ტურის გმირი

## დიდიე ია კონანი (ჰანოვერი)



**დიდიე ია კონანი** თავდამსხმელია, ცენტრფორვარდი, მაგრამ 28 წლის შემსრულებელ გოლეადორს „ჰანოვერის“ მთავარი მწვრთნელი **მირკო სლომკა** ხშირად მარჯვენა გარემარბის პოზიციაზე ათამაშებს ხოლმე. ეს იმიტომ, რომ „წითლების“ წინა ხაზზე დიდი კონკურენციაა - სლომკას ხომ **მამე დიუფი** და **მოა აბდელაუც** ჰყავს. ევროპალიგაში, მახაჩკალის „ანჟისთან“ ია კონანი მარჯვენა ნახევარმცველი იყო და ცუდად ითამაშა. სამაგიეროდ, „ჰამბურგთან“ გაიბრწყინა და თანაც, ისევ ამ პოზიციაზე! „ჰანოვერმა“ 5:1 მოიგო, დიდიემ კი ბუნდესლიგაში თავისი მეექვსე დუბლი (ამ სეზონში მეორე) შეასრულა.

### ტურის სიმბოლური ნაკრები ლელოს ვერსიით




● გერმანიის თასი. 1/4 ფინალი. სამშაბათის მატჩების წინ

# ფრაიბურგის ისტორიული შანსი

## ოფენბახს ვოლფსბურგის გამწარებაც უნდა

| 26 თებერვალი | |
|---|---|
| მაინცი-ფრაიბურგი | 22:00 |
| ოფენბახი-ვოლფსბურგი | 23:30 |
| **27 თებერვალი** | |
| შტუტგარტი-ბოხუმი | 22:00 |
| ბაიერნი-დორტმუნდი | 23:30 |

**დღეს და ხვალ გერმანიაში თასის მეოთხედფინალური მატჩები გაიმართება. მთელი საფეხბურთო გერმანია „ბაიერნისა“ და „დორტმუნდის“ ჯახის მოლოდინშია, მაგრამ ეს მატჩი ხვალ შედგება და ამიტომ, გერმანიის მოქმედი და მომავალი ჩემპიონების დაპირისპირებაზე დეტალურად ხვალინდელ ნომერში მოგითხრობთ, დღეს კი დღევანდელი თამაშები მიმოვიხილოთ.**



ფრაიბურგის კაპიტანი იულიან შუსტერი

„ფრაიბურგი“ ამ სეზონში შესანიშნავად გამოიყურება და ლოგიკურიცაა, ბრაისგაუელები თასის მეოთხედფინალში რომ გავიდნენ. დღეს **კრისტიან შტრაიხის** გუნდი ნახევარფინალის საგზურისთვის „მაინცს“ შეებრძოლება. *„ეს უნიკალური შანსია, რომ ამ მართლაც ბრწყინვალე სეზონში სერიოზულ წარმატებას მივაღწიოთ. არ ვიცი, როდის იყო „ფრაიბურგი“ ბოლოს გერმანიის თასის ნახევარფინალში და ძალიან მინდა, რომ ახლა გავიდეთ,“* - ეს „ფრაის“ კაპიტნის, **იულიან შუსტერის** სიტყვებია.

ის, რაც შუსტერმა არ იცის, ჩვენ, რა თქმა უნდა, ვიცით: ეს „ფრაიბურგი“ (Freiburg SC) გერმანიის თასის ნახევარფინალში არასდროს გასულა! 1935 წელს ამგვარ წარმატებას სხვა „ფრაიბურგმა“ (Freiburg FC) მიაღწია და მაშინ, ნახევარფინალში „შალკესთან“ 2:6 დამარცხდა. ცხადია, გერმანიის თასის მეოთხედფინალური ეტაპის გადალახვა ისტორიული შანსია „მაინცისთვისაც“, რომელსაც ტრავმის გამო დღეს წამყვანი ნახევარმცველი **ელკინ სოტო** არ ეყოლება.

### ითამაშებენ ქართველები?

დღის მეორე მატჩი კი „შტუტგარტისა“ და მეორებუნდესლიგელი „ბოხუმის“ დაპირისპირებაა, სადაც, მოგეხსენებათ, ჩვენებურები, **ალექსანდრე იაშვილი** და **ნიკოლოზ გელაშვილი** თამაშობენ. ბოხუმელთა თავკაცი **კარსტენ ნაიტცელი** იაშვილს ბოლო დროს ძირითად შემადგენლობაში იშვიათად ამწესებს, გელაშვილს კი მხოლოდ შეცვლაზე ათამაშებს ხოლმე. იაშვილმა მეორე ბუნდესლიგის 21 მატჩში მიიღო მონაწილეობა და გოლი არ გაუტანია („კიკერის“ საშუალო შეფასება: 3.47 ბალი), გელაშვილს კი 11 შეხვედრაში მხოლოდ ერთი გოლი აქვს („კიკერის“ საშუალო შეფასება: 4.75 ბალი). „ბოხუმს“ უდიდესი სენსაციის მოხდენა შეუძლია, მაგრამ „შტუტგარტი“ მობილიზებულია, რადგან, როგორც იცით, გერმანიის თასის მფლობელი (ან ფინალისტი) ევროპალიგაში გადის, რისი შანსიც შვაბებს ბუნდესლიგის ცხრილიდან უკიდურესად შემცირებული აქვთ.

მილანური დერბის გამოხმაურება

# იყო თუ არა სამართლიანი მილანური ჯახი

2004 წლის შემდეგ, მილანური დერბი პირველად დასრულდა ფრედ, რამაც ლომბარდიული გრანდების კონკურენტთა წისქვილზე დაასხა წყალი. თუმცა, ამ შემთხვევაში სატურნირო ცხრილი და ჩემპიონთა ლიგის საგზურისთვის ბრძოლა მაინც მეორეხარისხოვანია, მთავარი კი პრესტიჟია, რადგან ეს ჯახი ჯერ ისტორიულ მეტოქეთა ჭიდილია და მხოლოდ შემდეგ ქულებისთვის ბრძოლა...



სტეფან ელ შაარავის შესანიშნავ გოლს მეორე ტაიმში ესეკილ სკელოტომ უპასუხა

## ტაქტიკა და შემადგენლობა

**ანდრეა სტრამაჩონიმ** რამდენიმე მოულოდნელი გადაწყვეტილება მიიღო, რომელთა შორის **რიკი ალვარესის** ძირითად შემადგენლობაში დაყენება უნდა გამოვარჩიოთ. მიმდინარე სეზონში, არგენტინელი სულ სამჯერ იყო სასტარტოში, დერბი კი პირველივე წუთებიდან დაიწყო და გამთამაშებლის პოზიცია დაიკავა. შესაბამისად, **ფრედი გუარინმა** უკან დაიხია, სადაც **ესტებან კამბიასოს** და **ვალტერ გარგანოს** დაუმშვენა გვერდი. სტრამაჩონიმ ერთი უცნაური გადაწყვეტილება მიიღო - ფლანგის მცველებს რატომღაც ადგილები შეუცვალა და **იუტო ნაგატომო** მარჯვნივ გაამწესა, ხოლო **ხავიერ ძანეტი** მარცხნივ.

რაც შეეხება **მასიმილიანო ალეგრის**, მან ნაცადი 4-3-3 ტაქტიკა აირჩია და როგორც მოსალოდნელი იყო, **მარიო ბალოტელის** ფლანგებიდან **კევინ პრინს ბოატენგი** და **სტეფან ელ შაარავი** დაახმარა. თადარიგში დატოვა „ბარსელონასთან“ ნათამარი **მასიმო ამბროზინი, სალი მუნტარის** და **რიკარდო მონტოლივოს** კი გვერდით **ანტონინო ნოჩერინო** ამოუდგა. ასევე, არ უთამაშია **კევინ კონსტანტს**, დაცვის მარცხენა ფრთაზე კი **მატია დე შილიო** გაისარჯა.

## თამაში

აქედანვე ვთქვათ, რომ პირველი ტაიმი „მილანის“ სრული უპირატესობით წაიმართა და შედეგიც შესაბამისი დაფიქსირდა. 21-ე წუთი მიმდინარეობდა, როდესაც სტეფან ელ შაარავიმ კევინ პრინს ბოატენგისგან ზუსტი პასი მიიღო, დასარტყმელ პოზიციაზე გავიდა და **სამირ ჰანდანოვიჩის** კარის ცხრიანი დალაშქრა, 0:1.

„როსონერის“ მალევე შეეძლო ანგარიშის გაზრდა, მაგრამ ორ ეპიზოდში ჰანდანოვიჩმა შესანიშნავად ითამაშა... ორივეჯერ მარიო ბალოტელის აული, ჯერ თავური, შემდეგ კი ახლო დისტანციიდან დარტყმულს გადაელობა. მოკლედ, რომ არა სამირი, დიდი ალბათობით „მილანი“ პირველივე ტაიმში მოამთავრებდა საქმეს. ანტრაქტამდე „ინტერს“ პრაქტიკულად არაფერი შეუქმნია და **კრისტიან აბიატიც** უსაქმოდ იყო.

მეორე ნახევარში, „ნერაძური“ გამოცოცხლდა, რასაც ანდრეა სტრამაჩონის ცვლილებებმაც შეუწყო ხელი. „შავ-ლურჯები“ უფრო აქტიურად გადავიდნენ მეტოქის ნახევარზე და მომენტებსაც უხშირეს. ერთ ეპიზოდში, კრისტიან აბიატიმ ნამდვილი სასწაული მოახდინა, როდესაც ხუთიოდე მეტრიდან თავურ დარტყმაზე მოახდინა რეაგირება. 71-ე წუთზე, „მილანის“ მეკარეც უძლური აღმოჩნდა, როცა ნაგატომოს ჩაწოდებას შეცვლაზე შესული **ესეკილ სკელოტო** გამოეხმაურა და თავური დარტყმით ანგარიში გაქვითა, 1:1. დარჩენილ დროში გუნდებს აღარ გაურისკავთ.

## ანალიზი

პირველ ტაიმში „მილანმა“ აშკარად აჯობა მეტოქეს, რაშიც ანდრეა სტრამაჩონის ექსპერიმენტებმაც შეიტანა წვლილი. რიკი ალვარესს აშკარად უჭირდა შეტევების ორგანიზება და „შავ-ლურჯებიც“ მარტივად კარგავდნენ ბურთს ცენტრში. ამასთან, იუტო ნაგატომომ ვერაფრით აუღო ალღო მარჯვენა ფრთაზე თამაშს, რამაც „მილანის“ მარცხენა-ფლანგელი **მატია დე შილიო** გააჯეჯილა... ახალგაზრდა მცველი დაცვაშიც კარგად ირჯებოდა და დაბნეული ნაგატომოს შემყურე შეტევაშიც აქტიურად წავიდა. აღარაფერს ვამბობთ გოლის ავტორ ელ შაარავიზე. ვერც ბოატენგი-აბატესკენ გადასროლილმა ძანეტიმ ივარგა დიდად და შედეგად, „ინტერმა“ ორივე ფრთა დაკარგა. ანდრეა სტრამაჩონის შეცდომები კისერზე სამირ ჰანდანოვიჩს დააწვა, რომელმაც არაერთხელ იხსნა თავისი გუნდი გაშვებული გოლისგან და მწვრთნელს შესვენებაზე დაშვებული შეცდომების გამოსწორების საშუალება მისცა.

სტრამაჩონიმ რიკი ალვარესი გამოცვალა, გამთამაშებლად **ფრედი გუარინი** აწია, ძანეტისა და ნაგატომოს კი ფლანგები შეუცვალა, რამაც „ინტერი“ ფერზე მოიყვანა და თამაშიც გათანაბრდა. განსაკუთრებით ნაგატომო გააქტიურდა, რომელიც შეტევებში აქტიურად ერთვებოდა და როგორც უკვე აღვნიშნეთ, საგოლე პასიც მიითვალა აქტივში. თავის მხრივ, ძანეტიმაც ამოისუნთქა ჩვეულ პოზიციაზე და მატია დე შილიო დააშოშმინა. მოკლედ, „ინტერმა“ გარდატეხა შეიტანა თამაშში და გამათანაბრებელიც გაიტანა.

გამარჯვება თითქოს უფრო მასიმილიანო ალეგრის გუნდს ეკუთვნოდა, მაგრამ არც „ინტერს“ უნდა დავუკარგოთ ანტრაქტის შემდეგ გამოცოცხლება და შესაბამისად, არც სტრამაჩონის მისივე შეცდომების გამოსწორება - გამომდინარე აქედან, შედეგი კანონზომიერია.

### მატჩის შემდეგ

**ანდრეა სტრამაჩონი (ინტერი):** *„პირველ ტაიმში, „მილანმა“ შესანიშნავად ითამაშა და საკუთარ ნახევარზე მიგვაჯაჭვა, აი მეორეში კი უპირატესობას უკვე ჩვენ ვფლობდით. განსაკუთრებული მადლობა სამირ ჰანდანოვიჩს ეკუთვნის, რომელმაც არაერთხელ გადაგვარჩინა. ვფიქრობ, შედეგი კანონზომიერია, ჩემპიონთა ლიგის საგზურისთვის ბრძოლა კი გრძელდება“.*

**მასიმილიანო ალეგრი (მილანი):** *„მოგება შეგვეძლო, მაგრამ არც ფრეა ურიგო შედეგი. მეორე ნახევარში ბურთზე კონტროლი უნდა დაგვეწესებინა, მაგრამ მეტოქემ მკვეთრად მოუმატა და ამის საშუალება არ მოგვცა. მთლიანობაში, მაინც კმაყოფილი ვარ შეგირდთა თამაშით და არა იმედგაცრუებული, როგორც ეს ბევრს ჰგონია“.*

### იტალია. სერია A. XXVI ტური

**უდინეზე-ნაპოლი 0:0**

**უდინეზე (3-5-1-1):** პადელი – ბენეტია (28. ერუ), დანილო, დომიცი – ბასტა, პერეირა, ალანი, ბადუ, პასკუალე – მურიელი - დი ნატალე (78. მაიკოსუელი).

**ნაპოლი (3-4-1-2):** დე სანქტისი – კამპანიარო, კანავარო (85. ჯემაილი), ბრიტოსი – მესტო (89. ცუნიგა), ინლერი (62. პანდევი), ბერამი, არმერო – ჰამშიკი – ინსინიე, კავანი.

**გაფრთხილება:** პერეირა – კანავარო, ინლერი, ბერამი, არმერო.

**კუთხური:** 4-3; **ჯარიმა:** 19-12; **თამაშგარე:** 3-0; **კარში დარტყმა:** 6-7(1-1); **ბურთის ფლობა:** 41%-59%.

**მაყურებელი:** 20 000

**ლაციო-პესკარა 2:0**

**გოლები:** 1:0 რადუ (29), 2:0 ლულიჩი (35).

**ლაციო (4-5-1):** მარკეტი – კონკო (81. პერეირინია), ცანა, დიასი, რადუ – გონსალესი (66. სიანი), ლედესმა, კანდრევა (81. ედერსონი), ერნანესი, ლულიჩი - ფლოკარი.

**პესკარა (5-3-2):** პელიცოლი – ბალცანო, ბოკეტი, კოსიჩი, კაპუანო, ძაური - რიცო, კაშონე (87. სკული), ბარნასონი – სელიკი (71. კარალიო), აბრუსკატო (60. კაპრარი).

**კუთხური:** 3-3; **ჯარიმა:** 7-11; **თამაშგარე:** 5-3; **კარში დარტყმა:** 10-3(4-1); **ბურთის ფლობა:** 52%-48%.

**მაყურებელი:** 35 000

**26 თებერვალი**

ბოლონია-ფიორენტინა 23:00

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. იუვენტუსი | 26 | 18 | 4 | 4 | 53-17 | 58 |
| 2. ნაპოლი | 26 | 15 | 7 | 4 | 46-21 | 52 |
| 3. ლაციო | 26 | 14 | 5 | 7 | 36-28 | 47 |
| 4. მილანი | 26 | 13 | 6 | 7 | 44-31 | 45 |
| 5. ინტერი | 26 | 13 | 5 | 8 | 40-33 | 44 |
| 6. ფიორენტინა | 25 | 12 | 6 | 7 | 45-30 | 42 |
| 7. კატანია | 26 | 12 | 6 | 8 | 34-31 | 42 |
| 8. რომა | 26 | 12 | 4 | 10 | 53-47 | 40 |
| 9. უდინეზე | 26 | 9 | 10 | 7 | 35-34 | 37 |
| 10. სამპდორია | 26 | 9 | 6 | 11 | 33-30 | 32 |
| 11. პარმა | 26 | 8 | 8 | 10 | 32-35 | 32 |
| 12. ტორინო | 26 | 7 | 11 | 8 | 32-32 | 31 |
| 13. კალიარი | 26 | 8 | 7 | 11 | 32-44 | 31 |
| 14. კიევო | 26 | 8 | 5 | 13 | 26-42 | 29 |
| 15. ატალანტა | 26 | 8 | 5 | 13 | 24-38 | 27 |
| 16. ბოლონია | 25 | 7 | 5 | 13 | 33-35 | 26 |
| 17. ჯენოა | 26 | 6 | 8 | 12 | 26-36 | 26 |
| 18. სიენა | 26 | 7 | 6 | 13 | 27-37 | 21 |
| 19. პესკარა | 26 | 6 | 3 | 17 | 20-53 | 21 |
| 20. პალერმო | 26 | 3 | 11 | 12 | 22-39 | 20 |

*შენიშვნა: სიენა - 6 ქულა, ატალანტა – 2, სამპდორია – 1, ტორინო – 1.*

**ბომბარდირები:** 18 - კავანი (ნაპოლი); 16 – ელ შაარავი (მილანი); 14 - დი ნატალე (უდინეზე); 11 - ოსვალდო (რომა), ლამელა (რომა), იოვეტიჩი (ფიორენტინა), საუ (კალიარი); 10 - კლოზე (ლაციო), პაცინი (მილანი), ჯილარდინო (ბოლონია).

პალერმო

## ძამპარინი ერთობა: მალეზანი გასპერინიმ შეცვალა

**მაურიციო ძამპარინი** განაგრძობს ჩვენს და მთლიანად საფეხბურთო სამყაროს გამხიარულებას. „პალერმოს“ პრეზიდენტმა **ალბერტო მალეზანი** გაათავისუფლა დაკავებული პოსტიდან და გუნდის მთავარ მწვრთნელად **ჯამპიერო გასპერინი** დააბრუნა. შეგახსენებთ, რომ მალეზანიმ სწორედ გასპერინი შეცვალა და სულ სამ შეხვედრაში უთავკაცა სიცილიურ გუნდს. დიახ, ძამპარინისთვის სამი თამაში მწვრთნელის გასათავისუფლებლად სრულიად საკმარისია. მოკლედ, ამიერიდან „პალერმოს“ ისევ გასპერინი უთავკაცებს, კლუბის ვებგვერდზე კი ასეთი განცხადება გამოქვეყნდა:

*„ძალიან ვწუხვართ, რომ ალბერტო მალეზანიმ მალე დატოვა „პალერმო“, მაგრამ ამ ეტაპზე, ასე იყო საჭირო. მალეზანი შესანიშნავი ადამიანია და მას წარმატებებს ვუსურვებთ. გუნდის მთავარ მწვრთნელად 55 წლის ჯამპიერო გასპერინი იმუშავებს, რომლის დაბრუნებასაც კლუბის მესვეურებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი“.*

გვერდი მოამზადა **ლაშა ნიკლაურმა**



კოპა დელ რეი. 1/2 ფინალი. საპასუხო მატჩების წინ

# ღამის ბარსელონა საშიშია

## ჟოზე მოურინიო დი მარიას განაჩენს გამოუტანს?


ჟოზე მოურინიო კაკას მხარს იხრება

| 26 თებერვალი | |
|---|---|
| ბარსელონა-რეალი | 00:00 (I მატჩი: 1:1) |
| **27 თებერვალი** | |
| სევილია-ატლეტიკო | 01:00 (1:2) |

დღეს, ჩვენი დროით შუაღამით ესპანეთის თასის საპასუხო ნახევარფინალურ მატჩში ესპანური ფეხბურთის კლასიკო გველის - „კამპ ნოუზე" „ბარსელონა" „რეალს" მასპინძლობს. შეგახსენებთ, რომ პირველი თამაში 1:1 დასრულდა: **სესკ ფაბრეგასის** გოლს **რაფაელ ვარანმა** უპასუხა.

მადრიდში არ მალავენ, რომ ეს თამაში სანახევროდ გადაწყვეტს, იქნება თუ არა ეს სეზონი „რეალისთვის" წარმატებული (მეორე ნახევრის ბედი „ოლდ ტრეფორდზე" გაირკვევა), არც „ბარსელონა" უჩივის უმოტივაციობას, მით უფრო, „მილანთან" უგერგილო წაგების შემდეგ.

**ჟოზე მოურინიოს** გადაწყვეტილებით, „სამეფო კლუბი" ბარსელონაში თამაშის დღეს ჩავა, უარს იტყვის ღამის სასტუმროში გატარების ტრადიციისგან. მიზეზი კი ის არის, რომ ხშირად მეტოქის აბეზარი ფანები, ფეხბურთელებს ღამღამობით სიმშვიდეს ურღვევენ. პორტუგალიელს სურს, რაც შეიძლება ნაკლებად დაძაბული ემოციური ფონი ახლდეს წინ თამაშს.

რაც შეეხება საკადრო საკითხებს, ესპანური მედია ამტკიცებს, რომ ჟოზემ უკვე გააკეთა არჩევანი **გონსალო იგუაინის** სასარგებლოდ და ცენტრფორვარდის პოზიციას არგენტინელს ჩააბარებს.

ჯერ კიდევ გასარკვევია **ანხელ დი მარიას** საკითხი. დი მარია შაბათის (უკვე ჩემპიონატის) კლასიკოს დისკვალიფიკაციის გამო გამოტოვებს, თუმცა შეიძლება ახლაც არ იყოს სასტარტოში. მოურინიო ძალიან უკმაყოფილოა არგენტინელის ქცევით მოედანზე და მის გარეთ, სამაგიეროდ, **კაკაა** ბრწყინვალე ფორმაში. ასე რომ, კაკა ცენტრფორვარდის უკან ითამაშებს, **მესუთ იოზილი** კი მარჯვენა ფლანგზე გადაინაცვლებს.

სხვათა შორის, ცნობილმა არბიტრმა **იტურალდე გონსალესმა** აღნიშნა, რომ კლასიკო ერთ-ერთი ყველაზე იოლად განსასჯელი მატჩია.

### სავარაუდო შემადგენლობები

**ბარსელონა:** *პინტო - დანი ალვეში, პიკე, პუიოლი, ალბა - ჩავი, ბუსკეტსი, ფაბრეგასი - პედრო, მესი, ინიესტა.*

**რეალი:** *დ. ლოპესი - ს. რამოსი, ვარანი, პეპე, ფ. კოენტრაო - ხედირა, ჩაბი ალონსო - დი მარია (ან კაკა), იოზილი, რონალდო - იგუაინი.*

### განხეთქილების მალენკო

კატალონიელთა ბანაკში დიდი მითქმა-მოთქმა გამოიწვია შეხვედრის არბიტრად **უნდიანო მალენკოს** დანიშვნამ. რაზეც **ჟორდი როურამ** წინასამტჩო კომენტარშიც აღნიშნა:

*„შეხვედრის არბიტრი უკვე ცნობილია და მას ჩვენ ვერ შევცვლით. უბრალოდ, ფაქტები თავისთავად მეტყველებენ - ამ მსაჯთან „ბარსელონას" გაცილებით ცუდი სტატისტიკა აქვს, ვიდრე სხვა მსაჯებთან. ჩვენ ყველას კარგად გვახსოვს მისი მოქმედება 2011 წლის თასის ფინალში, როგორ ხუჭავდა თვალს მეტოქის დარღვევებზე. მალენკოს კარგ მსაჯობას ვუსურვებთ მომავალ შეხვედრაში, ჩვენ კი მთლიანად „რეალთან" თამაშზე ვართ კონცენტრირებულნი".*

**ჟოზე მოურინიოს** პასუხმა არ დააყოვნა: *„ვიცი, რომ მეტოქე მსაჯის გამო შეშფოთებას გამოთქვამს, მე კი ვამჯობინებ, ურთიერთშეხვედრების წარსულიდან მხოლოდ „ბარსელონას" მიერ შემოთავაზებული გაკვეთილებიდან გამოვიტანო დასკვნები და არ ვიფიქრო მსაჯებზე. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ჩვენ არ უნდა ვეცადოთ მეტოქე გუნდის ფეხბურთელებს გაფრთხილებები მივალებინოთ, ვისიმულიანტოთ და ასე შემდეგ. მხოლოდ სპორტულ მხარეზე უნდა ვიფიქროთ, „ბარსელონამ" ფეხბურთის თამაში მართლაც ძალიან კარგად იცის. ჩვენ ჩვენი საქმე უნდა გავაგრძელოთ უხმაუროდ".*

### იცით, თუ არა რომ...

* ყველაზე დიდი ანგარიშით კლასიკო „რეალმა" მოიგო - 1943 წელს „ბარსელონა" 11:1 დაამარცხა.

* ყველა შეჯიბრებაში კლასიკოს ბომბარდირი ალფრედო დი სტეფანოა, მას 18 გოლი აქვს გატანილი, ხოლო ლიონელ მესის ანგარიშზე 17 გოლია.

* კრიშტიანო რონალდომ კლასიკოებში ზედიზედ 6 მატჩში გაიტანა გოლი, ეს შედეგი საუკეთესოა.

* სულ 33 ფეხბურთელია, რომელსაც კლასიკო ორივე გუნდის მაისურით უთამაშია. ამათგან ფეხბურთს ჯერ კიდევ მხოლოდ სამუელ ეტოო და ხავიერ სავიოლა თამაშობენ.

### ესპანეთი

#### ლა ლიგა. XXV ტური

**ლევანტე-ოსასუნა 0:2**

**გოლები:** 0:1 მასუდი (88), 0:2 კიკე სოლა (94)

**ლევანტე (4-2-3-1):** კ. ნავასი - ვინტრა, ბალესტეროსი, დ. ნავარო, ხუანფრანი - იბორა, დიოპი (56. ბარკერო) - რიოსი (68. ვალდო), მიჩელი (73. დუდკა), რუბენ გარსია - მარტინსი.

**ოსასუნა (4-2-3-1):** ა. ფერნანდესი - ბერტრანი, რუბენი, არიბასი, დამია - ლო, ფ. სილვა - არმენტეროსი, ოიერი (83. პუნიალი), დე ლას კუევასი (80. მასუდი) - ნინო (72. კიკე სოლა).

**გაფრთხილება:** ლო, რუბენი

**კუთხური:** 7-2; **ჯარიმა:** 8-21; **თამაშგარე:** 2-0; **კარში დარტყმა:** 7-15 (6-7); **ბურთის ფლობა:** 42%-58%.

**მაყურებელი:** 10 553

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ბარსელონა | 25 | 22 | 2 | 1 | 82-28 | 68 |
| 2. ატლეტიკო | 25 | 18 | 2 | 5 | 48-23 | 56 |
| 3. რეალი | 25 | 16 | 4 | 5 | 62-23 | 52 |
| 4. მალაგა | 25 | 12 | 6 | 7 | 37-24 | 42 |
| 5. ვალენსია | 25 | 12 | 5 | 8 | 36-37 | 41 |
| 6. სოსიედადი | 25 | 11 | 7 | 7 | 41-31 | 40 |
| 7. ბეტისი | 25 | 12 | 3 | 10 | 34-35 | 39 |
| 8. ვალეკანო | 25 | 12 | 1 | 12 | 34-43 | 37 |
| 9. ხეტაფე | 25 | 10 | 5 | 10 | 35-44 | 35 |
| 10. ლევანტე | 25 | 10 | 4 | 11 | 30-38 | 34 |
| 11. ვალიადოლიდი | 25 | 9 | 6 | 10 | 34-33 | 33 |
| 12. სევილია | 25 | 9 | 5 | 11 | 34-37 | 32 |
| 13. ესპანიოლი | 25 | 8 | 7 | 10 | 31-35 | 31 |
| 14. ოსასუნა | 25 | 7 | 7 | 11 | 22-27 | 28 |
| 15. გრანადა | 25 | 7 | 5 | 13 | 24-36 | 26 |
| 16. ბილბაო | 25 | 7 | 5 | 13 | 30-50 | 26 |
| 17. სარაგოსა | 25 | 7 | 4 | 14 | 25-36 | 25 |
| 18. სელტა | 25 | 6 | 5 | 14 | 24-32 | 23 |
| 19. მალიორკა | 25 | 4 | 6 | 15 | 24-48 | 18 |
| 20. დეპორტივო | 25 | 3 | 7 | 15 | 29-56 | 16 |

**ბომბარდირები:** 38 - ლიონელ მესი (ბარსელონა); 24 - კრიშტიანო რონალდო (რეალი); 21 - რადამელ ფალკაო (ატლეტიკო)

სკანდალი

## მზვერავი გვარდიოლა?

### პეპი ჟერარდ პიკეს პირად ცხოვრებას აკონტროლებდა

ესპანურმა პრესამ ახალი სკანდალი ააგორა - თურმე **ხოსეპ გვარდიოლას** „ბარსელონაში" მუშაობის პერიოდში, კერძო დეტექტივი ჰყავდა დაქირავებული, რომელიც **ჟერარდ პიკეს** პირად ცხოვრებას აკონტროლებდა.

გვარდიოლამ „ბარსას" უსაფრთხოების ყოფილი შეფის, **ხავიერ მარტორელის** ნაცნობობა გამოიყენა და სააგენტო „მეტოდო 3-ში" დეტექტივი დაიქირავა. სხვათა შორის, ამბობენ, რომ თავის დროზე მარტორელი ძალიან ბევრ ფეხბურთელს აკონტროლებდა.

მწვრთნელი დიდ ყურადღებას აქცევდა იმას, რომ ფეხბურთელებს შინ გაეთენებინათ ღამე, რადგან მიიჩნევდა, რომ ღამის ბარებში სიარული მათ თამაშზე უარყოფითად აისახებოდა.

რაც შეეხება პიკეს, მას განსაკუთრებული ყურადღება მას მერე მიექცა, რაც ჟერარდმა რომანი გააბა კოლუმბიელ მომღერალ **შაკირასთან**. საქმე იქამდე მისულა, რომ პიკეს აგენტს კლუბის ხელმძღვანელობისთვის შეუჩივლია, ჟერარდს უცნობები დასდევენო. თავად პიკეც გამოთქვამდა ამის გამო უკმაყოფილებას, თანაც... გვარდიოლასთან. მან ხომ არ იცოდა, რომ ამ დევნის უკან თავად მწვრთნელი იდგა.

აი, ასეთია ესპანური ყვითელი პრესის ცნობა.

სავარაუდო ტრანსფერი

## ანჟი საფრანგეთის ნაკრების მცველში 12 მილიონ ევროს იხდის

ესპანური პრესა ამტკიცებს, რომ „ვალენსიას" 27 წლის ფრანგი მცველი **ადილ რამი** თითქმის მახაჭყალის „ანჟის" ფეხბურთელია. წყარო იუწყება, რომ „ვალენსიამ" სასტარტო ფასს (25 მილიონი ევრო) მნიშვნელოვნად დააკლო და იძულებულია წამყვან მოთამაშეს 12 მილიონი ევროს სანაცვლოდ შეელიოს.

ამჟამად „ანჟის" წარმომადგენლები თავად ფეხბურთელს უთანხმდებიან, რომელიც დაღესტანში გადასვლის სანაცვლოდ წელიწადში 5 მილიონ ევრო ხელფასს ითხოვს.

შეგახსენებთ, რომ რამი 2011 წელს „ლილიდან" გადავიდა „ვალენსიაში", მაშინ „ლამურებმა" 10 მილიონ ევრომდე გადაიხადეს. ადილ რამი საფრანგეთის ნაკრების წევრია, სამფეროვანთა რიგებში მის ანგარიშზე 25 თამაში და 1 გოლია.

გვერდი მოამზადა **ნიკოლოზ ნეფარიძემ**



ეროვნული ბიბლიოთეკა

ძიუდო. დიუსელდორფის ტურნირი

# გერმანული შეჯიბრების შუქჩრდილები

**დიუსელდორფის „დიდ პრიზზე“ ქართველ ძიუდოისტთა წარმატებული გამოსვლა ქართული სპორტისთვის განვლილი უქმეების მთავარი ამბავია. შეგახსენებთ, რომ გერმანიაში ჩვენებმა 7 მედალი მოიპოვეს 14 შესაძლებლობიდან ანუ გუნდის ზუსტად ნახევარი სამშობლოში ჯილდოებით დაბრუნდება.**

შეგახსენებთ დიუსელდორფში მონაგარს: 2-2 ოქრო-ვერცხლი და 3 ბრინჯაო. ჩემპიონები **ავთანდილ ჭრიკიშვილი** (81) და **ვალერი ლიპარტელიანი** (90) გახდნენ, **ლევან წიკლაური** (81) და **ადამ ოქრუაშვილი** (+100) მეორეზე გავიდნენ, **ამირან პაპინაშვილი** (60), **შალვა ქარდავა** (66) და **ზვიად გოგოჭური** (90) - მესამეზე. საერთო გუნდურ ჩათვლაში, რაც ქალთა და ვაჟთა მაჩვენებლების შეჯამებით მიილება, მესამეზე გავედით იაპონიისა და საფრანგეთის შემდეგ, მხოლოდ ვაჟთა ტურნირში კი - პირველზე (ეს ფაქტი კიდევ ერთხელ ადასტურებს, რაოდენ მნიშვნელოვანია ქალთა ძიუდოს განვითარება). ეს შეჯიბრება არაფრით არ იყო პარიზულ „დიდ მუზარადზე“ ნაკლები. ეს არც მსოფლიოს პირველობა იყო, მაგრამ მსოფლიოში ერთ-ერთი უძლიერესი შეჯიბრება ნამდვილად გამოდგა და ასეთი წარმატება მით უფრო მნიშვნელოვანია. ნამდვილად საამაყოა, რომ შვიდი წონის ფინალიდან სამში მონაწილე გვყავდა, 81-ში კი სულაც ქართული ფინალი გაიმართა. დაგვეთანხმებით, ეს არაა იოლი ამ დონის ტურნირში, სადაც მსოფლიოსა და ოლიმპიური ჩემპიონები თუ მედალოსნები გამოდიან. მით უფრო, როცა მათ შენ უგებ! ალბათ, ამ წონის დაჯილდოების ცერემონიალზე საქართველოს ჰიმნისას ქართველ ბიჭებთან ერთად ამიტომაც მიიდო მკერდზე ხელი წიკლაურთან დამარცხებულმა კორეელმა მსოფლიოს ორგზის და ოლიმპიურმა ჩემპიონმა **ჯაე-ბუმ კიმიმ** - ამით მან პატივისცემა გამოხატა საქართველოსადმი, როგორც ქვეყნისადმი და ქართული ძიუდოსადმი.

## ქართველები უკვე ბოლომდე იბრძვიან

მართალია, გუნდის მუშაობის მთავარი ბარომეტრი ევროპისა და მსოფლიოს პირველობებზე გამოსვლის ხარისხია, მაგრამ ნაკრებმა ახლაც საკმაოდ მაღალი დონის ჭიდაობა აჩვენა და ის მედლები დამსახურებულ ბრძოლაში მოიპოვა. კვლავაც დავინახეთ პროგრესი ფიზიკურ მომზადებაში, გამძლეობაში, სუნთქვაში... ცალკეულ შეხვედრებში ამ კომპონენტებში პრობლემები ისეთ ფალავნებსაც გამოაჩნდათ, როგორიც ოლიმპიური ჩემპიონი **ლაშა შავდათუაშვილი** (66), იგივე ქარდავა, ჭრიკიშვილი და სხვებია, მაგრამ ეს იყო ერთეული შემთხვევები. მთლიანობაში, კი, როგორც ეტყობა, წარსულს ჩაბარდა ის დრო, როცა ჩვენები შეხვედრის დაწყებიდან 2 წუთში ილლებოდნენ, ხოლო მესამე წუთიდან ლამის ფეხზე ველარ იდგნენ და მეტოქეები სწორედ ამ მომენტს ელოდნენ, რათა თავის ნებაზე ებურთავებინათ ისინი. ახლა არათუ 2-3 წუთის გაძლება, ბევრს შეხვედრის ბოლოსაც არ ეტყობა დაღლა. აშკარად ბევრია ნამუშევარი ტაქტიკაზე და იგივე ლიპარტელიანი ადრე თუ ლამაზად მოგებაზე ზრუნავდა, ახლა ძირითადად შედეგზე ჭიდაობს. კიდევ ვიმეორებთ, რომ მთავარი ევროპისა და მსოფლიოს პირველობებზე გამოსვლაა, მაგრამ ასეთი სასიკეთო ცვლილებები ოპტიმიზმის საბაბს გვაძლევს.

## უზნაძის ხელი

ამ ტურნირზე კიდევ უფრო ცხადად გამოჩნდა **უზნაძის** შრომაც და ახალი წესებიდან გამომდინარე სამწვრთნელო სტრატეგიაც - შეგირდებისგან საშუალო დისტანციაზე, მარცხენა ხელით პირველი ჩავლების ასაღებად დასწრებაზე ჭიდაობას მოითხოვდა, რათა მარჯვენა ხელით ზედა ჩავლება-გადავლებაზე ემუშავათ. ამით ისინი აქტიურ დგომს ილებდნენ, რის შემდეგაც მეტოქის გაფრთხილება დროის ამბავი იყო. იქნებ ეს ეფექტური, სანახაობრივი სტილი არაა, მაგრამ მთავარი ხომ ტაბლოა. ერთი შეხედვით, თითქოს მარტივი ტაქტიკაა, თუმცა, როგორც ჩანს, ახალი წესები უზნაძემ კოლეგებიდან შორის ყველაზე უკეთ მოარგო გუნდს - ძალიან ბევრი ორთაბრძოლა მოვიგეთ გაფრთხილებებით. ცხადია, მის ამ მითითებას ყველა ერთნაირად ვერ ასრულებდა, მაგრამ ვინც შეასრულა, შორსაც წავიდა.

თუმცა ამ ტურნირმა ქართული ძიუდოს ერთი თვალსაჩინო ნაკლიც ცხადად წარმოაჩინა - რაოდენ უჭირთ ჩვენებს ჩოქბჯენში ჭიდაობა. როგორც კი მეტოქე ლეიბზე დავარდებოდა, ესენი მაშინვე ანებებდნენ თავს და დგებოდნენ, უზნაძე კი ლამის ჯოხით ერეკებოდა დაბლა საჭიდაოდ. შაბათს ბიჭებმა მუშა პროცესში ანუ შეჯიბრების გახურების შემდეგ უფრო აულეს ალლო, კვირას კი მწვრთნელს ბოლომდე დასჭირდა ამაზე მითითებები. ამ მხრივ უნაკლო იყო სამბოდან მოსული წიკლაური (სამბოში ეს კვლავაც ერთ-ერთი ძირითადი საჭიდაო კომპონენტია) და ლიპარტელიანი, რომელმაც ამ კუთხით ფრიად მოუმატა. არადა, მეტოქის შებოჭვას თავი დავანებოთ და ჩოქბჯენი ხომ დროის გაყვანის კარგი შანსია. თუნდაც გოგოჭურის ბრინჯაოსთვის შეხვედრა გავიხსენოთ, როცა ბოლო 17 წამიდან უმეტესობა ასეთ ჭიდაობაში გაიყვანა, ანდა ლიპარტელიანის ფინალი, რომელმაც დაახლოებით ამდენი დრო ასევე ეფექტურად გამოიყენა.



## დავუახლოვოთ რიგითები ლიდერებს

ახლა სამწვრთნელო შტაბის წინაშე კიდევ ერთი რთული ამოცანა დგას - როგორმე წამოსწიოს და ლიდერებს დაუახლოვოს სათადარიგო ფალავნები, თორემ როგორც ქართული სპორტის სხვა სახეობებში, მათ შორის სხვაობა ძიუდოშიც ძალზე დიდია, დასაშვებზე მეტიც კი. როგორც გითხარით, გერმანიაში 7-მა ფალავანმა გამოიჩინა თავი, რომლებსაც მეხუთეზე გასული შავდათუაშვილიც უნდა დავუმატოთ (შეგახსენებთ - ის ქარდავასთან ბრინჯაოსთვის საჭიდაოდ არ გამოცხადდა), თორემ სხვები საწყის ეტაპზევე გავარდნენ: **ბეთქილ შუკვანი** (60), **ზურაბ ნოზაძე** (73), **გიორგი ნოზაძე** და **იოსებ მსხალაძე** (ორივე - 100) პირველივე შეხვედრებში დამარცხდნენ, **ამბაკო ავალიანმა** (73) და **ლევან მატიაშვილმა** (+100) კი თითო ბრძოლა მოიგეს. ამათგან შუკვანს დ მატიაშვილს თუ მივცემთ შელავათს - პირველი ესპანელ **ფრანსისკო გარიგოსთან** დიდი უპირატესობით იგებდა და ბოლოს მოჰყვა საკუთარ შეცდომაზე, მეორე კი საკმაოდ დიდი შესაძლებლობების ფალავანია, თუმცა ეს მონაცემები თუ არ გამოიყენე, ან მეტი კონცენტრაცია არ გააკეთე ყოველ შეხვედრაში, წარმატებას ვერ მოიპოვებ. დასამალი არც ისაა, რომ რეზერვის აღზრდის პრობლემა ქართულ სპორტში უმწვავესად დგას - ტალანტები ყოველთვის მოდიან, მაგრამ დიდი სპორტის კარიბჭესთან იკარგებიან. ჟიმედია, ძიუდოში ამ მხრივაც გამოსწორდება ვითარება.

## ვინ წავა პოლონეთში?

ჩვენი ნაკრები ახლა დიუსელდორფში დარჩა ერთობლივ ვარჯიშებზე, სადაც გუნდს თბილისიდან საგანგებოდ ამ წვრთნისთვის ჩასული **ლაშა ტაველური** და **ბექა ღვინიაშვილი** (ორივე - 90) შეუერთდებიან. პარასკევს გუნდი ვარშავაში გადავა, სადაც 3-4 მარტს იქაურ „ევროპის ღია თასზე“ იჭიდავებს. ცნობილია, რომ იქ **ვაჟა მარგველაშვილი, პაატა მერებაშვილი** (ორივე - 60), შავდათუაშვილი, ქარდავა (66), **ნუგზარ ტატალაშვილი, ზებედა რეხვიაშვილი** (73), **პაატა ღვინიაშვილი, ხვიჩა ხუციშვილი** (81), ბექა ღვინიაშვილი, ტაველური (90) და **დავით ლორიაშვილი** (100) იასპარეზებენ. როგორც ვხედავთ, უზნაძე აქაც აგრძელებს დებიუტანტების გამოცდას - გერმანიაში თუ ასეთი ნოზაძეები იყვნენ, ახლა ასეთი პაატა ღვინიაშვილი იქნება. რაც შეეხება მძიმე წონას, მწვრთნელი ჯერ კიდევ გერმანულ ტურნირამდე აცხადებდა, რომ მისი შედეგების და ერთობლივი წვრთნების შემდეგ გადაწყვეტდა, წაეყვანა თუ არა პოლონეთში ოქრუაშვილი ან მატიაშვილი. ვფიქრობთ, ოქრუაშვილს ნამდვილად წაიყვანს...

**60 კგ**
1. ბოლდბაატარ განბათი (მონღოლეთი)
2. დიეგო სანტოსი (ბრაზილია)
3. ამირან პაპინაშვილი (საქართველო)
არამ გრიგორიანი (რუსეთი).

**66 კგ**
1. მასაში ებინუმა (იაპონია)
2. მასააკი ფუკუოკა (იაპონია)
3. შალვა ქარდავა (საქართველო)
გოლან პოლაკი (ისრაელი)
5. ლაშა შავდათუაშვილი (საქართველო)

**73 კგ**
1. პიერ დუპრატი (საფრანგეთი)
2. დექს ელმონტი (ჰოლანდია)
3. როკ დრაკშიჩი (სლოვენია)
კი-ჩუნ ვანგი (კორეა)

**81 კგ**
1. ავთანდილ ჭრიკიშვილი (საქართველო)
2. ლევან წიკლაური (საქართველო)
3. ჯაე-ბუმ კიმი (კორეა)
ანტუან ვალუა-ფორტიე (კანადა)

**90 კგ**
1. ვალერი ლიპარტელიანი (საქართველო)
2. ტიაგო კამილო (ბრაზილია)
3. ზვიად გოგოჭური (საქართველო)
ილიას ილიადისი (საბერძნეთი)

**100 კგ**
1. სირილ მარე (საფრანგეთი)
2. ტაკეში ონო (იაპონია)
3. კიონგტაე კიმი (კორეა)
მარტინ პაჩეკი (შვედეთი)

**+100 კგ**
1. მასარუ მომოსე (იაპონია)
2. ადამ ოქრუაშვილი (საქართველო)
3. დავიდ მოურა (ბრაზილია)
მაგომედ ნაჟმუტდინოვი (რუსეთი)

ბერძნულ-რომაული ჭიდაობა

# ქართველთა უნგრული წარმატება

## დიდმა პრიზმა კარტები აგვირია

საქართველოს ბერძნულ-რომაულად მოჭიდავეთა ნაკრებმა 8 მედალი მოიპოვა უნგრულ სომბათჰეიში ჩატარებულ „ოქროს დიდ პრიზზე“ - 1 ოქრო, 3 - ვერცხლი, 4 - ბრინჯაო და გუნდური პირველობა მოიპოვეს. ჩემპიონი **მამუკა ქაჯაია** (96) გახდა, ვერცხლის მედლებს **რევაზ ლაშხი** (66), **რევაზ ნადარეიშვილი** (84) და **გურამ ფერსელიძე** (120) დაეუფლნენ, ბრინჯაოსას - **საჩინო დავითაია** (66), **მანუჩარ ცხადაია** (74), **ვლადიმერ გეგეშიძე** (84) და **სოსო ჯაბიძე** (96).

ეს ტურნირი 19-24 მარტს თბილისში გასამართი ევროპის პირველობისთვის მოსამზადებელი უმნიშვნელოვანესი ეტაპია. სამწუხაროდ, ის მთლად უძლიერესი არ გამოდგა, რადგან რუსეთი, აზერბაიჯანი, თურქეთი, ბულგარეთი, ბელარუსი და კიდევ რამდენიმე წამყვანი ნაკრები არ მონაწილეობდა. ევროპირველობის სამზადისში გართულ გუნდებს ლიდერებიც აკლდნენ, თუმცა ძალების მოსასინჯად ნამდვილად ღირდა. მით უფრო, ჩვენთვის რამდენიმე ძალზე საინტერესო ფაქტიც მოხდა, რამაც, შეიძლება, ევროპირველობაზე გასაყვანი გუნდის დაკომპლექტებაში მნიშვნელოვანი როლიც ითამაშოს. მაგალითად, 96-ში ქაჯაიამ საქართველოს ჩემპიონი და წონის ლიდერი ჯაბიძე დაამარცხა, 84-ში კი ნადარეიშვილმა წონის შარშანდელ ლიდერსა და ლონდონის ოლიმპიადის მეხუთეადგილოსან გეგეშიძეს აჯობა. შეგახსენებთ, რომ თვის დასაწყისში თურქეთში, ვები ემრეს პრესტიჟულ ტურნირში ნადარეიშვილი მეორეზე გავიდა, ქაჯაია - მესამეზე ანუ მათ ამჯერად უშუალო კონკურენტებს ხომ მოუგეს, ფრიად სტაბილურადაც გამოდიან. თან საქართველოს პირველობაზეც მოიპოვეს ბრინჯაოს მედლები. მინსკში, ერთობლივ ვარჯიშებზე მათი წასვლა (რაც სპონსორთა დამსახურებაა), ხოლო მერე იქიდან უნგრეთში საჭიდაოდ გადასვლა თურქული წარმატების შემდეგ გადაწყდა.

■ ■ ■

სხვა წონებიდან ასევე აღსანიშნავია 74-ში განვითარებული მოვლენები - ქვეყნის ჩემპიონი **ზურაბ დათუნაშვილი** ადრევე გავარდა, ამ წონაში ამონაცვლებულმა ოლიმპიურმა პრიზიორმა ცხადაიამ კი ფავორიტის სტატუსი იგდო ხელთ. ამჯერად ზედა წონაში იასპარეზა ოლიმპიადის ვიცე-ჩემპიონმა ლაშხმაც და არცთუ ურიგოდ, თუმცა ის ევროპის ჩემპიონატზე 60-ში გამოვა - ამ ეტაპზე მწვრთნელები ზედმეტად არ ტვირთავენ წონის დაკლებით. აღსანიშნავია საჩინო დავიათაიას წარმატებაც - მას საშეჯიბრო პრაქტიკა აკლდა და ამიტომ აჭიდავეს ახლა... მისასალმებელია ფერსელიძის ფინალში გასვლაც, რომელსაც ტრავმების გამო საკმაოდ ბევრი გაუცდა...

ქაჯაიამ სომბათჰეიში 4 ბრძოლა ძირითად დროში მოიგო და მხოლოდ ჯაბიძესთან დასჭირდა დამატებითი. თავიდან ეგვიპტელი **მოჰამედ ახმედი** და უნგრელი **ადამ ვარგა** ერთნაირი ანგარიშით - 2:0; 1:0 დაამარცხა, თავისი ძმის - **ირაკლი ქაჯაიას** მომგებ მეორე მასპინძელს, **გრიგორი რიზმაიერს** კი 1:0; 3:0 აჯობა. აი, სწორედ მესამე წრეში ანუ ნახევარფინალში გადაიკვეთა მისი და ჯაბიძის გზები, რომელმაც მანამდე უკრაინელებს - **ვოლოდიმირ ვასილიევსა** და **სერგეი იეროშკინს** მოუგო. ქართველთა პაექრობის პირველ პერიოდში უფრო მობილიზებული ქაჯაია აღმოჩნდა, რომელმაც ორი ქულა მოიპოვა და ანგარიში ბოლომდე შეინარჩუნა. სამაგიეროდ, ჯაბიძემ მოიგო მეორე პერიოდი და შეხვედრაც დამატებითში გაგრძელდა, სადაც ქაჯაიას აშკარა უპირატესობა გამოიკვეთა - 6:0 ანუ ქულებით სუფთა მოგება! ფინალში ქაჯაიამ კიდევ ერთი ხმაურიანი გამარჯვება მიითვალა - მასპინძელთა მსოფლიოს ჩემპიონი **ბალასც კისი** ისევ ორ პერიოდში დაჯაბნა. ჯაბიძემ ბრინჯაოსთვის შეხვედრაში ზემოხსენებულ ვარგას მოუგო ასევე ძირითად დროში.

■ ■ ■

ფინალამდე მძიმე გზა გაიარა ნადარეიშვილმა, რომელსაც თავშივე შეხვდა სერიოზული მეტოქე - ხორვატი მსოფლიოს პრიზიორი **ნენად ზუგაი**. ბრძოლა მართლაც დაძაბული გამოდგა და დამატებითში გაგრძელდა. ჩვენებურმა მეორე პერიოდი დათმო მინიმალური ანგარიშით - 0:1. სამაგიეროდ, იმ ორში დიდი და თანაც ერთნაირი სხვაობით - 3:0 იმარჯვა. აი, ამის შემდეგ დაეჭიდა გეგეშიძეს, რომელმაც მანამდე იაპონელი **ტაიჩი ოკა** დაამარცხა. ქართული ორთაბრძოლაც დამატებით დროში გაგრძელდა, პირველი პერიოდი კი გეგეშიძემ მოიგო - 1:0. კრიტიკულ ვითარებაში ჩავარდნილმა ნადარეიშვილმა შეძლო მობილიზება და მომდევნოებში 1:0; 2:0 გაიმარჯვა. ყურადღება მიაქციეთ - მან დამატებითში ქულა გააკეთა ანუ ბრძოლით მოიგო და არა ბურთულით. ნადარეიშვილმა მხოლოდ ყირგიზ **იანარბეკ კუნეევს** სძლია ძირითად დროში, შვედ **ჯიმ პეტერსონთან** კი, რომელმაც მანამდე უკრაინის სახელით მოასპარეზე **ბექა ყარყარაშვილს** აჯობა, კვლავ დამატებითამდე გაეჭიმა პაექრობა. საბედნიეროდ, გამარჯვება ისევ მას დარჩა (2:2; 0:3; 2:0) და თან ბოლო პერიოდში კვლავ ძლიერი ჭიდაობით. ფინალში ჩვენებური უნგრელ ევროპის ჩემპიონ **პეტერ ბასცისთან** 0:2; 0:4 დამარცხდა.

ამავე წონაში საქართველოს წლევანდელი ჩემპიონი **რობერტ ქობლიაშვილიც** ჭიდაობდა, რომელმაც ერთი შეხვედრა მოიგო და მერე წააგო, თუმცა ის ჯერ მაინც ახალგაზრდული ნაკრების წევრია და იმ გუნდში უწევს გამოსვლა.

■ ■ ■

ჩანს, ცხადაიას ჯერ კიდევ უჭირს ახალ წონასთან ადაპტაცია, რადგან უნგრეთში საკმაოდ გაუჭირდა - თავიდან შედარებით სუსტებთან, უკრაინელ **მიკოლა სავჩენკოსა** და მასპინძელ **ბალინტ კოპრასისთან** მოსაგებად მესამე პერიოდი დასჭირდა, ხოლო როგორც კი ძლიერს შეხვდა - ხორვატ მსოფლიოს პრიზიორ **ნევენ ზუგაის**, იქვე წააგო (0:3; 0:1). ხორვატმა მანამდე **შმაგი გულიაშვილიც** დაგვიმარცხა, რომელსაც ცხადაიამ სანუგეშოს პირველ წრეში აჯობა, ბრინჯაოსთვის შეხვედრა კი ყირგიზ **რუსლან ცილევს** მოუგო. ცხადაიას აქტივში ისიც ჩაეთვლება, რომ დათუნაშვილის (ის პირველივე წრიდან გამოვარდა) მომგებ კოპრასის სძლია.

■ ■ ■

შეიძლება ითქვას, ჩვენებმა დამაჯერებლად იასპარეზეს 66-ში, სადაც საევროპო კანდიდატი, ვფიქრობთ, გაირკვა - როგორც გითხარით, ლაშხი 60-ში დაიწევს, რაც დავითაიას 66-ში კონკურენტს მოაკლებს. ამიტომ კიდევ უფრო სასიხარულოა ამ ახალგაზრდა ფალავანის კარგი ასპარეზობა. უნგრეთში ჩვენები მეორე წრეში შეხვდნენ ერთმანეთს, როცა წარმატებით გადალახეს პირველი ბარიერი. ორ პერიოდში ლაშხმა 1:0; 2:0 იმარჯვა. მერე მან სერბი **მატე ნემესიც** დაჯაბნა, ფინალში კი ლონდონის ოლიმპიადის ვერცხლის მედალოსანსა და ევროპის ჩემპიონ უნგრელ **ტამაშ ლორინცთან** 0:1; 0:1 წააგო. ეს ტურნირი დავითაიასაც რომ ეთვლება აქტივში, ამას სანუგეშოში მისი გამოსვლაც ადასტურებს - უკრაინელ **ლენურ ტემიროვს** 6:0; 3:0 მოუგო, ზემოხსენებულ სერბ ნემესს კი - 4:0; 7:0!

მძიმე წონაში ნაკრების თავკაცი **ბეგი დარჩია** ფერსელიძესთან ერთად **სერგო გოგისვანიძესაც** ცდიდა. ახალგაზრდა ათლეტი ჯერჯერობით ვერ ამართლებს იმედებს, თუმცა უნგრეთში წილისყრამაც გაწირა - პირველივე წრეში უკრაინელთა მომავალ ჩემპიონ **ევგენი ორლოვს** გადაეყარა, რომელსაც ფინალში ვერც ფერსელიძემ გაუწია წინააღმდეგობა, სანუგეშოში კი ძალიან ძლიერი უნგრელი, მსოფლიოსა და ევროპის არაერთგზის მედალოსანი **მიშალ დეაკ-ბარდოსი** შეხვდა. ფერსელიძემ ფინალამდე სამი შეხვედრა მოიგო ძირითად დროში და მეტ-ნაკლებად დამაიმედებელი სურათი გვიჩვენა.

■ ■ ■

უნგრეთში უმედლოდ მხოლოდ ორ წონაში დავრჩით - ახალგაზრდული ნაკრების წევრი **ედნარ შავაძეც** (55) და **ლაშა გოგიტაძეც** (60) მეორე შეხვედრაში დამარცხდნენ. შავაძე სანუგეშოშიც გადაერთო და ფინალამდეც მივიდა, მაგრამ ბრინჯაოსთვის ბრძოლაც წააგო.

ჩვენი ნაკრები უნგრეთიდან სამშობლოში უნდა დაბრუნებულიყო, მაგრამ ისევ მინსკში, „სტაიკების“ ოლიმპიურ ბაზაზე დაბრუნდება, სადაც ამ შეჯიბრების წინ ერთობლივ შეკრებას გადიოდა. ისინი იქ 10-დღიან შეკრებას გაივლიან, რომელიც ადგილობრივმა ქართველმა ბიზნესმენმა დააფინანსა, მერე კი სამშობლოში დაბრუნდებიან და საევროპო მზადების დასკვნით ეტაპს ბორჯომში გაივლიან.

გვერდი მოამზადა
**ირაკლი თავაძემ**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჭადრაკი

# ფიდეს პრეზიდენტი სპორტის მინისტრს შეხვდა



მარცხნიდან: ლევან ყიფიანი, კირსან ილუმჟიმოვი და ზურაბ აზმაიფარაშვილი

მსოფლიო საჭადრაკო ფედერაციის (FIDE) პრეზიდენტი **კირსან ილუმჟინოვი** საქმიანი ვიზიტით თბილისს ეწვია. გუშინ იგი სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრ **ლევან ყიფიანსა** და პირველ მოადგილე **ზურაბ აზმაიფარაშვილს** შეხვდა, რომელსაც მინისტრის მოადგილე **თამაზ თევზაძე** და საქართველოს ჭადრაკის ფედერაციის პრეზიდენტი **გიორგი გიორგაძე** ესწრებოდნენ.

*„ფიდეს პრეზიდენტი კირსან ილუმჟინოვი უწინაც არაერთხელ ყოფილა საქართველოში. მისი ყოველი სტუმრობა ეს არის დამატებითი სტიმული ჩვენს ქვეყანაში ჭადრაკის გასავითარებლად. ამჟამად იგი გვეწვია, რათა საზოგადოებისთვის ემცნო, რომ 16-წლამდელ მოჭადრაკეთა მსოფლიო ოლიმპიადა თბილისში გაიმართება. სულ მალე ბატონი ილუმჟინოვი მსოფლიო ინტელექტუალური თამაშების ასოციაციის თავკაციც გახდება და საქართველოში ამ მხრივაც დაიგეგმება საინტერესო ღონისძიება“*, - აღნიშნა ოფიციალური შეხვედრის შემდეგ დიდოსტატმა ზურაბ აზმაიფარაშვილმა.

**კირსან ილუმჟინოვი:** *„თბილისში სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრ ლევან ყიფიანის მოწვევით ჩამოვედი. ეს ჩემი სამუშაო ვიზიტია. ბატონ მინისტრთან ერთად რამდენიმე საკითხი განვიხილეთ. უპირველესად, ეს არის ფიდეს, სპორტის სამინისტროს და საქართველოს ჭადრაკის ფედერაციის მჭიდრო თანამშრომლობა, რამდენიმე მნიშვნელოვანი შეჯიბრების, მათ შორის, საქართველოში 2015 წლის ივლისში 16-წლამდელ მოჭადრაკეთა მსოფლიო ოლიმპიადის ჩატარება. 2016 წლისთვის მსოფლიო ინტელექტუალური თამაშების გამართვის შესაძლებლობა. ვისაუბრეთ სკოლებში ჭადრაკის სწავლების, თბილისში ფიდეს საჭადრაკო აკადემიის ფილიალის გახსნისა და ჭადრაკის სასახლის შესაძლო რეკონსტრუქციის შესახებ. საქართველოს დედაქალაქი მსოფლიო ქალთა ჭადრაკის განვითარების ცენტრია და აკადემიის ფილიალი აქ აუცილებლად უნდა არსებობდეს“...*

ფიდეს პრეზიდენტი ზურაბ აზმაიფარაშვილთან და გიორგი გიორგაძესთან საუბრისას მოჭადრაკე ქალთა გუნდურ მსოფლიოს ჩემპიონატსაც შეეხო, რომელიც 2 მარტიდან ყაზახეთის დედაქალაქ ასტანაში 10 ქვეყნის წარმომადგენლების მონაწილეობით გაიმართება. იქ მედლებისთვის იბრძოლებენ ჩინეთი, რუსეთი, უკრაინა, საქართველო, აშშ, რუმინეთი, ინდოეთი, საფრანგეთი, ყაზახეთი და თურქეთი.

საქართველოს ნაკრების ღირსებას დაიცავენ: **ნანა ძაგნიძე, ბელა ხოტენაშვილი, ლელა ჯავახიშვილი, ნინო ხურციძე, სალომე მელია,** გუნდის უცვლელი კაპიტანია **ნინო გურიელი** (საქართველოს ნაკრებმა ამგვარი შემადგენლობით 2011 წელს თურქეთში მსგავს შეჯიბრებაზე მესამე ადგილი დაიკავა). ჩვენი გუნდი ამჟამად ბაკურიანშია სანვრთნელ შეკრებაზე და შეჯიბრებისთვის საერთაშორისო დიდოსტატების - **ზურაბ სტურუას და ლაშა ჯანჯღავას** ხელმძღვანელობით ემზადება.

ასტანაში მსოფლიოს ჩემპიონატზე შესუსტებული შემადგენლობით ჩავა რუსეთის ნაკრები - ქვეყნის სახელით ასპარეზობაზე უარი თქვეს დებმა - ტატიანა და ნადეჟდა კოსინცევებმა გუნდის კაპიტანთან კონფლიქტის გამო. რუსეთის ნაკრები გუნდების მთავარმა მწვრთნელმა ევგენი ბარეევმა ისიც კი განაცხადა, რომ ერთ-ერთი კოსინცევა ამჟამად აშშ-ში იმყოფება და იქაურ ჭადრაკის ფედერაციასთან მოლაპარაკებასაც აწარმოებს დების ოკეანისგაღმა შესაძლო გამგზავრებასთან და ფედერაციის შეცვლასთან დაკავშირებით. რუსეთის ნაკრების შემადგენლობა 28 თებერვალს გახდება ცნობილი.

ყაზახეთის დედაქალაქში უძლიერესი შემადგენლობა არც მსოფლიოს პირველობების უცვლელ ჩემპიონებს - ჩინელებს ეყოლებათ: მათს შემადგენლობაში სხვადასხვა მიზეზით ორგზის მსოფლიოს ჩემპიონი ჰოუ იფანი და მსოფლიო რეიტინგით ტოპათეულის წევრი ჟაო სიუ არ ითამაშებენ. იდოელები მსოფლიო რეიტინგით მესამე ადგილზე მყოფ ჰამპი კონერუს, ჰარიკა დრონავალის და ტანია საჩდევს მოისაკლისებენ.

**ვაჟა დანელია**

# გურამიშვილი ვაჟებს არ ინდობს

რეიკიავიკში (ისლანდია) დასასრულს უახლოვდება მოჭადრაკეთა საერთაშორისო ტურნირი, რომელშიც წარმატებით განაგრძობს ასპარეზობას ქართველი დიდოსტატი **სოფიკო გურამიშვილი.** ბოლო სამ ტურში მან საგრძნობლად გაიუმჯობესა სატურნირო მდგომარეობა: შაბათს შავი ფიგურებით მასპინძელ ჯონ ბეგტორსენს აჯობა, კვირას თეთრებით ნორვეგიელ რიჩარდ ბერკეს გააჩერებინა საათი და შვიდი შესაძლებლიდან 5 ქულას მოუყარა თავი. გუშინ შავი ფიგურებით ისლანდიელ საერთაშორისო ოსტატ სტეინ გრეტარსონს შეხვდა, რომელსაც რეიტინგში 95 პუნქტით ჩამორჩება. დებიუტში მასპინძელმა უკეთ ითამაშა და საგრძნობ უპირატესობას მიაღწია, მაგრამ მე-19 სვლიდან ზედიზედ რამდენიმე უხეში შეცდომა დაუშვა და ინიციატივასთან ერთად უპირატესობაც მეტოქეს გადააბარა. გურამიშვილმაც შანსი ჩინებულად გამოიყენა და 37-ე სვლაზე ზედიზედ მესამე გამარჯვება იზეიმა, მოაგროვა 6 ქულა და მეწინავეებს მიუახლოვდა.



სოფიკო გურამიშვილი

**ვაჟა დანელია**

ცურვა

# ოლიმპიკში ზამთრის ჩემპიონატზე

როგორც გაუწყეთ, რუსთავის, აჭარის, გორის, საჩხერის, ჭიათურისა და თბილისის საცურაო აუზების 120-მდე წარმომადგენელმა მოსინჯა ძალები საქართველოს ზამთრის ეროვნულ ჩემპიონატში, რომელსაც „ოლიმპიკის“ აუზმა უმასპინძლა. საპრიზო ადგილებზე გასულთა უმრავლესობას დიდი ხანია, ვხედავთ კვარცხლბეკზე, თუმცა გამოჩნდნენ იმედისმომცემი მოზარდებიც, რომელთაც 2015 წელს თბილისში ევროპის ახალგაზრდობის ოლიმპიურ ფესტივალზე თანატოლებისთვის სათანადო კონკურენციის გაწევა შეეძლებათ. ოღონდ მათთან მიზანმიმართულ მუშაობაა საჭირო.

ჩემპიონატის პირველ დღეს საპრიზო ადგილზე გასულთა ვინაობა უკვე გაუწყეთ. ახლა კი ბოლო ორ დღეში გამოვლენილ ჩემპიონებსა და პრიზიორებს გაგაცნობთ:

**ვაჟა დანელია**

**ქალები**

**50 მ. თავისუფალი.** 1. ელენე უნდილაშვილი („დილომი“, 30,60), 2. ელენე ბერაია (31,15), 3. ნანო მოდოსიანი (ორივე — „სპორტ-თაიმი“, 32,03). **50 მ. ბატერფლაი.** 1. ელენე ბერაია („სპორტ-თაიმი“, 35,85), 2. მარიამ ჩიხრაძე („ტონუსი“, 36,06), 3. ლიკა ჭიხორია (რუსთავი, 40,75). **50 მ. გულაღმა.** 1. ოქსანა ბელოვა (რუსთავი, 36,47), 2. მარიამ წერეთელი (37,56), 3. მარიამ ჩიხრაძე (ორივე — „ტონუსი“, 37,86). **100 მ. ბრასი.** 1. მარიამ ზუბიაშვილი (საჩხერე, 1.22,81), 2. ქეთევან ყამარაული („ტონუსი“, 1.23,59), 3. თეონა ბოსტაშვილი (რუსთავი, 1.25,38). **100 მ. გულაღმა.** 1. მარიამ წერეთელი („ტონუსი“, 1.20,52), 2. ოქსანა ბელოვა (რუსთავი, 1.21,71), 3. მარიამ ჩიხრაძე („ტონუსი“, 1.23,59). **100 მ. თავისუფალი.** 1. ელენე უნდილაშვილი („დილომი“, 1.08,85), 2. მერი მუმლაძე („ტონუსი“, 1.08,86), 3. ელენე ბერაია („სპორტ-თაიმი“, 1.10,59). **200 მ. ბრასი.** 1. მარიამ ზუბიაშვილი (საჩხერე, 2.55,49), 2. თეონა ბოსტაშვილი (რუსთავი, 3.00,73), 3. ქეთევან ყამარაული („ტონუსი“, 3.01,57). **200 მ. კომპლექსური.** 1. მარიამ ზუბიაშვილი (საჩხერე, 2.46,84), 2. რუსუდან გოგინაშვილი (რუსთავი, 2.47,90), 3. მერი მუმლაძე („ტონუსი“, 2.48,53).

**ვაჟები**

**50 მ. თავისუფალი.** 1. დავით სიხარულიძე (24,60), 2. დავით შახნაზაროვი (ორივე — „ტონუსი“, 26,07), 3. გიორგი ბიგანიშვილი („ლაგუნა-ვერე“, 26,69). **50 მ. ბატერფლაი.** 1. თემურ კობახიძე („ლაგუნა-ვერე“, 25,41), 2. აკაკი ვაშაკიძე (რუსთავი, 27,03), 3. დათო მურჯიკნელი („გლდანი“, 29,75). **50 მ. გულაღმა.** 1. გიორგი მთვრალაშვილი („გლდანი“, 29,19), 2. თემურ კობახიძე (29,67), 3. ნიკიტა გიორგაძე (ორივე — „ლაგუნა-ვერე“, 32,50). **100 მ. ბრასი.** 1. ირაკლი ბოლქვაძე (1.07,55), 2. ვასილ ხიზანიშვილი (1.14,23), 3. ირაკლი კვარაცხელია (სამივე — „ტონუსი“, 1.18,65). **100 მ. გულაღმა.** 1. გიორგი მთვრალაშვილი („გლდანი“, 1.04,28), 2. დავით სიხარულიძე („ტონუსი“, 1.05,11), 3. ნიკიტა გიორგაძე („ლაგუნა-ვერე“, 1.10,56). **100 მ. თავისუფალი.** 1. დავით სიხარულიძე (53,30), 2. დავით შახნაზაროვი (ორივე — „ტონუსი“, 57,16), 3. ცოტნე მაისურაძე (რუსთავი, 58,16). **200 მ. ბრასი.** 1. ირაკლი ბოლქვაძე (2.26,09), 2. ვასილ ხიზანიშვილი (2.39,88), 3. ირაკლი ჭარბაძე (სამივე — „ტონუსი“, 2.49,53). **200 მ. კომპლექსური.** 1. ირაკლი ბოლქვაძე („ტონუსი“, 2.14,23), 2. აკაკი ვაშაკიძე (რუსთავი, 2.22,69), 3. ვასილ ხიზანიშვილი („ტონუსი“, 2.25,80). **200 მ. ბატერფლაი.** 1. თემურ კობახიძე („ლაგუნა-ვერე, 2.09,28), 2. აკაკი ვაშაკიძე (რუსთავი, 2.11,66), 3. დათო მურჯიკნელი („გლდანი“, 2.37,91). **400 მ. კომპლექსური.** 1. ირაკლი ბოლქვაძე (4.51,19), 2. ვასილ ხიზანიშვილი (5.14,06), 3. ირაკლი კვარაცხელია (სამივე — „ტონუსი“, 5.25,22). **400 მ. თავისუფალი.** 1. ირაკლი რევიშვილი („ტონუსი“, 4.36,33), 2. ცოტნე მაისურაძე (4.41,60), 3. ნიკა ყაულაშვილი (ორივე — რუსთავი, 4,51,52). **800 მ. თავისუფალი.** 1. ირაკლი რევიშვილი („ტონუსი“, 9.21,54), 2. ნიკა ყაულაშვილი (რუსთავი, 10.09,13), 3. ოთარ ივანაშვილი (საჩხერე, 10.56,34).

ამბები

ჩოგბურთი

## განახლებული რეიტინგი მცირედი ცვლილებებით

გასული კვირა ქართველი ჩოგბურთელებისთვის მაინცდამაინც დატვირთული არ ყოფილა. ერთადერთი **სოფიო შაფათავამ** იასპარეზა მოსკოვის 25.000-იან ტურნირში წარმატებით - მეორე ადგილი დაიკავა. **ოქსანა კალაშნიკოვა** ბრაზილიის საერთაშორისო ტურნირში ჩაება, მაგრამ შეჯიბრებას საკვალიფიკაციო ეტაპის მეორე წრიდან გამოეთიშა. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ქალთა ჩოგბურთის ასოციაციის (WTA) განახლებულ რეიტინგშიც ჩვენს სპორტსმენებს არსებითი ცვლილებები არ განუცდიათ. ქვეყნის პირველმა ნომერმა — **ანა ტატიშვილმა** 1021 ქულით 56-დან 57-ე ადგილზე ჩაიჩოჩა. დანარჩენთა მაჩვენებლები ასეთია: 297 (298). **სოფიო შაფათავა** (153), 395 (396). **მარგალიტა ჩახნაშვილი** (92), 405 (406). **ოქსანა კალაშნიკოვა** (90), 482 (494). **სოფიო ქვაცაბაია** (66), 706 (615). **ნათია გეგია** (28), 1157 (1155). **ანი გოგვაძე** (3).

ორიოდე გადანაცვლება მოხდა ტოპათეულში. ბელარუსი ვიქტორია აზარენკა, რომელიც კარგა ხანს იყო რეიტინგის სათავეში, 10325 ქულით მეორე ადგილზე გადავიდა. პირველობა ამერიკელ სერენა უილიამსს (10365) დაუთმო. 3(3) მარია შარაპოვა (რუსეთი, 9715), 4 (4). აგნეშკა რადვანსკა (პოლონეთი, 7505), 5 (5). ნა ლი (ჩინეთი, 6130), 6 (6). ანგელიკ კერბერი (გერმანია, 5400), 7 (8). პეტრა კვიტოვა (4980), 8. (7). სარა ერანი (იტალია, 4915), 9. სამანტა სტოსური (ავსტრალია, 3835), 10 (10). კაროლინ ვოზნიაცკი (დანია, 3570),

კრივი

## ბაქოში მეორე შემადგენლობით

წლეულს 17 მაისიდან ბელარუსის დედაქალაქი მოკრივეთა ევროპის ჩემპიონატს უმასპინძლებს. ამ შეჯიბრებისთვის ქართველი სპორტსმენებიც ემზადებიან ნაკრების მთავარი მწვრთნელის **ბონდო მამულაშვილის** ხელმძღვანელობით. ამჟამად მის განკარგულებაშია 20 მოკრივე, რომლებიც თბილისში ვარჯიშობენ. 10 სპორტსმენი (უმთავრესად ეროვნული გუნდის მეორე შემადგენლობა) ნაკრების მწვრთნელების - **თემურ ოჩიგავას** და **ანატოლი ცქიფურიშვილის** თავკაცობით დღეიდან ბაქოში მასპინძლებთან გაივლის ერთობლივ სანვრთნელ შეკრებას, 6 მარტიდან კი აზერბაიჯანის საერთაშორისო ტურნირში ჩაებმება. ესენი არიან საქართველოს წლევანდელი ჩემპიონები და პრიზიორები — **დავით ნანავა** (49 კგ), **სევერიან ჭილაძე** (52), **გიორგი გოგატიშვილი** (56), **გიორგი ასანიძე** (60), **ბექა კუჭავა** (64), **ლევან კაჟაშვილი** (69), **ნიკოლოზ სეხნიაშვილი** (75), **გიორგი ქისტაური** (81), **გიორგი გვენეტაძე** (91) და 2011 წლის ევროპის ჩემპიონატის მესამე პრიზიორი **გიორგი ბახტიძე** (+91).

თითქმის ორი თვეა, ბაქოში ვარჯიშობენ 2011 წლის ევროპის ჩემპიონატის ბრინჯაოსმედალოსანი **ჯაბა ხოსიტაშვილი** (75) და **იაგო კიზირია** (81), რომლებიც AIBA-ს პროფესიული ლიგის საკლუბო ჩემპიონატში მონაწილეობენ. ბაქოს ტურნირზე მათი გამოსვლაც იგეგმებოდა, მაგრამ კლუბის ხელმძღვანელობამ კონტრაქტის ვადის გასვლამდე (31 მარტი) მათს გათავისუფლებაზე უარი თქვა. ასე რომ, ეს ორი მოკრივე ვერც ხერსონში 24-31 მარტს დაგეგმილ საერთაშორისო ტურნირში იასპარეზებს. ევროპის ჩემპიონატისთვის ეროვნულ ნაკრებში ადგილის დასაბევებლად მათ შესაბამის წონებში საქართველოს ჩემპიონებთან სპარინგშეხვედრებში მოუწევთ უპირატესობის დამტკიცება.

სამთო თხილამურობა

## პრიზიორებს ჩამორჩნენ

ერთკვირიანი უქმობის შემდეგ ქართველი სამთო მოთხილამურეები გასულ შაბათ-კვირას კვლავ ჩაებნენ შეჯიბრებებში. **იასონ აბრამაშვილმა** და **ალექსი ბენიაიძემ** მაკედონიურ პოპოვა შაპკაში იასპარეზეს. შაბათს გიგანტურ სლალომში ბენიაიძემ (2.08,02) მე-6 ადგილი დაიკავა, აბრამაშვილმა მე-2 ეტაპზე დისკვალიფიკაცია მიიღო. საპრიზო ადგილები ასე განაწილდა: 1. მარიჩ შკუბე (სლოვენია, 2.05,58), 2. მიშა კვერნერი (სლოვენია, 2.06,34), 3. ნიკოლა ჩონგაროვი (ბულგარეთი, 2.06,54). კვირას სლალომში აბრამაშვილი (2.00,36) მე-7 ადგილზე გავიდა, ხოლო ბენიაიძე 2.01,84) მეთერთმეტე იყო. პირველი-მესამე ადგილები სლოვენიელებმა — მიშა კვერნერმა (1.58,93), ფილიპ მლინსეკმა (1.59,69) და იან ბრეზნიკმა (1.59,72) გაიყვეს.

**ვაჟა დანელია**

ძიუდო

## გოგონებმა აზერბაიჯანში იყოჩაღეს

ამ დღეებში წარმატებით იასპარეზა 1996-1998 წწ დაბადებულ ქართველ ძიუდოისტ გოგონათა ნაკრებმა აზერბაიჯანის დედაქალაქში გამართულ საერთაშორისო ტურნირში.

ბაქოს ტრადიციული საერთაშორისო პირველობა უმცროსი ასაკის ძიუდოისტ გოგონათა და ვაჟთა შორის ტარდება, რომელშიც საქართველოს ნაკრები ასევე ტრადიციულად მონაწილეობს. თუმცა ამჯერად ტურნირში ჩვენებიდან მხოლოდ გოგონები ჩაებნენ, რადგან ბიჭები სწორედ ამ დღეებში საქართველოს პირველობაზე ასპარეზობდნენ. აზერბაიჯანს საქართველოს გარდა, რუსეთის, თურქეთის და ყაზახეთის გუნდების 250-მდე მონაწილე სტუმრობდა. ქართველთა მთავარი მწვრთნელის **გია თენაძის** ხელმძღვანელობით ჩავიდა. ჩვენი ნაკრები 4 პირველი, 3 მეორე და 1 მესამე ადგილით გამოირჩა. გამარჯვებულთა შორის არიან **მზია ბებოშვილი** (52 კგ), **მანანა ცანაშვილი** (57), **ხატია ცანაშვილი** (63) და **სოფიკო სომხიშვილი** (+70). ფინალისტები - **გურანდა შოთაძე** (57), **თამარ მჭედლიშვილი** (63) და **ნათია ქავრელიშვილი** (+70), მესამე ადგილზე **ლია როქავა** (48) გავიდა.

*„ჩვენი სპორტსმენების გამოსვლით, ცხადია, კმაყოფილი ვარ. რვა წონითი კატეგორიიდან ნახევარში ხომ ჩემპიონები ჩვენი აღზრდილები გახდნენ. გუნდური შედეგითაც ყველას ვაჯობეთ. ამ შეჯიბრებაზე ადრეც გვიასპარეზია, მაგრამ ასე კარგად არასოდეს, რაც, ბუნებრივია, უკეთესი მომავლის იმედს გვაძლევს. ამ გოგონებისთვის უახლოესი შეჯიბრებები ევროპის ძიუდოს ფედერაციის ეგიდით გასამართი ტურნირებია ანთალიასა (14 მარტს) და კიევში (მარტის ბოლოს). შევეცდებით იქაც წარმატებით გამოვიდეთ“* - გვითხრა გია თენაძემ.

**ვასილ ბალახაძე**

## კალათბურთი. ლეგიონის კვირა

# თოთხმეტიანები

**გუშინდელ ნომერში იმ ლეგიონერებზე დავწერეთ, რომლებმაც შაბათს ითამაშეს. მაგალითად, მანუჩარ მარკოიშვილმა თურქეთში გადასვლის შემდეგ ყველაზე მეტი, 21 ქულა სწორედ შაბათს მოინაგრა. კვირას გამართული შეხვედრების მხოლოდ ციფრები გადმოგეცით. დანაკლისს აქ შევავსებთ.**


მონტეპასკი-ბიელა. ვიქტორ სანიკიძე (N13) და სლოვენიელი გორან იურაკი

### იტალია

ევროლიგაზე, ისრაელში „მაქაბისთან“ განცდილი მარცხის შემდეგ სიენას „მონტეპასკიმ“ იტალიის ჩემპიონატში „ბიელასთან“ გაილაღა და პირველივე ტაიმში გაარკვია, ვინ იყო ფავორიტი და ვინ - აუტსაიდერი. საბოლოოდ 98:75.

ისრაელში ვიქტორსაც ერთ-ერთი ყველაზე უფერული თამაში ჰქონდა და ამიტომ მისთვისაც მნიშვნელოვანი იყო რეაბილიტაცია. მან ეს მოახერხა: „ბიელასთან“ 15 წუთი ითამაშა და 14 ქულა ჩააგდო. სროლის სიზუსტეც არ დაეწუნებოდა - 6-დან 3 ორქულიანი, 2-დან 2 სამიანი, 4-დან 2 საჯარიმო.

„მონტეპასკის“ 20 ტურის შემდეგ 14 მოგება აქვს და სატურნირო ცხრილში მესამე პოზიციაზეა. 16-16 გამარჯვებით პირველ-მეორე ადგილებს იყოფენ „დინამო სასარი“ და „ვარეზე“.

იტალიის რიგით მესამე ლიგაში მეცამეტე შეხვედრა მოიგო „ომენამ“, რომელსაც წარმატების მიღწევაში ქართველი ფორვარდი დაეხმარა: **ნიკა მეტრეველმა** 8-დან 6 ორქულიანი, 2-დან 2 საჯარიმო გამოიყენა და ვიქტორის მსგავსად 14 ქულას მოუყარა თავი.

„ომენა“ ცხრილში მეოთხე ადგილზეა.

### უკრაინა

„ბუდიველნიკს“ უკრაინულ პირველობაზე ვერავინ აჩერებს. მის ანგარიშზე უკვე 25-ე მოგებაა (7 მარცხი) და პირველობას არავის უთმობს. ბოლო ტურში **გიორგი ცინცაძის** თანაგუნდელებმა „ჩერკასის მაიმუნები“ დაამარცხეს. „ბუს“ (გიორგის მეტსახელია) თანაგუნდელთა შორის ყველაზე მეტი სათამაშო დრო ერგო - 30 წუთი, 7 ქულა და 5 პასი მიითვალა.

### ევროთასი

ორჯერ მეტი (14 ქულა) მოაგროვა ცინცაძემ ოთხშაბათს გამართულ ევროთასის მატჩში, რომელშიც „ბუდიველნიკმა“ რუსული „ტრიუმფი“ დაამარცხა. ამ გამარჯვებით უკრაინელებმა ჯგუფში პირველი ადგილი დაიკავეს და მეოთხედფინალის საგზური მოიპოვეს. პლეი ოფის პირველი შეხვედრები 6 მარტს გაიმართება. უკრაინელები ჯერ სანკტ-პეტერბურგში დაუპირისპირდებიან „სპარტაკს“, შემდეგ 13 მარტს კიევში მიიღებენ.

მართალია, გაიმარჯვეს, მაგრამ ჯგუფიდან გამსვლელ ორ-ორ გუნდს შორის ვერ მოხვდნენ მანუჩარ მარკოიშვილის „გალათასარაი“ და **ბექა ბურჯანაძის** „კახასოლი“. სხვათა შორის, ბექას გუნდმა ცინცაძის მომავალი მეტოქე „სპარტაკი“ დაამარცხა.

„კახასოლმა“ კვირას ესპანეთის ჩემპიონატში „ესტუდიანტესი“ კი დაამარცხა, მაგრამ საპლეიოფო რვაეულში მოხვედრა მაინც გაუჭირდება. რადგან იმავე „ესტუს“ (რომელსაც 12 გამარჯვება აქვს და მერვე პოზიციაზეა) 4 მოგებით ჩამორჩება.

### ლიბანი

ჩემპიონატის ლიდერ „საგესს“ უმასპინძლა **ნიკოლოზ ცქიტიშვილის** „ჩამპვილმა“, რომელსაც ამ შეხვედრამდე 11 გამარჯვება ჰქონდა. დიდი მონდომების მიუხედავად, ამ მატჩის შემდეგაც ამდენივე მოგება დარჩა - „საგესმა“ 75:69 იმარჯვა.

კიდევ ორი თერთმეტიანი უნდა დავწეროთ: ნიკამ შეუცვლელად ითამაშა, 11 ქულა და 11 მოხსნა მიითვალა. მან 8-დან 3 ორქულიანი, 4-დან 1 სამიანი და 2-დან 2 საჯარიმო ჩააგდო.

„ჩამპვილი“ ლიბანის პირველობის სატურნირო ცხრილში მესამე ადგილზეა და სამი მოგებით ჩამორჩება პირველადგილოსან „საგესს“.

**ვაჟა სიმონიშვილი**


ომენა-სან სევერიო.
ნიკა მეტრეველი ვაჟთან ერთად


ჩამპვილი-საგესი.
ნიკა ცქიტიშვილის ჩატენვა


კახასოლი-ესტუდიანტესი.
ბექა ბურჯანაძე (მარჯვნივ)

| გუნდი | | თარიღი | შეჯიბრება | VS | ანგარიში | წუთი | ქულა | მოხსნა | პასი | ჩაჭრა | დაფარება |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| ზაზა ფაჩულია | ატლანტა (NBA) | 20.02 | NBA | VS მაიამი | 90:103 | 24 | 4 | 7 | 1 | 1 | 0 |
| | | 22.02 | NBA | VS საკრამენტო | 122:108 | 14 | 4 | 7 | 0 | 1 | 0 |
| | | 23.02 | NBA | მილუოკი VS | 102:103 | 20 | 3 | 11 | 2 | 1 | 0 |
| თორნიკე შენგელია | ბრუკლინი (NBA) | 19.02 | NBA | VS მილუოკი | 113:111 | არ უთამაშია | | | | | |
| | | 20.02 | NBA | მილუოკი VS | 94:97 | არ უთამაშია | | | | | |
| | | 22.02 | NBA | VS ჰიუსტონი | 96:106 | არ უთამაშია | | | | | |
| | | 24.02 | NBA | VS მემფისი | 72:76 | არ უთამაშია | | | | | |
| მანუჩარ მარკოიშვილი | გალათასარაი (თურქ) | 19.02 | ევროთასი | VS ცრვენა ზვ. (სერბ) | 85:84 | 28 | 17 | 0 | 0 | 0 | 0 |
| | | 23.02 | თურქეთის ჩემპ | ოლინ ერდინე VS | 59:69 | 25 | 21 | 0 | 0 | 1 | 0 |
| ვიქტორ სანიკიძე | მონტეპასკი (იტალია) | 21.02 | ევროლიგა | მაქაბი (ისრ) VS | 92:61 | 16 | 6 | 1 | 0 | 0 | 0 |
| | | 24.02 | იტალიის ჩემპ. | VS ბიელა | 98:75 | 15 | 14 | 4 | 1 | 1 | 0 |
| ნიკა მეტრეველი | ომენა (იტალია) | 23.02 | იტალიის ჩემპ. | VS სან სევერიო | 84-57 | 17 | 14 | 5 | 1 | 3 | 0 |
| გიორგი შერმადინი | ოლიმპიაკოსი (საბ) | 22.02 | ევროლიგა | VS კახა ლაბორალი (ესპ) | 82:74 | 5 | 3 | 1 | 0 | 1 | 0 |
| | | 24.02 | საბერძნეთის ჩემპ. | VS პერისტერი | 105-57 | 4 | 0 | 0 | 0 | 1 | 1 |
| გიორგი ცინცაძე | ბუდიველნიკი (უკრ) | 20.02 | ევროთასი | VS ტრიუმფი (რუს) | 88:77 | 23 | 14 | 3 | 6 | 0 | 0 |
| | | 24.02 | უკრაინის ჩემპ | VS ჩერკასი | 90:75 | 29 | 7 | 2 | 5 | 2 | 1 |
| ბექა ბურჯანაძე | კახასოლი (ესპანეთი) | 20.02 | ევროთასი | VS სპარტაკი (რუს) | 68:66 | 5 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 |
| | | 24.02 | ესპანეთის ჩემპ | VS ესტუდიანტესი | 86:78 | 5 | 0 | 2 | 1 | 0 | 0 |
| ნიკა ცქიტიშვილი | ჩამპვილი (ლიბანი) | 22.02 | ლიბანის ჩემპ. | VS საგესი | 69:75 | 40 | 11 | 11 | 5 | 1 | 2 |

## კალათბურთი. საქართველო. U20

**ჰიუნდაი-სოხუმი 71:79**

19:22, 18:17, 20:21, 14:19

**ჰიუნდაი:** ქილიფთარი (4ქ, 8მ), სანაძე (2ქ), ტომარაძე (19ქ, 9მ), ლომიძე, ზაქრაძე (12ქ), გიორგაძე (7ქ, 6მ), კოსტავა (2ქ, 10მ), ბუთხუზი (6ქ), ძიძიგური (19ქ).

**სოხუმი:** გაგნიძე (6მ), მეგენეიშვილი (13ქ, 5პ), გაფრინდაშვილი (2ქ), ჯინჭარაძე (21ქ, 12მ, 4პ), გოლეთიანი, გულმაგარაშვილი, მუიჟნიექსი (6ქ), ბულიავა (30ქ, 6მ, 3პ), არაბული (7ქ, 14მ).

**შსს აკადემია-ოლიმპი 71:53**

21:10, 23:14, 12:21, 15:8

**შსს აკადემია:** მეგრელაძე, რევ. როგავა (20ქ, 4პ, 4ჩ), გორდულაძე (6ქ), ჟორჟოლიანი, ლოლიშვილი (7ქ, 5მ), რ. როგავა, კენჭიაშვილი (3ქ), პულუზაშვილი (15ქ, 11მ), არუთინოვი, დ. როგავა (4ქ), კვანტალიანი (14ქ, 11მ), მაჭავარიანი (2ქ).

**ოლიმპი:** გ. ბაქრაძე, ნადირაძე (3ქ), იაშვილი, გოგოძე (8ქ), ცირეკიძე (15ქ, 8მ), აბულაძე (4ქ), ნ. ბაქრაძე, ფხაკაძე (8ქ, 7მ), ბიჭიაშვილი, ლობჟანიძე (8ქ), მიქელაძე (7ქ).

**დინამო-რუსთავი 79:59**

18:6, 26:15, 12:23, 23:15

**დინამო:** ლილუაშვილი (13ქ, 5მ, 6პ), მენაბდე (4ქ), სანიკიძე (5ქ), ორმოცაძე (12ქ, 5მ, 3პ), დოლიძე (15ქ, 9მ), გელაზონია 12ქ, 15მ), ლუდუშარი (10ქ, 16მ, 4პ), გაბისონია (8ქ, 5მ).

**რუსთავი:** ჩიჩუა (3ქ), ლორთქიფანიძე (16ქ), ქიტოშვილი (3ქ, 6მ, 7პ), ოქროჭელიძე (8ქ), დვალი (6ქ), ურიდია (6ქ, 9მ), ნარჩომაშვილი (8ქ, 11მ), ხატიაშვილი (3ქ), ბარამიძე (2ქ), ჯაჯანიძე (4ქ).

**ოლიმპი-დინამო 82:83**

18:14, 15:26, 20:17, 20:16, 9:10

**ოლიმპი:** გ. ბაქრაძე, ნადირაძე (4ქ), იაშვილი, გოგოძე (12ქ, 5ჩ), იაკობიძე, ცირეკიძე (6ქ, 11მ, 3პ), აბულაძე (20ქ, 6პ, 5ჩ), ფხაკაძე (6ქ), ლობჟანიძე (16ქ, 7მ), მიქელაძე (18ქ).

**დინამო:** ლილუაშვილი (29ქ, 4პ, 3ჩ), სანიკიძე, ორმოცაძე (12ქ, 7მ, 3ჩ), დოლიძე (9მ), გელაზონია (13ქ, 9მ, 3ჩ), ლუდუშაური (15ქ, 9პ, 6მ, 5ჩ), გაბისონია (14ქ, 6მ, 5პ).

**სოხუმი-შსს აკადემია 66:55**

15:10, 21:8, 15:17, 15:20

**სოხუმი:** გაგნიძე (14ქ, 8მ), მეგენეიშვილი (2ქ), გაფრინდაშვილი, ტყაბლაძე (3ქ), ჯინჭარაძე (10ქ, 8მ, 5პ), გოლეთიანი (15ქ), მუიჟნიექსი (2ქ), ბულიავა (14ქ, 17მ), არაბული (6ქ, 13მ, 3პ).

**შსს აკადემია:** მეგრელაძე, რევ. როგავა (21ქ, 3ჩ), ჟორჟოლიანი, ლოლიშვილი (11ქ), ხეთაგური (2ქ), რ. როგავა, კენჭიაშვილი, პულუზაშვილი (2ქ, 8მ), დ. როგავა, კვანტალიანი (16ქ, 13მ), მაჭავარიანი, გუგეშაშვილი (3ქ, 9მ).

| გუნდი | თ | მ | წ | სხ | ქ |
|---|---|---|---|---|---|
| 1. ოლიმპი | 14 | 10 | 4 | 1007/884 | 24 |
| 2. შსს აკადემია | 14 | 9 | 5 | 905/837 | 23 |
| 3. სოხუმი | 14 | 9 | 5 | 978/952 | 23 |
| 4. დინამო | 14 | 7 | 7 | 959/987 | 21 |
| 5. რუსთავი | 13 | 3 | 10 | 944/1009 | 16 |
| 6. ჰიუნდაი | 13 | 3 | 10 | 871/995 | 16 |

**ვაჟა სიმონიშვილი**




## სუმო

# კომუსუბის ტიტულამდე ერთი ნაბიჯია

ტოკიოში სუმოს ახალი რეიტინგ-ლისტი გამოქვეყნდა, რომელშიც კარგად აისახა **ლევან გორგაძის (ტოჩინოშინი)** წარმატებული ასპარეზობა იანვრის ბაშოზე. 25 წლის მცხეთელი სპორტსმენი (191 სმ, 161 კგ) აღმოსავლეთის მე-6 მაეგაშირა იყო და დასავლეთის პირველი მაეგაშირა გახდა. მარტის ბაშოზე დადებითი ბალანსი ლევანს კომუსუბის ტიტულს დაუბრუნებს, თუმცა მომავალ ტურნირში ჩვენებურს მხოლოდ უძლიერეს სუმოისტებთან მოუწევს ჭიდაობა.

ლევან გორგაძის დებიუტი პროფესიულ სუმოში 2006 წელს შედგა, 2008 წლის მაისში ის უმაღლეს დივიზიონში გადავიდა, ხოლო 2010 წლის ივლისში პირველად გახდა კომუსუბი. ის „კასუგანოს“ კლუბის წარმომადგენელია. კარიერაში ტოჩინოშინმა 277 ორთაბრძოლა მოიგო (202 გამარჯვება ელიტაში) და 242 წააგო (ერთხელ მეტოქეს ტრავმის გამო ვერ გაეჯიბრა). ლევანმა 3-ჯერ მიილო „მებრძოლი სულის“ პრიზი. იანვრის ბაშო მან 9-6 ბალანსით დაასრულა.

**თეიმურაზ ჯუღელი (გაგამარუ)** წინა რეიტინგში მე-4 მაეგაშირა იყო, წარუმატებლობამ ქართველი აღმოსავლეთის მე-6 მაეგაშირობამდე დახია. ზუსტად ეს საფეხური ეკავა გორგაძეს იანვრის რეიტინგში. გაგამარუ 3 დღის წინ გახდა 26 წლის (188 სმ, 212 კგ). მისი დებიუტი პროფესიულ სუმოში 2005 წელს შედგა, ელიტარულ დივიზიონში ის 2010 წლის ივლისში გადავიდა, შარშან მარტში კი კომუსუბიც გახდა. თეიმურაზს ორჯერ აქვს მოგებული „მებრძოლი სულის“ პრიზი. მის ანგარიშზე 244 მოგება (106 ელიტაში) და 202 მარცხია.

ისტორიაში პირველად ყველაზე პრესტიჟული, აღმოსავლეთის იოკოძუნას რანგი მიილო მონღოლმა **ჰარუმაფუჯიმ**, რომელიც სუმოს ისტორიაში 70-ე დიდი ჩემპიონია. სხვათა შორის, რამდენიმე დღის წინათ ის ლევან გორგაძემ დაამარცხა ტოკიოს ტრადიციულ ერთდღიან ტურნირში. კომუსუბის რანგი მიილო **ამინიშიკიმ**.

წლის მეორე ბაშო ქალაქ ოსაკაში 10 მარტს აიღებს სტარტს და ის 15 დღეს გასტანს.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**



ეროვნული ბიბლიოთეკა

## ლეგიონერები



ანტონ ფეიქრიშვილი

# ელიტაში ცვლილება არ მომხდარა

**ევროპული სარაგბო ბატალიების პარალელურად, საფრანგეთის ჩემპიონატის ელიტურ, პირველ დივიზიონში მორიგი, მე-19 ტურის შეხვედრები გაიმართა, რომელსაც ლიდერთა ჯგუფში (სადაც ქართველ მორაგბეთა ხუთი გუნდია) განლაგებაში ცვლილება არ შეუტანია.**

გათამაშების ლიდერმა - **დავით ქუბრიაშვილის, კონსტანტინე მიქაუტაძისა** და **ლევან ჩილაჩავას** „ტულონმა" სტუმრად ითამაშა **ანტონ ფეიქრიშვილის** „კასტრთან" და 20:25 დამარცხდა. მასპინძლები, რომელთა შინაურ კედლებში დამარცხებაც ურთულესი საქმეა, სათამაშო უპირატესობას თავიდანვე დაეუფლნენ და ჩემპიონატის უმთავრეს ფავორიტს გამარჯვების მოპოვების შანსი არ დაუტოვეს.

ფეიქრიშვილი თამაშში 62-ე წუთიდან ჩაერთო, ჩილაჩავა განაცხადში იყო, თუმცა მოედანზე არ გამოჩენილა, ქუბრიაშვილმა და მიქაუტაძემ საქართველოს ეროვნულ ნაკრებში ითამაშეს. მარცხის მიუხედავად, ტულონელები 67 ქულით ისევ პირველ ადგილზე არიან.

„ტულონს" სამი ქულით ჩამორჩება და მეორე ადგილზეა **დავით ზირაქაშვილისა** და **ვიქტორ კოლელიშვილის** „კლერმონი", რომელმაც სტუმრად შეძლო გათამაშების დებიუტანტის „გრენობლის" დამარცხება - 17:10. ორივე ქართველი „ბორჯღალოსნების" რიგებში თამაშობდა რუსების წინააღმდეგ.

ტრავმით გამოწვეული იძულებითი, თითქმის ნახევარწლიანი შესვენების შემდეგ პირველად გამოჩნდა „ტულუზის" ძირითად შემადგენლობაში შერკინების კვაჭი **ჯაბა ბრეგვაძე.** საფრანგეთის ჩემპიონებმა შინ დიდი ანგარიშით დაამარცხეს ბასკური „ბაიონი" - 42:6.

ბრეგვაძე 52-ე წუთზე შეცვალეს, ტულუზელთა კიდევ ერთმა ქართველმა **ვასილ კაკოვინმა** ეროვნულ ნაკრებში ითამაშა.

**მამუკა გორგოძის, მიხეილ ნარიაშვილისა** და **გიორგი ჟღენტის** „მონპელიემ", რომელიც 53 ქულით მე-5 ადგილზეა, შინ დაძაბულ ბრძოლაში დაამარცხა ერთ-ერთი აუტსაიდერი „ბორდო" - 15:13.

ჟღენტი ტრავმირებულია, გორგოძემ და ნარიაშვილმა საქართველოს ნაკრებში ითამაშეს.

**ზურაბ ჟვანიას** „სტად ფრანსემ", რომელიც პლეი ოფში მოხვედრისთვის იბრძვის, სტუმრად წააგო უშუალო კონკურენტ „პერპინიანთან" - 16:32. ჟვანია ეროვნულ ნაკრებში იყო გამოძახებული.

მორიგი მარცხი განიცადა სტუმრად „აჟენთან" აუტსაიდერმა, **თამაზ მჭედლიძის** „მონ დე მარსანმა" - 3:9. მჭედლიძე „ბორჯღალოსანთა რიგებში გაისარჯა.

### I დივიზიონი

### XIX ტური

კასტრი-ტულონი 25:20, ტულუზი-ბაიონი 42:6, გრენობლი-კლერმონი 10:17, აჟენი-მონ დე მარსანი 9:3, მონპელიე-ბორდო 15:13, ბიარიცი-მეტრო რასინგი 11:23, პერპინიანი-სტად ფრანსე 32:16.

**სატურნირო მდგომარეობა**: 1. ტულონი - 67 ქულა, 2. კლერმონი - 64, 3. ტულუზი - 60, 4. კასტრი - 54, 5. მონპელიე - 53, 6. მეტრო რასინგი - 50, 7. პერპინიანი - 47, 8. გრენობლი - 47, 9. სტად ფრანსე - 41, 10. ბიარიცი - 41, 11. ბაიონი - 35, 12. აჟენი - 27, 13. ბორდო - 25, 14. მონ დე მარსანი - 15.

### კელტთა ლიგა

კელტთა ლიგაში რეგულარული გათამაშების დასრულებამდე ექვსი ტური დარჩა. **დიმიტრი ბასილაიას** „ედინბურგმა", რომელიც წლეულს უჩვეულოდ წარუმატებლად ასპარეზობს, მორიგი მარცხი იწვნია. ჩვენებურის გუნდმა ამჯერად სტუმრად წააგო უელსურ „ოსფრიზთან" - 7:24. ბასილაიამ საქართველოს ნაკრებში ითამაშა.

შეჯიბრებას ისევ ირლანდიური „ალსტერი" ლიდერობს, თუმცა მე-16 ტურში ამ გუნდმა სტუმრად წააგო უახლოეს მდევარ, შოტლანდიურ „გლაზგოსთან" - 14;20.

### XVI ტური

კარდიფი-ქონოთი 22:26, გლაზგო-ალსტერი 20:14, ოსფრიზი-ედინბურგი 24:7, ლენსტერი-ჰლანეჰლი 32:5, ბენეტონი-მანსტერი 34:10, ზებრე-ნიუპორტი 13:14.

**სატურნირო მდგომარეობა**: 1. ალსტერი - 59 ქულა, 2. გლაზგო - 56, 3. ლენსტერი - 54, 4. ოსფრიზი - 47, 5. ჰლანეჰლი - 46, 6. მანსტერი - 41, 7. კარდიფი - 33, 8. ბენეტონი - 32, 9. ქონოთი - 28, 10. ედინბურგი - 23, 11. ნიუპორტი - 22, 12. ზებრე - 7.

**ბესიკ ჯანგავაძე**

## საქართველოს ჩემპიონატი

# პირველ ტაიმში დაჩაგრული ლიდერი

სიცივე, წვიმა, ატალახებული მოედანი... ასეთ მეტეოროლოგიურ პირობებში წარიმართა რეგულარული ჩემპიონატის ლიდერების - თბილისის „ლელოსა" და ქუთაისის „აიას" დაპირისპირება. მატჩი ორივე გუნდისთვის მნიშვნელოვანი იყო და თამაშის განსასჯელად რაგბის კავშირმა ზელანდიელი მსაჯი **რიჩარდ კელი** მოიწვია.

შეხვედრა ძალიან საინტერესო და დაძაბული გამოდგა, განსაკუთრებით ბოლო წუთები, როცა „ლელო" მატჩის სათავისოდ შეტრიალებას ცდილობდა და ძალებისგან დაცლილ ქუთათურებს გამალებით უტევდა.

იქამდე კი, ორი რადიკალურად განსხვავებული ტაიმი ვიხილეთ. პირველ ნახევარში **ბესიკ ხამაშურიძისა** და **კობა გიორგაძის** შეგირდებს კოლოსალური უპირატესობა ჰქონდათ და ეს მშვენივრადაც გამოიყენეს, შესვენების შემდეგ კი „ლელო" უკეთ თამაშობდა. თუმცა, აჯობებს მოვლენებს თანმიმდევრობით მივყვეთ.

ანგარიში თბილისელმა მორაგბეებმა გახსნეს: მასპინძლები თავიანთ 22-მეტრიან ზონასთან ახლოს დაჯარიმდნენ და **გოდერძი ჭინჭარაულმა** საჯარიმო უნაკლოდ დაარტყა - 0:3. ამის შემდეგ უპირატესობა მთლიანად „აიას" მხარეს გადავიდა, ქუთათურები შერკინებაშიც სჯაბნიდნენ მეტოქეს და ხელით თამაშშიც. სტუმრებმა რამდენიმე მძლავრი შეტევა მოიგერიეს, მაგრამ ქუთაისელთა ზეწოლამ შედეგი მალევე გამოიღო. აუტის მოგების შემდეგ, **ლევან თხელიძემ** შეუტია და ჩათვლის მოედანშიც შეაღწია. გარდასახვა **გაგა სინაურიძემ** გაიტანა - 7:3.

მასპინძლებმა დედაქალაქელებს გონზე მოსვლა არ აცალეს, მძლავრად მიაწვნენ და **ბექა ყურაშვილის** ლელოთი და სინაურიძის გარდასახვით ანგარიში გაზარდეს - 14:3. ორიოდე წუთში ქუთათურებმა მესამე ლელოც გაიტანეს, ამჯერად თავი უკანა ხაზის მოთამაშეებმა გამოიჩინეს, **ბაკურ გოშაძემ** სწრაფი შეტევა წამოიწყო, მან **ზურაბ ძნელაძე** ჩართო თამაშში, ამან კი სინაურიძეს უპასა, რომელმაც ლელოელებს ხაზი გაუჭრა და ჩათვლის მოედნამდე ირბინა - 19:3.

„ლელო" საერთოდ აირია, რომ არ გცოდნოდათ, ვერაფრით იფიქრებდით, რომ მინდორზე გათამაშების ლიდერი იმყოფებოდა. ქუთაისელებმა სტუმრების არეულობით კარგად ისარგებლეს, ძნელაძემ ბურთიანად ირბინა, სისწრაფის ხარჯზე რამდენიმე მეტრი მოიგო და გოშაძეს დაუტოვა, რომელმაც ბურთი წინ ფეხით გაიგდო, ლელოელები სისწრაფეში დაჯაბნა, ბურთს ზედ ჩათვლის ხაზთან მიუსწრო და მორიგი ლელო გაიტანა, სინაურიძემ ამჯერად ვერ გარდასახა - 24:3

სტუმრები ძალიან რთულ მდგომარეობაში აღმოჩდნენ - 25 წუთში 4 ლელო მიიღეს, რაც ჩემპიონობისთვის მებრძოლი გუნდისთვის მეტისმეტია. „ლელოს" მწვრთნელებმა ცვლილებებს მიმართეს: მოედანზე **ირაკლი ყიასაშვილი, ელგუჯა სურგულაძე** და **რეზო ბელქანია** გამოჩდნენ, თბილისელები გააქტიურდნენ და ტაიმის ბოლოს უპირატესობაც მოიპოვეს, მასპინძლებმა ერთი სახიფათო შეტევა კი მოიგერიეს, მაგრამ **ირაკლი გეგენავამ** პირველ ტაიმში თბილისელთა ბოლო შეტევა ლელოთი დააგვირგვინა და ანგარიში შეამცირა - 24:8

მეორე ნახევრის პირველი 15 წუთი თანაბარ ბრძოლაში მიმდინარეობდა, შემდეგ კი მასპინძლებს დაღლა დაეტყოთ, მათი შერკინება სტუმართა მძლავრ შეტევებს ველარ უძლებდა, 58-ე წუთზე „ლელო" მოლით მიაწვა და შეცვლაზე გამოსულმა **გიორგი ჭყოიძემ** თბილისელთა მეორე ლელო გაიტანა. ყიასაშვილმა გარდასახვა ახლაც ვერ გამოიყენა - 13:24.

ხუთიოდე წუთში თბილისელთა მრავალფაზიანი შეტევა მარცხენა ფრთიდან ჩართულმა **რეზო ბელქანიამ** დააგვირგვინა, ყიასაშვილმა გარდასახვა ამჯერად ზუსტად დაარტყა - 24:20 „აიას" უპირატესობა თვალსა და ხელს შუა გაქრა. „ლელოს" საკმარისი დრო ჰქონდა დარჩენილი იმისთვის, რომ მატჩი გადაერჩინა, თუმცა ქუთაისელებიც არ იყვნენ უქმად და სინაურიძეს საჯარიმოდან ბურთი ძელისთვის რომ არ გაერტყა, ბოლო წუთებზე ნაკლებს ინერვიულებდნენ. „ლელომ" მატჩის მიწურულს მძლავრად შეუტია, ლელოს გატანაც შეეძლო, მაგრამ ქუთაისელებმა თავის დაცვა მოახერხეს და მნიშვნელოვანი გამარჯვება მოიპოვეს.

### XIV ტური

**აია-ლელო 24:20**

**აია (15-9):** ძნელაძე, გოშაძე, ფრუიძე, კუხიანიძე, კვერნაძე, სინაურიძე, როხვაძე; (1-8) ლომიძე (რატიაშვილი 49), თხელიძე, ულუმბელაშვილი (ლომიძე 62), ჩიტეიშვილი, ძაგნიძე, დგებუაძე (რევიშვილი 51), შალამბერიძე (შამიაშვილი 19), ყურაშვილი (ლომთაძე 54)

**4ლ:** თხელიძე, ყურაშვილი, სინაურიძე, გოშაძე . 2გ:სინაურიძე

**ლელო: (15-9)**: გეგენავა, ზაალიშვილი (ყიასაშვილი 28), ანდღულაძე, ცერცვაძე, ნიჟარაძე, ჭინჭარაული, კაჭარავა; (1-8) კვერნაძე (პატარაია 28), ხიდეშელი (ბელქანია 33), სანიკიძე, ჭეიშვილი, ხორბალაძე, მძინარიშვილი, კოლელიშვილი (სურლგულაძე 33), ნიკოლეიშვილი (ჭყოიძე 45)

**3ლ:** გეგენავა, ჭყოიძე, ბელქანია. ს: ჭინჭარაული. გ: ყიასაშვილი

| | |
|---|---|
| **აკადემია-ყოჩები** | 30:14 |
| **ჯიქები-ლოკომოტივი** | 15:13 |
| **არმია-არმაზი** | 31:18 |
| **ბათუმი-ხარები** | გადაიდო |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | პ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ლელო | 14 | 12 | 0 | 2 | +206 | 9 | 57 |
| 2. არმია | 14 | 12 | 0 | 2 | +146 | 8 | 56 |
| 3. აია | 14 | 9 | 2 | 3 | +162 | 6 | 46 |
| 4. არმაზი | 14 | 10 | 0 | 4 | +42 | 2 | 42 |
| 5. ჯიქები | 14 | 7 | 0 | 7 | +22 | 7 | 35 |
| 6. ლოკომოტივი | 14 | 5 | 2 | 7 | +20 | 6 | 30 |
| 7. ხარები | 13 | 4 | 0 | 9 | -96 | 4 | 20 |
| 8. აკადემია | 14 | 4 | 0 | 10 | -225 | 2 | 18 |
| 9. ბათუმი | 13 | 3 | 0 | 10 | -113 | 3 | 15 |
| 10. ყოჩები | 14 | 1 | 0 | 13 | -164 | 7 | 11 |

### XV ტური

ლელო-ლოკომოტივი, ყოჩები-ჯიქები, არმაზი-აია, აკადემია-ბათუმი, ხარები-არმია.

**დავით კოხრეიძე**
ქუთაისიდან



აია-ლელო

## მსოფლიოს კლასიფიკაცია

# დავეწიოთ და გადავასწროთ ამერიკას

გასულ უქმეებზე გამართული სანაკრებო მატჩების შემდეგ მსოფლიოს კლასიფიკაციაში რამდენიმე ცვლილება მოხდა. საქართველოს ნაკრებმა სტუმრად რუსეთის ეროვნულ გუნდთან გამარჯვებისთვის 0,82 ქულა მიიღო. მართალია, ეს საკმარისი არ აღმოჩნდა რეიტინგში დასაწინაურებლად, მაგრამ მე-16 ადგილზე მყოფ ამერიკის შეერთებული შტატების ნაკრებს საგრძნობლად მივუახლოვდით და ახლა 67,41 ქულით მე-17 ადგილზე ვართ.

შინ ბელგიის ნაკრებთან გამარჯვების შემდეგ, პორტუგალიის ნაკრებმა „შავ ეშმაკებს" რეიტინგში ადგილი გაუცვალა. ერთი საფეხურით წინ წაიწია და ირლანდიის ნაკრებს გადაუსწრო ექვსი ერის გათამაშების მეორეადგილოსანმა უელსის ეროვნულმა გუნდმა.

### რეიტინგი

| | |
|---|---|
| 1. ახალი ზელანდია | 90,08 |
| 2. სამხრეთ აფრიკა | 86,94 |
| 3. ავსტრალია | 86,87 |
| 4. ინგლისი | 85,30 |
| 5. საფრანგეთი | 81,20 |
| 6. უელსი | 80,74 |
| 7. ირლანდია | 79,28 |
| 8. სამოა | 78,71 |
| 9. არგენტინა | 78,71 |
| 10. შოტლანდია | 78,19 |
| 11. ტონგა | 76,10 |
| 12. იტალია | 74,93 |
| 13. ფიჯი | 71,52 |
| 14. კანადა | 71,41 |
| 15. იაპონია | 70,09 |
| 16. აშშ | 68,32 |
| 17. საქართველო | 67,41 |
| 18. რუმინეთი | 64,94 |
| 19. ესპანეთი | 61,13 |
| 20. რუსეთი | 60,92 |
| 21. პორტუგალია | 59,38 |
| 22. ურუგვაი | 59,37 |
| 23. ბელგია | 58,82 |

**ბესიკ ჯანგავაძე**

● ფორმულა 1




# ლოტუსმა პოდიუმებს დაუმიზნა

## ბრიტანელმა ჟურნალისტებმა ბარსელონას ტესტები შეაჯამეს

ბრიტანულმა ჟურნალმა "ავტოსპორტმა" შეაჯამა წინასასეზონო ტესტების მეორე სერია და ძალიან საინტერესო დასკვნებიც გამოიტანა.

რა თქმა უნდა, პირველ რიგში, საინტერესოა ამ ეტაპისთვის საჯინიბოებს შორის ძალების შეფარდება. ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, რომ "რედ ბულის" მანქანა კვლავაც ძალიან სწრაფია, მაგრამ "ფერარიმაც" კარგი ფორმა აჩვენა, ვიდრე ერთი წლის წინ. "ლოტუსის" პილოტებიც, სავარაუდოდ, პოდიუმზე ავიდოდნენ, რბოლები ახლა რომ ტარდებოდეს.

ჩემპიონატის წინ, ბევრი იმედით ლაპარაკობს სეზონის შესახებ გეგმებზე, მაგრამ ყოველ გრანპრიში მხოლოდ ერთი პილოტი აიღებს პოულს, ერთი მივა პირველი ფინიშთან და სამი ავა პოდიუმზე. სხვა საქმეა, რომ წელსაც წარმატებაზე პრეტენდენტები მრავლად იქნებიან.

### ალონსო სიმშვიდეს ინარჩუნებს

**ფერნანდო ალონსოს** ჩვევად არ აქვს თავისი გრძნობების გამოხატვა, ის ყოველთვის თავდაჭერილია და დამაჯერებლად აკონტროლებს თავის ემოციებს. მიუხედავად ამისა, ესპანელი საკმაოდ იმედგაცრუებული ჩანდა იმ დროს, როცა გასულ სამშაბათს ჟურნალისტებს ელაპარაკებოდა. ის უკმაყოფილო არ ყოფილა, მაგრამ არც ბედნიერი იყო. როგორც ჩანს, ალონსოს მეტის იმედი ჰქონდა, მაგრამ უცებ მიხვდა, რომ 2013 წელს ტიტულისთვის ბრძოლა ისევ ძალიან რთული იქნება.

ახალი "ფერარის" კონკურენტუნარიანობაზე ჯერ რთულია ლაპარაკი. მესამე დღეს, Soft-ის საბურავებით ალონსო ისეთივე ტემპს აჩვენებდა, როგორსაც **სერხიო პერესი** თავისი "მაკლარენით". "ფერარი", სავარაუდოდ" იქნება ლიდერებს შორის, მაგრამ ისეთი შეგრძნება არსებობს, რომ მანქანა ჯერ ჩამორჩება ეფექტურობით "რედ ბულს" და შესაძლოა, "ლოტუსსაც". თუმცა სკუდერიაში თავად აღიარებენ, რომ სეზონის დაწყებამდე ჯერ ბევრი აქვთ გასაკეთებელი.

### მაკლარენი ჯერ სწავლობს

"მაკლარენის" ახალ მანქანაში ბევრი საინტერესო გადაწყვეტილებაა რეალიზებული, გუნდმა კარდინალურად შეცვალა უკანა ნაწილის კონფიგურაცია და სხვა კვანძები. ამიტომაც, ბრიტანელებმა ძალიან ბევრი რამ უნდა შეისწავლონ დროის ძალიან მცირე მონაკვეთში.

მანქანა ძალიან სწრაფი გამოვიდა, მაგრამ ხანდახან ის სერიოზულად კარგავს სისწრაფეს. და "მაკლარენში" ჯერ არ იციან, რატომ ხდება ასე.

*"რთული გასაგებია, რა ემართება მანქანას - ხანდახან ის ძალიან კარგად გამოიყურება, ზოგჯერ – არა. ახლა, მნიშვნელოვანია მიზეზების გარკვევა და სტაბილურობის მიღწევა"*, - ამბობს **ჯენსონ ბატონი**.

თუ მელბურნის ფავორიტებზე ვილაპარაკებთ, ამ ეტაპისთვის, "მაკლარენი", ალბათ, მესამე ან მეოთხე ადგილზე უნდა დავაყენოთ. გუნდმა გაბედა სერიოზული ცვლილებები, რადგან შარშანდელმა პროექტმა – MP4-27-მა თავის მაქსიმუმს მიაღწია და მისგან მეტის მიღება ძალიან რთული იყო. ვნახოთ, რამდენად გაამართლებს ასეთი გადაწყვეტილება.

### საბურავების ცვეთა

ისევე, როგორც ხერესში, ბარსელონაშიც პილოტები წუწუნებდნენ რამდენიმე წრის შემდეგ საბურავის ეფექტურობის ვარდნის გამო. ძირითადად, ეს განპირობებულია ცივი ამინდით, მაგრამ ეჭვგარეშეა, რომ ახალი საბურავების რესურსი მართლაც უფრო დაბალია, ვიდრე შარშანდელისა იყო.

ნაწილობრივ, სწორედ ამიტომაც გუნდები აქტიურად მუშაობდნენ პიტსტოპებზე – "რედ ბულმა" ამას ნახევარი დღე მიუძღვნა, "უილიამსმა" - მთელი დღე. სეზონის დასაწყისში, როცა რბოლებში სამი-ოთხი პიტსტოპი იქნება, საბურავების შეცვლისას მექანიკოსების მუშაობის სისწრაფე, შეიძლება გადამწყვეტი ფაქტორი გახდეს.

*"ერთი პიტ-სტოპის შემთხვევაში, შედეგი იოლად პროგნოზირებადია, მაგრამ თუ ხუთი გაჩერება იქნება, პელოტონში ბევრი რამ აირევა. ვფიქრობ, სწრაფი პილოტები მაინც კონკურენტუნარიანები იქნებიან რბოლების ფინიშზე, მაგრამ იმედია, ჩვენ არ ვიხილავთ ხუთ პიტსტოპს, რადგან ეს უკვე ფორმულა 1 აღარ იქნება"*, - ამბობს "რედ ბულის" პილოტი **მარკ უებერი**.

■ ■ ■

ასევე, ჩვენ ერთ ცხრილში მოვაქციეთ ბარსელონას ტესტების ოთხივე დღის შედეგები, რითაც კარგად იქნება შესაძლებელი პილოტთა შედეგების შედარება:

| | |
|---|---|
| 1. პერესი (მაკლარენი) | 1:21.848 |
| 2. ალონსო (ფერარი) | +0.027 |
| 3. ჰიულკენბერგი (ზაუბერი) | +0.312 |
| 4. გროსჟანი (ლოტუსი) | +0.340 |
| 5. ფეტელი (რედ ბული) | +0.349 |
| 6. როსბერგი (მერსედესი) | +0.763 |
| 7. რაიკონენი (ლოტუსი) | +0.775 |
| 8. მალდონადო (უილიამსი) | +0.827 |
| 9. ჰემილტონი (მაკლარენი) | +0.878 |
| 10. ბოტასი (უილიამსი) | +0.978 |
| 11. ბატონი (მაკლარენი) | +0.992 |
| 12. სუტილი (ფორს ინდია) | +1.029 |
| 13. უებერი (რედ ბული) | +1.176 |
| 14. ვერნი (ტორო როსი) | +1.518 |
| 15. რიკარდო (ტორო როსო) | +1.870 |
| 16. დი რესტა (ფორს ინდია) | +2.123 |
| 17. ჩილტონი (მარუსია) | +3.267 |
| 18. გუტიერესი (ზაუბერი) | +3.276 |
| 19. ბიანკი (ფორს ინდია) | +3.884 |
| 20. ვან დერ გარდე (კატერჰემი) | +4.329 |
| 21. პიკი (კატერჰემი) | +4.395 |
| 22. მასა (ფერარი) | +5.715 |

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

● კალათბურთი. NBA რეგულარული ჩემპიონატი

# რეგულარულში პაუს გარეშე

**დირკ ნოვიცკისა** და **კობი ბრაიანტის** პირად დუელად გადაიქცა „დალასისა" და „ლეიკერსის" დაპირისპირება, რომლებიც კვლავაც პლეი ოფის ზონის მიღმა არიან. ორივემ სეზონში თავისთვის საუკეთესო მატჩი ჩაატარა, მაგრამ კობი ცოტათი უკეთესი იყო. ბრაიანტმა 38 ქულა დააგროვა (ხუთიდან ოთხი სამქულიანი ჩააგდო), 12 მოხსნა მიითვალა და სამმაგ-დუბლამდე მხოლოდ სამი გადაცემა არ ეყო. მაგრამ მთავარი ის არის, რომ „შავმა მამბამ" პრაქტიკულად მარტომ გადაწყვიტა შეხვედრის ბედი, კერძოდ, თავისი გუნდის 11 ქულიდან შვიდი მოიპოვა. რაც შეეხება დირკ ნოვიცკის, მან მიმდინარე რეგულარულში პირადი რეკორდები დაამყარა - 30 ქულა და 13 მოხსნა.

სხვათა შორის, გუშინ გაირკვა, რომ „ლეიკერსს" რეგულარულ ჩემპიონატში ვერ დაეხმარება **პაუ გასოლი,** რომელიც აგრძელებს ტრავმის მკურნალობას. მის შესახებ გუნდის მთავარმა მწვრთნელმა **მაიკ დ'ენტონიმ** შემდეგი თქვა: *„როცა ესპანელი დაბრუნდება, ჩვენ ან პლეი ოფში ვიქნებით ან არდადეგებზე".*

ოთხმატჩიანი წაგებათა სერიით შეხვდნენ ერთმანეთის წინააღდეგ მატჩს "ნიუ იორკი" და "ფილადელფია". სერიის შეწყვეტა "ნიქსმა" მოახერხა და, პირველ რიგში, ეს თავისი რეზერვისტების დახმარებით გააკეთა. იმ დროს, როცა ნიუიორკელთა ლიდერმა **კარმელო ენტონიმ** თავისი ტყორცნების მხოლოდ მესამედი გამოიყენა (18-დან 6), თამაშში სათადარიგოთა სკამიდან შესულმა **ამარე სტაუდმაიერმა** 10-დან 9 ტყორცნა მოათავსა კალათში და ერთით მეტი ქულა დააგროვა, ვიდრე „სიქსერზის" ერთად აღებულმა ყველა რეზერვისტმა. ასევე კარგი იყო „ნიქსის" კიდევ ერთი სათადარიგო **ჯეი არ სმიტი** (18 ქულა).

**ლებრონ ჯეიმსის** „კლივლენდიდან" „მაიამიში" გადასვლით გამოწვეული უკმაყოფილება თანდათან დავიწყებას მიეცა, მაგრამ ამ გუნდების დაპირისპირება მაინც პრინციპულ ხასიათს ატარებს. განსაკუთრებით იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ ახლა, „კლივლენდში" ბრწყინავს ახალი ვარსკვლავი - **კაირი ირვინგი.** თუმცა ჩემპიონებთან დაპირისპირებაში პლეიმეიკერმა ვერ მოახერხა **ჩელმერსისა** და პარტნიორების მეურვეობიდან თავის დაღწევა. მართალია, ირვინგს არც ერთი შეცდომა არ დაუშვია, მაგრამ ეს მატჩი მის აქტივში ვერ ჩაიწერება. 17 ქულა (თამაშიდან - 6/16) - ასეთია შარშანდელი საუკეთესო დებიუტანტის მონაგარი. გარდა ამისა, სწორედ მას ეკუთვნის ორი საბედისწერო შეცდომა. არადა, სირენამდე ორი წუთით ადრე, „კავალიერსი" წინ იყო, მაგრამ **ბატიეს** სამქულიანმა და **უეიდის** ჩატენვამ ყველაფერი თავდაყირა დააყენა. რაც შეეხება **ლებრონ ჯეიმსს**, მან თავის ყოფილ კლუბს 28 ქულა ჩაუგდო და თან რვა შედეგიანი პასი დააგროვა. ასე რომ, ფორვარდმა უკვე მერვედ დაამარცხა კარიერაში „კლივლენდი", წაგება კი მხოლოდ ერთი აქვს. და კიდევ, „მაიამისთვის" ეს იყო ზედიზედ მე-11 გამარჯვება.

### კობის 31 000

„დალასთან" მატჩში კობი ბრაიანტმა კარიერაში თავისი მონაგირი 31 ათას ქულამდე აიყვანა. ყველა დროს ბომბარიდრთა სიაში მეოთხე ადგილზე მყოფ უილტ ჩემბერლენამდე კობის დაახლოებით 20 მატჩი რჩება!

| | |
|---|---|
| 1. ქარიმ-აბდულ ჯაბარი | 38 387 |
| 2. კარლ მელოუნი | 36 928 |
| 3. მაიკლ ჯორდანი | 32 292 |
| 4. უილტ ჩემბერლენი | 31 419 |
| 5. კობი ბრაიანტი | 31 002 |

**ბრუკლინი–მემფისი 72:76**

**19:16, 19:27, 13:12, 21:21**

**ბ:** უილიამსი (24+3 ჩაჭრა), უოტსონი (11), ბლეტჩი (10+7 მოხსნა), რ. ევანსი (2+14 მოხსნა).

**მ:** რენდოლფი (16+14 მოხსნა), გასოლი (14+7 მოხსნა+4 დაფარება), ალენი (12+6 მოხსნა), პრინსი (11+3 ჩაჭრა), კონლი (10+7 პასი+3 ჩაჭრა).

**მინესოტა–გ. სტეიტი 99:100**

**32:18, 23:34, 26:24, 18:24**

**მ:** უილიამსი (23+12 მოხსნა), პეკოვიჩი (21+8 მოხსნა), რუბიო (16+8 მოხსნა+11 პასი+6 ჩაჭრა), კირილენკო (14+3 ჩაჭრა), რიდნური (14).

**გ-ს:** ჯეკი (23+8 პასი), ლი (22+13 მოხსნა), ლენდრი (19+9 მოხსნა), კარი (18+5 ჩაჭრა), ტომპსონი (10).

**დალასი–ლეიკერსი 99:103**

**30:27, 24:27, 21:25, 24:24**

**დ:** ნოვიცკი (30+13 მოხსნა+3 ჩაჭრა), კარტერი (15), ბრენდი (14+8 მოხსნა).

**ლ:** ბრაიანტი (38+12 მოხსნა+7 პასი), ნეში (20), ჯეიმისონი (13), მიქსი (11), ჰოვარდი (9+13 მოხსნა).

**მაიამი–კლივლენდი 109:105**

**33:20, 31:26, 17:36, 28:23**

**მ:** ჯეიმსი (28+8 პასი), უეიდი (24+6 პასი), ჩელმერსი (16), ბატიე (14), ალენი (11), ჰასლემი (7+10 მოხსნა).

**კ:** უეიტერსი (26), კ. მაილზი (19), ირვინგი (17), ტომპსონი (11+12 მოხსნა), სპეიტსი (11).

**ნიუ ორლეანი–საკრამენტო 110:95**

**30:27, 23:20, 26:26, 31:22**

**ნ-ო:** დევისი (20+8 მოხსნა), ანდერსონი (17+9 მოხსნა), გორდონი (17+8 პასი), ვასკესი (12+13 პასი), ლოპესი (12+7 მოხსნა).

**ს:** სალმონსი (18), კაზინსი (16+10 მოხსნა), ტომპსონი (16+9 მოხსნა), ტომასი (16), ტ. ევანსი (12), ტორნტონი (12).

**ნიუ იორკი–ფილადელფია 99:93**

**24:22, 28:18, 24:27, 23:26**

**ნ-ი:** ენტონი (29+7 მოხსნა), სტაუდმაიერი (22), სმიტი (14+6 მოხსნა), ფელტონი (14), ჩენდლერი (5+12 მოხსნა+3 დაფარება).

**ფ:** ჰოლიდეი (30), ტერნერი (21+6 მოხსნა+8 პასი), ტ. იანგი (11+10 მოხსნა+4 ჩაჭრა), ჰოიესი (10+9 მოხსნა), ალენი (10+8 მოხსნა).

**ფინიქსი–სან ანტონიო 87:97**

**21:19, 19:35, 21:24, 26:19**

**ფ:** გორტატი (21+12 მოხსნა+3 დაფარება), სკოლა (15+6 მოხსნა), დრაგიჩი (10+11 პასი+3 ჩაჭრა).

**ს-ა:** ლეონარდი (16+9 მოხსნა+3 ჩაჭრა), მილსი (16), სპლიტერი (14), ჯინობილი (12+6 პასი+3 ჩაჭრა), დიაო (12), დანკანი (10+8 მოხსნა).

**პორტლენდი–ბოსტონი 92:86**

**27:21, 22:21, 22:25, 21:19**

**პ:** მეტიუზი (24), ბატუმი (18+6 მოხსნა), ოლდრიჯი (16), ლილარდი (12+6 მოხსნა+6 პასი), ჰიქსონი (11+11 მოხსნა), კორვერი (4+10 მოხსნა).

**ბ:** პირსი (23+7 მოხსნა+8 პასი), გარნეტი (20+9 მოხსნა), ბასი (11), გრინი (11).

**ოკლაჰომა–ჩიკაგო 102:72**

**24:16, 25:20, 31:18, 22:18**

**ო:** უესტბრუკი (23), დურანტი (19+16 მოხსნა+6 პასი), იბაკა (17+10 მოხსნა+3 დაფარება), სეფოლოშა (11).

**ჩ:** რობინსონი (13+3 ჩაჭრა), დენგი (13).



კობი ვერ გააჩერეს

● მძლეოსნობა



ფაუჯ სინგხი

# 101 წლის მარათონელი პენსიაში გავიდა

მსოფლიოში ყველაზე ხანდაზმულმა მარათონელმა, ინდური წარმოშობის ბრიტანელმა **ფაუჯ სინგხმა** კარიერა დაასრულა. კვირას, მან მონაწილეობა მიიღო ჰონგ კონგის მარათონში, თუმცა მხოლოდ 10 კილომეტრი ირბინა და ამ დისტანციის დაფარვას საათი, 32 წუთი და 28 წამი მოანდომა. უნდა აღინიშნოს, რომ სინგხი პირველ აპრილს 102 წლის გახდება.

*„გარბენის დროს თავს შესანიშნავად ვგრძნობდი, მაგრამ, როგორც კი გავჩერდი, დაღლილობა ვიგრძენი"*, - განაცხადა მორბენალმა.

სინგხი მარათონით 89 წლის ასაკში დაინტერესდა, როცა მეუღლე და შვილი მოუკვდა. მან ცხრა მარათონში მიიღო მონაწილეობა, რომელთა შორის იყო ლონდონის, ნიუ იორკისა და ტორონტოს მარათონები. 2003 წელს, სინგხმა კანადაში რეკორდი დაამყარა თავის ასაკობრივ კატეგორიაში, როცა 42 კილომეტრი 5 საათსა და 40 წუთში დაფარა.

2011 წელს, სინგხი გინესის რეკორდების წიგნში შევიდა, როგორც ყველაზე ასაკოვანი მარათონელი - მან 100 წლის ასაკში სრული მარათონული დისტანცია 8 საათში, 25 წუთსა და 17 წამში გაირბინა. მაგრამ, მოგვიანებით გახდა ცნობილი, რომ ეს რეკორდი არ დაფიქსირდა, რადგან სინგხმა ვერ შეძლო დაბადების მოწმობის წარმოდგენა.

გარდა ამისა, ფაუჯ სინგხს მონაწილეობა აქვს მიღებული ათენისა და ლონდონის ოლიმპიური ჩირაღდნის ესტაფეტებში. მას კონტრაქტი აკავშირებს კომპანია „ადიდასთან". ის აწარმოებს სპორტულ ფეხსაცმელებს, რომელიც ყველაზე ასაკოვანი მარათონელის სახელს ატარებს.

● ჰოკეი

# მაისურა 657 ათასად

1980 წლის ოლიმპიურ თამაშებზე მონაწილე აშშ-ის ნაკრების ფორვარდმა **მაიკ ერუზიონემ** თავისი სათამაშო მაისურა აუქციონზე გასაყიდად გამოიტანა. ერუზიონე ის ჰოკეისტია, რომელმაც სსრკ-ის ნაკრების წინააღმდეგ ფინალში გამარჯვების გოლი გაიტანა.

მაისურა 657,25 ათას დოლარად გაიყიდა. აუქციონი იმ სახელგანთქმული მატჩის 33 წლისთავს მიეძღვნა.

ნიუ იორკში გამართულ ვაჭრობაზე ასევე გასაყიდად იყო გამოტანილი ყვანჯი, რომელსაც ერუზიონე აშშ-სა და სსრკ-ის მატჩში იყენებდა. ამ სათამაშო ინვენტარში 262,9 ათასი დოლარი გადაიხადეს. მაისურისა და ყვანჯის ახალი მფლობელების ვინაობა საიდუმლოდ შეინახეს.

1980 წელს, ლეიკ-პლესიდის ზამთრის თამაშებზე აშშ-ის ნაკრებმა 4:3 დაამარცხა ფავორიტი სსრკ. მაიკ ერუზიონემ გამარჯვების შაიბა გაიტანა. იმ მატჩის შედეგი, დღემდე ერთ-ერთი მთავარ სენსაციად არის მიჩნეული ოლიმპიადების ისტორიაში.




მაიკ ერუზიონე

ეროვნული ბიბლიოთეკა

● სამთო თხილამურები

# მაზეს პირველი თასი

## სლოვენიელმა მოთხილამურემ მსოფლიოს თასი მოიგო და რეკორდებს ემუქრება



ტინა მაზე

მსოფლიოს ჩემპიონატის შემდეგ, განახლდა მსოფლიოს თასის გათამაშება სამთო თხილამურებში და კვირას, ქალების გათამაშებაში ოქროს დიდი გლობუსი გაიფორმა სლოვენიელმა **ტინა მაზემ**. ეს უკანასკნელი კარიერაში პირველად გახდა საერთო ჩათვლაში მსოფლიოს თასის მფლობელი.

მორიგი ეტაპი ქალებს შორის საფრანგეთის მარიბელში გაიმართა. კვირას პირველობა გათამაშდა სუპერკომბინაციაში. მაზეს ძალიან კარგი პირველი ცდა გამოუვიდა და სწრაფდაშვების შემდეგ ლიდერობა მოიპოვა. მართალია, მან მეორე დისციპლინაში – სპეციალურ სლალომში საუკეთესო დრო ვერ აჩვენა, მაგრამ ორი ცდის ჯამში მაინც გამარჯვებული გამოვიდა. რაც მთავარია, სლალომის ტრასა ვერ დაასრულა გენერალურ კლასიფიკაციაში მაზეს უახლოესმა კონკურენტმა, გერმანელმა **მარია რიშმა**, რაც იმას ნიშნავდა, რომ მაზე საერთო ჩათვლაში მიუღწეველი გახდა.

კომბინაციის მოგების შემდეგ, ტინას 1844 ქულა გაუხდა და 958 ქულით დაშორდა მარია რიშს. ამ უკანასკნელმა სეზონში დარჩენილი ცხრავე რბოლაც რომ მოიგოს, ტინა კი საერთოდ არ გავიდეს ტრასაზე, სლოვენიელს მაინც ვერ დაეწევა.

ბროლის დიდი გლობუსის მოგება მაზეს ბრწყინვალე სეზონის გვირგვინი აღმოჩნდა. სლოვენიელს რვა ეტაპი აქვს მოგებული და 18-ჯერ ავიდა პოდიუმზე, რაც სამთო თხილამურებში აბსოლუტური რეკორდის გამეორებაა. აქამდე, ერთ სეზონში ამდენი პოდიუმი ჰქონდათ შვედ **პერნილა ვიბერგსა** და ლიხტენშტაინელ **ჰანი ვენცელს**.

ალბათ, ამ რეკორდის გაუმჯობესება მაზეს არ გაუჭირდება. ის კიდევ ერთ რეკორდს უმიზნებს - ერთ სეზონში დაგროვილი ქულების რაოდენობით. მისი მფლობელია ავსტრიელი ლეგენდა **ჰერმან მაიერი**, რომელმაც 1999-2000 წლების სეზონში 2000 ქულა დააგროვა. ამ რეკორდთან გასულ წელს ახლოს იყო ამერიკელი **ლინდსი ვონი**, მაგრამ ის 1980 ქულაზე გაჩერდა. სხვათა შორის, ეს მაჩვენებელი ქალების რეკორდი გახლავთ.

მაზეს ასევე აქვს შანსი გახდეს მესამე ქალი ისტორიაში, ვინც ერთ სეზონში მოიგებს სტარტს ხუთივე დისციპლინაში. ამისთვის მას სწრაფდაშვების მოგება სჭირდება. ამის შანსი მას მარიბელში ჰქონდა, მაგრამ შაბათს, მეოთხე მივიდა ფინიშთან. მორიგი სწრაფდაშვება მომავალ უქმეებზე, გერმანიის გარმიშში გაიმართება და იქ შეეცდება სლოვენიელი უნიკალური შედეგის დაფიქსირებას.

საერთო ჩათვლის გარდა, მაზეს უკვე მოგებული აქვს ბროლის მცირე გლობუსი გიგანტურ სლალომში. მას ასევე აქვს პირველობის შანსი სწრაფდაშვებაში, სუპერგიგანტსა და სპეციალურ სლალომში.

და კიდევ, მაზეს ბრწყინვალე სეზონის მშვენება იყო მსოფლიოს ჩემპიონატზე მოგებული სამი მედალი: ოქრო სუპერ-გიგანტში და ვერცხლი სუპერკომბინაციასა და გიგანტურ სლალომში.

### სუპერკომბინაცია

1. **ტინა მაზე** (სლოვენია) - 1:59.54 (1:15.28+44.26); 2. **ნიკოლ ჰოსპი** (ავსტრია) - 2:00.36 (1:16.53+43.83); 3. **მიხაელა კირხგასერი** (ავსტრია) - 2:00.44 (1:17.78+42.66); 4. **ჯულია მანკუზო** (აშშ) - 2:01.00 (1:15.69 45.31); 5. **მარია-მიშელ განონი** (კანადა) - 2:01.36 (1:17.89+43.47); 6. **ვერონიკ ჰრონეკი** (გერმანია) - 2:01.42 (1:16.85+44.57)...

### საერთო ჩათვლა

1. **ტინა მაზე** (სლოვენია) - 1844 ქულა; 2. **მარია რიში** (გერმანია) - 886; 3. **ლინდსი ვონი** (აშშ) - 740; 4. **ანა ფენინგერი** (ავსტრია) - 716; 5. **კატრინ ცეტელი** (ავსტრია) - 697; 6. **მიკაელა შიფრინი** (აშშ) - 638...

● მძლეოსნობა

# ძმაც მკვლელი ყოფილა

## ოსკარ პისტორიუსის ძმა მკვლელობაშია დადანაშაულებული

შეყვარებულის მკვლელობაში დადანაშაულებული პარალიმპიელის **ოსკარ პისტორიუსის** უფროს ძმას – **კარლს** მკვლელობაში წაუყენეს ბრალი. სამი წლის წინ, უფროსი პისტორიუსი ავტოავარიაში მოხვდა, რომლის დროსაც მოტოციკლის მძღოლი ქალი დაიღუპა. ამპუტანტი სპორტსმენის ძმის სასამართლო პროცესი მარტში დაიწყება. საინტერესოა, რომ კარლ პისტორიუსს განზრახ მკვლელობაში წაუყენეს ბრალი.

უბედური შემთხვევა ქალაქ იოჰანესბურგის გარეუბანში მოხდა. ადგილზე მისულმა პოლიციამ ვერ აღმოაჩინა უფროსი პისტორიუსის ორგანიზმში ალკოჰოლის კვალი.

რაც შეეხება ოსკარ პისტორიუსს, როგორც უკვე ვწერდით, ის 114 ათასი დოლარის ოდენობის გირაოს გადახდის შემდეგ გაანთავისუფლეს. სასამართლო პროცესი 4 ივნისს დაიწყება.

მძლეოსანს აკრძალული აქვს საკუთარ სახლში სხვისი ზედამხედველობის გარეშე ყოფნა. ის კვირაში ორჯერ – ორშაბათობით და პარასკევობით დათქმულ დროს უნდა გამოცხადდეს პოლიციის ოფისში. არ უნდა იყოს შენიშნული ალკოჰოლისა და ნარკოტიკების მიღებაში. მას ჩამოართვეს პასპორტი და სხვა დოკუმენტები, რომელიც მოგზაურობისთვის არის საჭირო, ოსკარს ასევე აკრძალული აქვს აეროპორტში გამოჩენა. გარდა ამისა, მან პოლიციას ჩააბარა კუთვნილი იარაღი და უარი თქვა მათი შენახვის უფლებაზე.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**



ოსკარ პისტორიუსის და და ძმა

● ჰოკეი. NHL რეგულარული ჩემპიონატი

**ფლორიდა-ბოსტონი 1:4**

1:2, 0:1, 0:1

**გოლები:** 0:1 ლუჩიჩი-4 (კრეიჩი-9), 0:2 ხარა-3 (მარჩანდი-3, სეგუინი-7), 1:2 კოპეცკი-5 (შორი-7, ფლიშმანი-7), 1:3 კელი-1 (პეი-3, კ. ბურკი-3), 1:4 პეი-3 (მაკუეიდი-1).

**ნიუ ჯერსი-ვინიპეგი 2:4**

2:1, 0:2, 0:1

**გოლები:** 0:1 ბოგოსიანი-1 (ველერი-9, ლიტლი-8), 1:1 ზეიჯაკი-4 (ელიაში-17, კლარკსონი-7), 2:1 ბერნიე-5 (ლოკტიონოვი-2, პონიკაროვსკი-2), 2:2 კლიტსომი-2 (პოსტმა-5), 2:3 ე. კეინი-7 (ბურმისტროვი-3), 2:4 ლედი-10 (ლიტლი-9, ველერი-10).

**დეტროიტი-ვანკუვერი 8:3**

2:3, 3:0, 3:0

**გოლები:** 0:1 დ. სედინი-6 (ჰ. სედინი-14), 1:1 ტუტუ-2, 2:1 კრონვალი-3 (დაციუკი-13, ქლირი-2), 2:2 დ. სედინი-7 (ჰ. სედინი-15, ბაროუზი-6), 2:3 ჰიგინსი-4, 3:3 ქლირი-4 (ბრუნერი-5, ზეტერბერგი-18), 4:3 ზეტერბერგი-6 (დაციუკი-14, კრონვალი-12), 5:3 ბრუნერი-9 (კრონვალი-13, ზეტერბერგი-19), 6:3 ბრუნერი-10 (ფილპულა-6, ჯ. ერიქსონი-5), 7:3 ანდერსონი-2 (ტატარი-3, კინდლი-4), 8:3 ანდერსონი-3 (ბრუნერი-6, ჯ. ერიქსონი-6).

**აილენდერსი-კაროლინა 2:4**

2:0, 0:2, 0:2

**გოლები:** 1:0 მოულსონი-10 (ბოიესი-11, ტავარესი-12), 2:0 ტავარესი-13 (მოულსონი-13), 2:1 ე. სტაალი-9 (სიომინი-9, ტლუსტი-5), 2:2 ჯ. სტაალი-4 (სიომინი-10, ფოლკი-5), 2:3 სანგინეტი-1 (დუაიერი-3, ჯ. სტაალი-11), 2:4 სიომინი-4.

**ჩიკაგო-კოლამბუსი 1:0**

0:0, 1:0, 0:0

**გოლი:** 1:0 შოუ-4 (ბიკელი-6, ოდუია-7).

**პიტსბურგი-ტამპა ბეი 5:3**

3:0, 1:2, 1:1

**გოლები:** 1:0 კროსბი-8 (კუნიტცი-14), 2:0 კროსბი-9 (ჯ. ნილი-6, მარტინი-11), 3:0 მარტინი-3 (კუკი-6), 3:1 ბრიუერი-4 (სტემკოსი-15, კილორნი-3), 3:2 სტემკოსი-13 (პურსელი-14, სან ლუი-20), 4:2 ბენეტი-1 (კროსბი-19, ლეტანგი-11), 4:3 კონაჩერი-7 (ჰედმანი-6, სტემკოსი-16), 5:3 კუკი-3 (ბ. სატერი-4, ლეტანგი-12).

**კალგარი-ფინიქსი 5:4**

1:0, 2:2, 2:2

**გოლები:** 1:0 ჯეკმანი-1 (ჩერვენკა-5, კ. ბატლერი-3), 1:1 სტოუნი-1, 1:2 ტორესი-3 (ლომბარდი-3, ეკმან-ლარსონი-8), 2:2 იგინლა-2 (ბოუმისტერი-6, ტანგეი-9), 3:2 კამალერი-5 (გლენკროსი-4, სტემპნიაკი-6), 3:3 ტორესი-4 (ზ. მიხალეკი-2, დოუნი-5), 3:4 ნ. ჯონსონი-4 (ეკმან-ლარსონი-9, ბისონეტი-2), 4:4 იგინლა-3 (ტანგეი-10, სტაიანი-6), 5:4 გლენკროსი-7 (სტემპნიაკი-7, კ. ბატლერი-4).

**ანაჰაიმი-კოლორადო 4:3 (ო)**

0:2, 2:1, 1:0, 1:0

**გოლები:** 0:1 მაკლეოდი-3 (ჰანვიკი-2, ო'ბირნი-2), 0:2 პარენტო-8 (ბერი-4, პ. შჩასტნი-6), 1:2 პერი-4 (გეტცლაფი-10, ბოშემენი-6), 2:2 სელიანე-5 (ს. კოივუ-11, ბოშემენი-7), 2:3 ჯ. მიტჩელი-6 (ჰეიდუკი-6, ო'ბირნი-3), 3:3 გეტცლაფი-6 (პერი-8, ბოშემენი-8), 4:3 პერი-5 (გეტცლაფი-11, ბოშემენი-9).

● ცხელი ხაზი

### ფეხბურთი

| ამხანაგური მატჩები | |
|---|---|
| ტორპედო-აქტობე | 0:1 |
| სარპსბორგი-სტაბეკი | 2:1 |
| სიოგნდალი-სანდნესი | 0:2 |
| ბრანი-ჰიონეფოსი | 1:2 |
| **ინგლისი** | |
| ვესტ ჰემი-ტოტენჰემი | 2:3 |
| **იტალია** | |
| უდინეზე-ნაპოლი | 0:0 |
| ლაციო-პესკარა | 2:0 |
| **ესპანეთი** | |
| ლევანტე-ოსასუნა | 0:2 |
| **გერმანია** | |
| **II ბუნდესლიგა** | |
| ჰერტა-კაიზერი | 1:0 |
| **რეგიონალლიგა (ბაიერნი)** | |
| ფიურტი II-მიუნხენი II | გადაიდო |
| **საფრანგეთი** | |
| **II დივიზიონი** | |
| მონაკო-ლანსი | 2:1 |
| **ჰოლანდია** | |
| **II დივიზიონი** | |
| გრააფსხაპი-იგლზი | 5:2 |
| ვოლენდამი-დორდრეხტი | 6:1 |
| სპარტა-დენ ბოში | 1:5 |
| ტოპ ოსი-მაასტრიხტი | 0:2 |
| ემენი-ექსელსიორი | გადაიდო |
| ეინდჰოვენი-ვეენდამი | გადაიდო |
| ფორტუნა-კამბური | გადაიდო |
| **პორტუგალია** | |
| აკადემიკა-მარიტიმუ | 2:3 |
| **შვეიცარია** | |
| **ჩელენჯლიგა** | |
| ბილი-ვადუცი | 2:1 |
| **საბერძნეთი** | |
| **II დივიზიონი** | |
| ერგოტელისი-ირაკლისი | 1:0 |
| კავალა-ეთნიკოსი | 2:2 |
| **თურქეთი** | |
| გალათასარაი-ორდუ | 4:2 |
| **II დივიზიონი** | |
| ერჩიესი-თავშანლი | 2:0 |
| **ჩეხეთი** | |
| ბრნო-ვიქტორია | 1:3 |
| **პოლონეთი** | |
| გურნიკი-პიასტი | 1:0 |
| **რუმინეთი** | |
| ასტრა-ვიიტორული | 2:0 |
| უნივერსიტატეა-სტიაუა | 0:1 |
| ვასლუი-კლუჟი | 0:0 |

### კალათბურთი

| საფრანგეთი | |
|---|---|
| სტრასბური-შალონი | 80:65 |
| **გერმანია** | |
| ბამბერგი-ლუდვიგსბურგი | 88:68 |
| **საბერძნეთი** | |
| იკაროსი-დრამასი | 80:74 |
| **თურქეთი** | |
| ბეშიქთაში-ფენერბაჰჩე | 70:78 |

### ჰოკეი

| კჰლ | |
|---|---|
| სიბირი-ავანგარდი | 4:1 |
| ბარისი-ტრაქტორი | 1:3 |
| ს. იულიაევი-მეტალურგი (მ) | 4:1 |
| ნეფტეხიმიკი-აკ ბარსი | 1:2 |
| ატლანტი-სკა | 1:6 |
| სევერსტალი-ლოკომოტივი | 3:2 (ო) |
| ლევი-ცსკა | 1:2 |
| სლოვანი-დინამო (მ) | 2:3 |
| **დანია** | |
| კოპენჰაგენი-ოდენსე | 0:7 |
| როდოვრე-ჰერლევი | 1:4 |
| სონდერიისკი-ოლბორგი | 4:1 |
| ესბერგი-ჰერნინგი | 5:4 (ო) |
| **ფინეთი** | |
| ბლუზი-ლუკო | 1:4 |

### ჩოგბურთი

| ATP. დელრეი ბიჩი | |
|---|---|
| დონსკოი-დარცისი | 7:6, 6:3 |
| მალისე-ფალა | 6:3, 6:3 |
| **ATP. დუბაი** | |
| გოფენი-ბაუტისტა | 2:6, 5:7 |
| მატიო-სეპი | 3:6, 5:7 |
| სერა-ბრანდსი | 6:7, 4:6 |
| როსოლი-ვიოლა | 6:3, 7:5 |
| კავჩიჩი-იუჟნი | 6:1, 1:6, 3:6 |
| ჟაზირი-ფედერერი | 7:5, 0:6, 2:6 |
| დევარმანი-კუნიცინი | 6:1, 6:4 |
| **WTA. ფლორიანაპოლისი** | |
| პერესი-სხეპერსი | 6:2, 4:6, 0:6 |
| ჩინკი-შვედოვა | 2:6, 6:4, 6:2 |
| პეერი-მრდესა | 0:6, 3:6 |
| გარსია მიდაგანი-ბრატჩიკოვა | 6:4, 6:2 |
| მ. გარიგესი-ნიკულესკუ | 7:5, 6:7, 1:6 |
| გარსია-ირიგოიენი | 6:1, 6:4 |

● TV პროგრამა

**26 თებერვალი. სამშაბათი**

**GMG-ფეხბურთი**

**10:00** გერმანიის ჩემპიონატი. XXIII ტურის მიმოხილვა.
**11:00** ჰოლანდიის ჩემპიონატი. XXIV ტურის მიმოხილვა.
**12:00** ინგლისის ჩემპიონატი. XXVII ტური. ვესტ ჰემი-ტოტენჰემი .
**14:00** არგენტინის ჩემპიონატი. III ტური. ლანუსი-ველეს სარსფილდი.
**16:00** გერმანიის ჩემპიონატი. XXIII ტური. ფიურტი-ლევერკუზენი.
**18:00** პროგრამა - იმედის ფსონი.
**19:00** ინგლისის ჩემპიონატი. XXVII ტური. ქუინზ პარკი-მანჩესტერ იუნ.
**21:00** ინგლისის ჩემპიონატი. XXVII ტურის მიმოხილვა.
**22:00** ჩემპიონთა ლიგა. სტუდიური მიმოხილვა.
**23:00** ჰოლანდიის ჩემპიონატი. XXIV ტური. ფეიენოორდი-ეინდჰოვენი.
**01:00** ინგლისის ჩემპიონატი. XXVII ტური. მანჩესტერ სიტი-ჩელსი.

**GMG-სპორტი 1**

**10:00** ფეხბურთი. ბრაზილიის ჩემპონატი. პაულისტას შტატი. სან პაულუ-ლინენსე.
**12:00** სპორტ-NEWS.
**12:15** კალათბურთი. NBA. რეგულარული ჩემპიონატი. დენვერი-ლეიკერსი.
**15:00** ფეხბურთი. ევროპის ლიგა. 1/16 ფინალი. საპასუხო მატჩი. ლაციო-ბორუსია (მ).
**17:00** რაგბი. ჰაინეკენის თასი. ნორთჰემპტონი-ალსტერი.
**19:00** ჩოგბურთი. ATP-ის ტური. მემფისი. აშშ. მიმოხილვა.
**20:00** ფეხბურთი. ევროპის ლიგა. 1/16 ფინალი. საპასუხო მატჩი. ლიონი-ტოტენჰემი.
**22:00** NBA ACTION.
**23:30** კალათბურთი. NBA. რეგულარული ჩემპიონატი. დენვერი-ლეიკერსი.

**GMG-სპორტი 2**

**10:00** ჩოგბურთი. ATP-ის ტური. დუბაი. საემიროები.
**13:30** სპორტ-NEWS.
**14:00** ჩოგბურთი. ATP-ის ტური. დუბაი. საემიროები (LIVE).
**18:00** სპორტ-NEWS.
**18:30** ჩოგბურთი. მიმოხილვა.
**19:00** ჩოგბურთი. ATP-ის ტური. დუბაი. საემიროები (LIVE).
**23:00** ჩოგბურთი. ATP-ის ტური. დუბაი. საემიროები.

### ამინდის პროგნოზი

| | | | |
|---|---|---|---|
| თბილისი | 3 | 8 | (მცირე წვიმა) |
| ქუთაისი | 8 | 16 | (მზე) |
| ბათუმი | 9 | 18 | (მზე) |
| ფოთი | 8 | 17 | (მზე) |
| ზუგდიდი | 6 | 17 | (მზე) |
| გორი | 2 | 10 | (მზე) |
| თელავი | 3 | 7 | (მცირე წვიმა) |
| სიღნაღი | 2 | 6 | (მცირე წვიმა) |
| გუდაური | -7 | 0 | (მზე) |
| ბაკურიანი | -3 | 5 | (მზე) |
| ბორჯომი | -1 | 9 | (მზე) |
| მესტია | -2 | 8 | (მზე) |

### ვალუტის კურსი

| | |
|---|---|
| 1 ევრო | 2.1992 |
| 1 ამერიკული დოლარი | 1.6583 |
| 1 ბრიტანული ფუნტი | 2.5123 |
| 100 რუსული რუბლი | 5.4663 |

ჩოგბურთი



კიმ კლაისტერსი

# კიმი მეორეს ელოდება

მსოფლიოს ყოფილი პირველი ჩოგანი, 29 წლის ბელგიელი **კიმ კლაისტერსი** და მისი მეუღლე, ყოფილი ამერიკელი კალათბურთელი **ბრაიან ლიჩი** მეორე შვილის დაბადებას ელიან. ამის შესახებ ყოფილმა ჩოგბურთელმა თავის „ტვიტერზე" დაწერა.

*„შესანიშნავი ახალი ამბავი მაქვს! ჯადა მალე უფროსი და გახდება",* - იტყობინება კლაისტერსი.

ჯადა კიმისა და ბრაიანის პირველი ქალიშვილია, რომელიც 2008 წელს დაიბადა. ბელგიელმა კარიერა გასულ სეზონში დაასრულა. მან თავისი ბოლო მატჩი 2012 წლის ამერიკის ღია პირველობაზე ჩაატარა, როცა მეორე წრეში წააგო ბრიტანელ **ლორა რობსონთან.**

# ენდი ბიზნესმენი ხდება

ATP-ის რეიტინგის მესამე ნომერმა, შოტლანდიელმა **ენდი მარეიმ** სასტუმროების ბიზნესს მიჰყო ხელი. როგორც ბრიტანული გამოცემა The Guardian წერს, 25 წლის ჩოგბურთელმა შეიძინა „კრომლიქს ჰაუს ოტელი", რომელიც მისი მშობლიური ქალაქის - დანბლეინის მახლობლად მდებარეობს. ენდი შენობის გადაკეთებას აპირებს.

გამოცემის ინფორმაციის თანახმად, რეკონსტრუქციის შემდეგ, სასტუმრო ხუთვარსკვლავიანი გახდება და მას 15 ნომერი ექნება. ვარაუდობენ, რომ განახლებული „კრომლიქს ჰაუს ოტელი" 2014 წლის გაზაფხულზე გაიხსნება.

*„მოხარული ვარ იმის გამო, რომ შემიძლია იმ ადგილების განვითარებაზე ვიზრუნო, სადაც მე გავიზარდე. ამ სასტუმროს რეკონსტრუქციით შევეცდებით დანბლეინის ოლქში უფრო მეტი ტურისტი მოვიზიდოთ. ასევე შევძლებთ შევქმნათ ახალი სამუშაო ადგილები და დავეხმაროთ ადგილობრივ ბიზნესს",* - ამბობს მარეი.

ასევე უნდა აღვნიშნოთ, რომ სწორედ „კრომლიქს ჰაუს ოტელში" შედგა ენდის უფროსი ძმის - **ჯეიმი მარეისა** და **ალეხანდრა გუტიერესის** ქორწილი.

მარეის საკუთრება



ავტოსპორტი



მამა-შვილი ბარიკელო

# მამის კვალზე

ლეგენდარული ბრაზილიელი პილოტის **რუბენს ბარიკელოს** ვაჟი პირველად გამოჩნდა ოფიციალურ ავტოშეჯიბრში, რომელიც ამ დღეებში ბრაზილიაში გაიმართა: 11 წლის **ედუარდომ** მონაწილეობა მიიღო კარტინგში სან პაულუს შტატის თასის გათამაშებაში. Mini Max Rotax-ის კატეგორიაში გამართულ ორ რბოლაში, უმცროსმა ბარიკელომ მეშვიდე და მეათე ადგილები დაიკავა.

რბოლის წინ, ედუარდომ აღიარა, რომ ძალიან მოხარულია დებიუტის გამო, მაგრამ სტარტის წინ ოდნავ ნერვიულობდა. თუმცა, გამოცდილმა რუბენსმა, რომელსაც ფორმულა 1-ის ისტორიაში ყველაზე მეტი რბოლა აქვს ჩატარებული, ვაჟს ურჩია შედეგზე არ ეფიქრა. *„შენ უბრალოდ სიამოვნება უნდა მიიღო"*, - განაცხადა უფროსმა ბარიკელომ.

ვაჟმაც არ დაალალატა „ფერარის" ყოფილი პილოტი და ორივე რბოლა სერიოზული ინციდენტის გარეშე დაასრულა. *„მე ვაკეთებდი იმას, რაც მან მითხრა. ვცდილობდი მუდმივად ბრძოლაში ვყოფილიყავი"*, - თქვა ფინიშის შემდეგ ედუარდო ბარიკელომ.

*„სასიამოვნო იყო იმის ხილვა, თუ როგორ იქცეოდა ის ტრასაზე, როგორ აძლევდა ინტერვიუს, როგორი ანთებული თვალები ჰქონდა*, - ასეთი კომენტარი გაუკეთა ედუარდოს დებიუტს რუბენსმა. - *მისგან, ალბათ, დიდი მოლოდინი იქნება, რადგან ის უფროსი ბარიკელოს ვაჟია, მაგრამ ამის გამო არ ვნერვიულობ. მთავარი ის არის, რომ ეს მისთვის განსაკუთრებული დღე იყო".*

გვერდი მოამზადა
გია **თვალაბეიშვილმა**

JOMA SPORT GEORGIA

GOLD LEAGUE 2012/13

VII ტური

## BUSINESS CHAMPIONS LEAGUE

24.02.2013



ნატახტარი - ერისთავი

ბიზნესის ჩემპიონთა ლიგის მე-5 გათამაშებამ მინი-ფეხბურთში მოყვარულთა შორის სტარტი აიღო 2012 წლის 25 ნოემბერს. ჩემპიონატი მიმდინარეობს ოქროს და ვერცხლის ლიგაში, 31 მარტს კი ბრინჯაოს ლიგა აიღებს სტარტს. ჩემპიონატი წრიული სისტემით ტარდება და პლეი-ოფიებით 2013 წლის ივნისის თვეში დასრულდება. ასევე, პარალელურად ჩატარდება თასის გათამაშებაც.

ამიერიდან, ბიზნესის ჩემპიონთა ლიგის გათამაშება გაშუქდდება გაზეთ "ლელოში".

ბიზნესის ჩემპიონთა ლიგის დამფუძნებელი და ორგანიზატორია Sport Business Managment Georgia, ხოლო პირველივე გათამაშებიდან ჩემპიონატს ოფიციალურ პარტნიორობას უწევს კომპანია "ნატახტარი".

ჩემპიონატის სპონსორები

VTB BANK, JOMA SPORT GEORGIA, SELLS, NATAKHTARI

*ბრინჯაოს ლიგაში მონაწილეობის მისაღებად დაგვიკავშირდით*

001@sbm.ge

| | | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | PATRULI | 6 | 5 | 0 | 1 | 20-6 | 15 |
| 2 | NATAKHTARI | 6 | 4 | 0 | 2 | 18-13 | 12 |
| 3 | TTC | 6 | 3 | 2 | 1 | 19-13 | 11 |
| 4 | PSP | 6 | 3 | 1 | 2 | 14-14 | 10 |
| 5 | GMG | 6 | 3 | 0 | 3 | 18-16 | 9 |
| 6 | ERISTAVI | 6 | 2 | 2 | 2 | 22-17 | 8 |
| 7 | UN OF GEORGIA | 6 | 2 | 1 | 3 | 20-18 | 7 |
| 8 | MFC ALGO | 6 | 2 | 1 | 3 | 23-27 | 7 |
| 9 | PALAVANI | 6 | 2 | 0 | 4 | 17-18 | 6 |
| 10 | IBSU | 6 | 0 | 1 | 5 | 13-41 | 1 |

ბომბარდირები:

| | | |
|---|---|---|
| [illegible] | UN OF GEORGIA | 10 |
| [illegible] | MFC ALGO | 6 |
| [illegible] | PSP | 5 |
| [illegible] | MFC ALGO | 5 |

VII ტური 17 მარტი

| | |
|---|---|
| 17:00 | IBSU - UN OF GEORGIA |
| 18:00 | FC TTC - ფალავანი |
| 19:00 | GMG - PSP |
| 20:00 | MFC ALGO - ნატახტარი ! |
| 21:00 | ERISTAVI LAW GROUP - პატრული |

ტურის სიმბოლური ნაკრები





4 : 5

7 : 3

8 : 1

3 : 1

0 : 5

SPORT BUSINESS MANAGEMENT GEORGIA

VTB Joma SBM SELLS

დამფუძნებელი და გამომცემელი შპს გამომცემლობა ლელო
ISSN 2233-3827
გამოიცემა ყოველდღე, გარდა კვირისა

მთავარი რედაქტორი თენგიზ გაჩეჩილაძე

მთავარი რედაქტორის პირველი მოადგილე გია თვალაბეიშვილი; მოადგილეები: ნიკოლოზ ნეფარიძე, გია ტუხაშვილი; მხატვრული რედაქტორი: ვაჟა სიმონიშვილი
ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი მიხეილ ჯაში; ფოტო: თამუნა ყულუმბეგაშვილი. ნომრის პასუხისმგებელი რედაქტორი: გია თვალაბეიშვილი

1934 წლიდან გაზეთს ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია. „ლელოს" მთავარი რედაქტორები: მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 1964-76), ერემო მახათაძე (1952-53), ირაკლი უგულავა (1953-64), ანზორ ბასილაია (1976-83), არჩილ გოგელია (1984-85), თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან).

პალიტრა მედიის ცხელი ხაზი: 2383-384. ელფოსტა: leloltd@gmail.com; lelo@palitra.ge ხელმოწერილია დასაბეჭდად: 02:40
მისამართი: იოსებიძის, 49. ტელეფონები: 242 32 73, 599 55 48 97 (მთ. რედაქტორი); ფაქსი: +995. 232 38 08 63; ინდექსი 66435 INDEX. რეკლამა: 237 78 07
რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის კუთვნილი მასალებისა და ფოტოების სხვა ბეჭდვით და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია
საბანკო რეკვიზიტები: შპს „გამომცემლობა ლელო", 205262062. ბანკი „ქართუ" CRTUGE22 ა\ა GE19CR0120007000043608